ოპოზიცია კომპენსაციის გაცემას მოითხოვს A2

დავითაშვილი და ძიძიგური სამშვიდობოების გაყვანას მოითხოვენ A2

გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 24 ივლისი, 2004 წელი. №174 (723)

ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

## დაიწყო სსფ-ს მისიის ვიზიტი საქართველოში



ქვეყანას საგანგაშო არაფერი აქვს, ვინაიდან პირველი 6 თვის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების ინდექსი სტაბილური იყო.

A4

უცხოეთი

## ეუთო ყაზახეთს მედიაზე ზეწოლაში ადანაშაულებს



ნურსულთან ნაზარბაევი რეპუტაციის შებღალვას არა მარტო ადგილობრივ, არამედ უცხოურ მედიასაც არ შეარჩენს.

A5

საზოგადოება

## მერიას ზარალი ადარდებს, საკრებულოს უგაზობა



გზების რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებული 25 მილიონი ლარი, ძირითადად, იმ ქუჩების აღდგენას მოხმარდება, სადაც მიწისქვეშა კომუნიკაციები დაზიანებული არ არის.

A6

სტუმარი

## აჭარა ღიაა



აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, ლევან ვარშალომიძესთან ჩვენი ინტერვიუც ბათუმის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კაფეში - "პრივეტ იზ ბატუმა" - შედგა.

B1

ამინდი

| | 24/7 | 25/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | 32 |
| ქუთაისი | 27 | 33 |
| ბათუმი | 24 | 32 |
| სოხუმი | 22 | 27 |
| ფოთი | 24 | 31 |
| თელავი | 28 | 31 |
| ზუგდიდი | 26 | 31 |
| გორი | 24 | 28 |
| ახმეტა | 27 | 30 |
| ჭიათურა | 27 | 32 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8950 |
| ევრო | 2.3155 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4809 |
| რუბლი | 0.0652 |

# ბიუჯეტი 2004

შემოსავლები - შესრულებულია, ხარჯები - ნაწილობრივ გარღვეული, გრანტები - მისაღები



საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

[illegible]

| ხარჯები | 6 თვის გეგმა | დაფინანსება | მათ შორის: [illegible] | მათ შორის: [illegible] | სულ ხარჯი | წინა წლის ხარჯი | შესრულება გეგმის მიმართ %-ში | შესრულება დაფინანსების მიმართ %-ში | შესრულება [illegible] მიმართ %-ში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 84,697.8 | 77,373.3 | 77,369.6 | 0.0 | 74,583.4 | 3,327.2 | 88% | 96% | 96% |
| [illegible] ანარიცხები | 14,326.1 | 12,317.4 | 12,306.0 | 0.0 | 11,638.3 | 796.6 | 81% | 94% | 95% |
| მივლინებები | 4,293.0 | 4,129.7 | 1,152.1 | 2,942.7 | 3,874.5 | 101.8 | 90% | 94% | 95% |
| სხვა საქონელი და მომსახურება (მათ შორის) | 111,680.5 | 99,601.3 | 61,708.6 | 35,013.1 | 92,126.8 | 3,798.8 | 83% | 92% | 95% |
| ოფისი | | 6,493.4 | 4,899.9 | 1,116.7 | 5,826.4 | 96.1 | | 90% | 97% |
| [illegible] | | 15,301.7 | 14,706.7 | 255.4 | 13,915.1 | 778.1 | | 91% | 93% |
| კვების ხარჯები | 8,345.8 | 7,450.3 | 6,841.8 | 33.4 | 6,250.9 | 76.1 | 75% | 84% | 91% |
| მედიკამენტები | | 240.4 | 199.0 | 17.9 | 207.9 | 1.0 | | 87% | 96% |
| რბილი ინვენტარი და უნიფორმა | | 1,991.8 | 1,043.0 | 870.9 | 1,913.5 | 178.1 | | 96% | 100% |
| ტრანსპორტისა და ტექნიკის შენახვა | | 14,485.1 | 7,574.9 | 6,440.6 | 13,740.6 | 285.8 | | 95% | 98% |
| სპეციალური [illegible] მომსახურება | | 4,775.7 | 2,599.0 | 2,129.5 | 4,715.1 | 3.7 | | 99% | 100% |
| სხვა ხარჯები | | 48,882.9 | 23,842.4 | 24,146.8 | 45,557.3 | 2,379.9 | | 93% | 95% |
| პროცენტების გადახდა | 82,443.8 | 76,212.5 | 63,330.4 | 0.0 | 77,021.1 | 1,097.6 | 93% | 101% | 122% |
| სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები | 255,136.0 | 174,071.2 | 136,391.8 | 37,384.3 | 165,573.2 | 20,635.5 | 65% | 95% | 95% |
| კაპიტალური ხარჯები | 13,292.9 | 10,264.9 | 2,502.7 | 7,526.4 | 9,852.1 | 495.8 | 74% | 96% | 98% |
| [illegible] | 114,813.7 | 54,834.7 | 54,834.7 | 0.0 | 114,175.1 | 0.0 | 99% | 208% | 208% |
| სულ ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები * | 680,663.7 | 509,604.9 | 409,583.9 | 82,866.5 | 548,844.6 | 30,253.3 | 81% | 108% | 111% |
| სოციალური [illegible] ფონდი ** | 0.0 | | | | 168,873.0 | 2,643.4 | | | |
| საგზაო ფონდი | 0.0 | | | | 20,434.1 | 385.8 | | | |
| სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები | 680,663.7 | 509,604.9 | 409,583.9 | 82,866.5 | 738,151.7 | 15,215.7 | 108% | | |

საქართველოს მოქალაქეები ელიან იმ სიკეთეებს, რასაც ბოლო ხანს პოზიტიურად წარმართული საბიუჯეტო პროცესი უნდა იძლეოდეს.

ბესო გულაშვილის ფოტო

თამარ ხორბალაძე

მომავალ კვირას საქართველოს მთავრობამ პარლამენტს 2004 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შედეგები უნდა წარუდგინოს. ჯერჯერობით, სახელისუფლებო უწყებებში წლის პირველი ნახევრის შესრულების შესახებ ოფიციალურ და დეტალურ კომენტარებს არ აკეთებენ. უკვე ცნობილია, რომ ბიუჯეტის შემოსავლები გადაჭარბებით არის შესრულებული, თუმცა "24 საათის" საბიუჯეტო მონიტორინგის შედეგების თანახმად, ცნობილია ისიც, რომ შემოსავლებშესრულებული ბიუჯეტის ხარჯები სრულად დაფინანსებული არ არის. ამასთან, ბოლომდე არ არის გარკვეული წელს მოსალოდნელი 180-მილიონიანი გრანტიდან 160-მდე მილიონის ბედი - საქართველოს მთავრობა ჯერ იყო და პარიზის კლუბის გადაწყვეტილებას, ახლა კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტის დასრულებას ელის, რათა 2004 წლის ბიუჯეტის კორექტირების ციფრები მასთან შეაჯეროს და ბიუჯეტის ხარჯების გაზრდის თაობაზე საბიუჯეტო ცვლილებები პარლამენტს აახლოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## საქართველოს ეკონომიკის აღდგენა-განვითარების პრობლემები და პრიორიტეტები

მსოფლიო ბანკის მიერ შედგენილი ბოლოდროინდელი კლასიფიკაციით საქართველო მსოფლიოს ულატაკესი ქვეყნების სიაში მოხვდა. ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში 2002 წელს სამჯერ ნაკლები იყო, ვიდრე რუსეთში, ორჯერ ნაკლები, ვიდრე ყაზახეთში და ოდნავ ნაკლები, ვიდრე უკრაინასა და სომხეთში. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს კი ჩვენ 4 - 9-ჯერ ჩამოვრჩებით. ამიტომ, როდესაც ევროკავშირში საქართველოს შესვლაზე ვლაპარაკობთ, მკაფიო წარმოდგენა უნდა ვიქონიოთ იმაზე, რომ ეს ვერ მოხერხდება მანამ, სანამ საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები არ მიუახლოვდება აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნების დონეს, რომლებიც ახლახან მიიღეს ევროკავშირის წევრებად. ევროკავშირი არ გახლავთ საქველმოქმედო ორგანიზაცია. იგი არის განვითარების მხრივ დაახლოებით თანაბარი დონის მქონე ქვეყნების გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შესასვლელად სერიოზულ ღონისძიებათა განხორციელება დაგვჭირდება.

გაგრძელება A8 გვერდზე

## კონფლიქტის ზონაში წყალს თავად რუსი სამშვიდობოები ამღვრევენ

გიორგი ასანიშვილი

აშკარა ხდება, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალები მდგომარეობის სტაბილიზებით სულაც არ არიან დაინტერესებულნი. პირიქით, რუსი ცისფერჩაფხუტიანების ქმედებები კიდევ უფრო ძაბავს რეგიონში სიტუაციას და, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობს მდგომარეობის გამწვავებას.

ისედაც ფეთქებადსაშიშ რაიონში ვითარების ესკალაციას რუსების ხელშეწყობით მიმდინარე საბრძოლო იარაღის და ტექნიკის კონცენტრაცია განაპირობებს: მიმდინარე თვის დასაწყისში რუსმა სამშვიდობოებმა კონფლიქტის ზონაში "ნურსის" ტიპის რაკეტები შეიტანეს (რომლებსაც ირაკლი ოქრუაშვილმა გაუკეთა კონფისკაცია), ამის შემდეგ მათ წაუყრუეს ტანკსაწინააღმდეგო მართვადი ჭურვების ჯავაში გადატანის მცდელობას,

გაგრძელება A2 გვერდზე

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ტერიტორია", "საცხოვრებელი", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმომწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი; 3 თვით - 39 ლარი; 6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26487440.

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## ფასები იზრდება

წინა კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე საშუალოდ 0,17 პროცენტით გაიზარდა. მატება, ძირითადად, სურსათის ფასის ხარჯზე მოხდა (0,47 პროცენტით). გასულ კვირასთან შედარებით, ფასები გაიზარდა ვაშლზე - 20,0 პროცენტით და ქათამზე - 6.4 პროცენტით; ხოლო შემცირდა ფასი ხახვზე - 22,2 პროცენტით. არასასურსათო საქონელზე და მომსახურებაზე ფასები უცვლელი დარჩა.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) ერთი კვირის მანძილზე (16 ივლისი - 22 ივლისი) 100,17 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 99,90 პროცენტი იყო. შეგახსენებთ, რომ ეს ინდექსი 40 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს.

*24 საათი*

## პრეზიდენტმა დიპლომატებს სიტუაცია განუმარტა

გუშინ ქვეყნის მეთაური სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს ხვდებოდა.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს სურდათ, ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის თემაზე პრეზიდენტისაგან მაქსიმალური ინფორმაცია მიეღოთ. მიხეილ სააკაშვილმა მათ ვითარება მოკლედ განუმარტა: საქართველომ ამ რეგიონში კონტრაბანდა აღკვეთა, რასაც დიდი უკმაყოფილება და რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება მოჰყვა.

პრეზიდენტმა ელჩებს განუცხადა, რომ იგი მოხარულია, რადგან **"ისეთი პატარა ქვეყნისადმი, როგორიც საქართველოა, საერთაშორისო ინტერესი უფრო და უფრო იზრდება."** სააკაშვილი კიდევ უფრო მოხარული იქნება იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად უფრო მეტ ძალისხმევას გამოიჩენს.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ერთად, სააკაშვილს დახურულ კარს მიღმა გუშინ, საქართველოში აშშ-ს ელჩი რიჩარდ მაილსიც შეხვდა. საუბარი შეეხო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის ადამ ერლის განცხადებას, რომელიც სამხრეთ ოსეთში სიტუაციის დარეგულირებას შეეხებოდა. ერლის განცხადებით, აშშ შეშფოთებულია ამ რეგიონში არსებული სიტუაციით და მოუწოდებს საქართველოს, გააგრძელოს მუშაობა რუსეთის და სამხრეთ ოსეთის ლიდერებთან რეგიონში დაძაბულობის შესანელებლად. ერლიმ მხარეებს ნებისმიერი პროვოკაციული ქმედებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა.

**"სამხრეთ ოსეთში მართლაც რთული სიტუაციაა. და ახლა რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭების დრო არ არის,"** - ასეთი იყო უკვე თავად რიჩარდ მაილსის კომენტარი. მისი აზრით, კონფლიქტის მოგვარების საკითხში ეუთო უფრო მეტად უნდა იყოს ჩართული. როგორც შეხვედრის შემდეგ რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში კონსტანტინ გრებლიამ განაცხადა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბრწყინვალედ აუხსნა დიპლომატებს, თუ რა ხდება სამხრეთ ოსეთში. რუმინეთის ელჩი ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა. სააკაშვილთან შეხვედრიდან გამოსული ელჩების აზრით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებული დაპირისპირება მშვიდობიანი მეთოდებით გადაწყდეს, რისთვისაც ისინი, თავის მხრივ, ძალისხმევას არ დაიშურებენ.

*ლელა მჭედლიძე*

## ოპოზიცია კომპენსაციის გაცემას მოითხოვს

საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლები" საქართველოს ხელისუფლებას ამჯერად საჯარო სამსახურიდან რეფორმების შედეგად გათავისუფლებული მოქალაქეებისადმი უყურადღებობაში სდებს ბრალს და მათთვის სოციალური დაცვის პირობების გაუმჯობესებისთვის ფიქრისკენ მოუწოდებს.

ოპოზიციამ ამისათვის ზრუნვა, როგორც ჩანს, თავადვე დაიწყო და ხელისუფლებას ცვლილებებსაც სთავაზობს "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში და "საქართველოს შრომის კანონთა" კოდექსში. პარლამენტში განსახილველად მის გამოტანას კი "მემარჯვენეები" საშემოდგომო სესიების პირველივე სხდომებზე აპირებენ.

**"საბიუჯეტო ორგანიზაციებში განხორციელებული რეფორმების შედეგად 100 ათასზე მეტი ადამიანი უმუშევარი დარჩა, ხოლო სახელმწიფომ მათი უფლებების დაცვასა და კომპენსაციების გაცემაზე არ იზრუნა. ჩვენ შემცირებების წინააღმდეგნი არ ვართ, ნამდვილად გაზრდილია საბიუჯეტო ორგანიზაციებში შტატები, მაგრამ სახელმწიფო ვალდებულია, საკუთარი მოქალაქეების სოციალურ დაცვაზე იზრუნოს,"** - განაცხადა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე პარლამენტარმა დავით საგანელიძემ.

"მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლების" მიერ მომზადებული კანონპროექტი გათავისუფლებული საჯარო მოხელეებისთვის, წელთა ნამსახურობის მიხედვით, დიფერენცირებული კომპენსაციის გადახდას ითვალისწინებს.

ოპოზიციონერი ფრაქცია, ასევე, იმ კანონების ამოქმედებას მოითხოვს, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ გადაავადა.

საქმე ეხება იმას, რომ საჯარო სამსახურის შესახებ კანონით გათვალისწინებულია გარკვეული დანამატები როგორც სამსახურიდან გათავისუფლების, ისე შვებულების დროს. თუმცა, შარშან დეკემბერში პარლამენტმა ამ მუხლის ამოქმედება 2005 წლამდე გადადო. ანალოგიურად გადავადდა შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებული მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების პირობები - კომპენსაცია და წინასწარი გაფრთხილება.

საქართველოს ნოვატორი ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებებს ბიუჯეტის სიმწირით ამართლებს, "მემარჯვენეები" კი მას კომპენსაციის გაცემის წყაროებზე მიუთითებენ.

**"ეს შეიძლება იყოს ის გრანტები და დახმარებები, რომელსაც საქართველო დონორი ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან იღებს. ეს თანხა მილიარდ დოლარს აღწევს. ამასთან, პარიზის კლუბის გადაწყვეტილებით, საქართველოს საგარეო ვალების მომსახურება გადაუვადეს და, შედეგად, გათავისუფლდა გარკვეული თანხა, ათობით მილიონი ლარი, რომელიც სწორედ სოციალურ სფეროს და სამსახურებიდან გათავისუფლებული მუშაკების უფლებების დაცვას უნდა მოხმარდეს,"** - ამბობს საგანელიძე.

ამავე ფრაქციის "მრეწველი" წევრი ზურაბ ტყემალაძე კი აცხადებს, რომ სახელმწიფო, კონსტიტუციით არის ვალდებული, დათხოვნილი ადამიანებისთვის დახმარების გაწევა უზრუნველყოს.

ძირითადად, ბიზნესის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული საპარლამენტო ფრაქცია არ ივიწყებს მცირე მეწარმეობას და აცხადებს, რომ სამსახურებიდან გათავისუფლებულ საქართველოს მოქალაქეებს აღნიშნული კომპენსაციები ერთად უნდა მიეცეს, რათა მათ შეძლონ მცირე ბიზნესის წამოწყება - პურის საცხობების, საფუნთუშეებისა და ფერმერული მეურნეობის შექმნა.

დავით საგანელიძე, გუშინ, რევოლუციით გადაყენებული ხელისუფლების დამსახურებებსაც არ ივიწყებდა და მათ მიერ ჩატარებულ რეფორმებს იხსენებდა ექიმების შემცირებასთან დაკავშირებით, როდესაც ედუარდ შევარდნაძის მთავრობამ მათ 1.500, 1.200 და 800 ლარი კომპენსაციის სახით გადაუხადა.

*ნინო გომართელი*

## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 3 000 000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 27 ივლისს, გამოტანილ იქნება N26 აუქციონზე, რომელიც შედგება 2004 წლის 28 ივლისს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2004 წლის 28 ივლისს 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

# კონფლიქტის ზონაში წყალს თავად რუსი სამშვიდობოები ამღვრევენ




*რუს სამშვიდობოებს მაინცა და მაინც ახლა მოუნდათ ტექნიკის როტაცია.*

იური ლობოდინის ფოტო

პირველი გვერდიდან

21 ივლისს კი, როკის გვირაბით 40 ახალთახალი "ბეემპე" და "ბეტეერი" შემოიტანეს.

როდესაც ქართულმა მხარემ ეს უკანასკნელი ფაქტი გააპროტესტა, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა "განმარტა", რომ შერეულ სამშვიდობო ძალებში შემავალ სამხრეთ ოსეთის ბატალიონს აღნიშნული საბრძოლო ტექნიკა მწყობრიდან გამოსული და ჩამოწერილი "ბეემპეებისა" და "ბეტეერების" სანაცვლოდ გადაეცა, "სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონი" კი, როგორც ასეთი, ოფიციალურ დოკუმენტებში საერთოდ არ არის მოხსენიებული.

1994 წლის 6 დეკემბერს მოსკოვში რუსეთის, საქართველოს და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლებმა, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე, ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლითაც დამტკიცებულია კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო საგუშაგოების განლაგების სქემა. 10 წლის წინათ გადაწყდა, რომ შექმნილიყო 25 საგუშაგო, აქედან 7 - რუსული, 9-9 - ქართული და ჩრდილოოსური. ამასთან, თითოეულ პოსტზე სამივე ბატალიონის წარმომადგენლები და დამკვირვებლები უნდა მდგარიყვნენ. რაც შეეხება "სამხრეთოსურ ბატალიონს", ამ დოკუმენტში, როგორც აღვნიშნეთ, ის საერთოდ არ ფიგურირებს.

მეტიც, 1994 წლის 6 დეკემბრის შეთანხმების მიხედვით, სამხრეთ ოსეთის მხარეს საერთოდ ეკრძალება შეიარაღებული ფორმირებების ყოლა (მილიციის გარდა). ამიტომ, როდესაც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი ვიაჩესლავ სედოვი "სამხრეთ ოსეთის ბატალიონის საბრძოლო ტექნიკის როტაციაზე" საუბრობს, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა - მაინც რომელ სამხრეთოსურ შეიარაღებულ ფორმირებას გაეგზავნა ეს მძიმე შეიარაღება?

როგორც სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა აცხადებს, ამ კითხვაზე პასუხის მიღებას ისიც დღემდე ამაოდ ცდილობს.

რაც შეეხება ჩრდილოოსურ ბატალიონს, მისი არსებობა დაგომისის 1992 წლის შეთანხმებით არის გათვალისწინებული, რაც ხაინდრავას გაუმართლებელ დათმობად მიაჩნია.

**"თუ რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს, მაშინ სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილია, ისევე, როგორც ჩრდილოეთ ოსეთი - რუსეთისა. ამ შემთხვევაში, გაუგებარია, საიდან გაჩნდა "ჩრდილოოსური ბატალიონის" ფენომენი, სამხრეთოსური სამხედრო ქვედანაყოფი კი, წესით, საერთოდ არ უნდა არსებობდეს ბუნებაში. ხოლო თუ ჩრდილოოსურ ბატალიონში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები მსახურობენ, ეს უკვე შერეული სამშვიდობო ძალების შექმნის შესახებ შეთანხმების უხეშ დარღვევას წარმოადგენს,"** - აცხადებს გოგა ხაინდრავა.

ამ გაუგებრობაში "სიცხადის შეტანას" ცდილობს კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების სარდალი სვიატოსლავ ნაბზდოროვი. მისი განმარტებით, ვიაჩესლავ სედოვი შეცდა, როდესაც განაცხადა, რომ კონფლიქტის ზონაში შემოტანილი 40 ერთეული საბრძოლო ტექნიკა სამხრეთ ოსეთის ბატალიონისთვის იყო განკუთვნილი.

**"ნუ, რა ვქნათ, შეცდა ამხანაგი სედოვი, ზოგჯერ მეც კი ვცდები ხოლმე. მძიმე ტექნიკა კი ნამდვილად ჩრდილოოსურ ბატალიონ "ალანიასთვის" არის განკუთვნილი,"** - აღნიშნავს რუსული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში გენერალი ნაბზდოროვი. აქვე უნდა ითქვას, რომ ორიგინალობას იგი თავის თანამემამულე ჟურნალისტთან საუბარშიც იჩენს. მათი დიალოგი ასეთია:

ჟურნალისტი: "გამოდის, რომ კონფლიქტის ზონაში ორი რუსული და ერთი ქართული ბატალიონი დგას".

ნაბზდოროვი: "არა, მე არ მითქვამს, რომ რუსული ბატალიონი ორია".

ჟურნალისტი: "კი მაგრამ, ჩრდილოეთ ოსეთი ხომ რუსეთია".

ნაბზდოროვი: "ჩრდილოეთ ოსეთი - ჩრდილოეთ ოსეთია, მათ ჰყავთ არა შეიარაღებული ძალების, არამედ პრეზიდენტის ბატალიონი"(?!).

ასე რომ, სვიატოსლავ ნაბზდოროვი მხოლოდ ქართველ ჟურნალისტებს როდი აოცებს თავისი "გამჭრიახობით". თუმცა, რუსი გენერლის ტყუილში გამოჭერა არც ისე ძნელია: 19 ივლისს ცხინვალში გამართულ მოლაპარაკებებს საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელი განჩო განჩევიც ესწრებოდა, რომლის თქმითაც, **"რუსი სამშვიდობოების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამხრეთოსურ ბატალიონში მოძველებული ჯავშანტექნიკა ახლით უნდა შეიცვალოს".**

განჩო განჩევი იმასაც ადასტურებს, რომ **"ჩრდილოოსურ ბატალიონში სამხრეთ ოსეთის ის წარმომადგენლებიც მსახურობენ, ვისაც რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული".**

# დავითაშვილი და ძიძიგური სამშვიდობოების გაყვანას მოითხოვენ




*კობა დავითაშვილის და ზვიად ძიძიგურის აქცია რუსეთის საელჩოსთან.*

იური ლობოდინის ფოტო

**"ე.წ. სამშვიდობოებმა აუცილებლად უნდა დატოვონ სამაჩაბლო და აფხაზეთი!"** - ამ მოთხოვნით გუშინ პარლამენტარებმა კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა, ეროვნულ ძალთა გაერთიანების ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან ერთად, რუსეთის საელჩოს შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს.

ძიძიგურისა და დავითაშვილის აზრით, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება სამშვიდობოების საკითხს დადებითად არ გადაწყვეტს, სამაჩაბლოს და აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაზე ფიქრიც ზედმეტია. ოპოზიციონერმა პარლამენტარებმა შეიმუშავეს სპეციალური მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი, სადაც ისინი დაგომისის ხელშეკრულების გაუქმებას მოითხოვენ. მათი აზრით, ხსენებული ხელშეკრულება, რომელიც კონფლიქტის ზონაში რუსი სამხედროების განლაგების იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს, **"ხელმოწერილია რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და არალეგიტიმური, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიერ. ამდენად, არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი ქართული მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა."**

გარდა სამშვიდობოების გაყვანისა, აქციის მონაწილეები მოითხოვენ, რომ პრეზიდენტმა დღის წესრიგში დააყენოს რუსეთის სამშვიდობოების პასუხისმგებლობის საკითხი გალში. **"საერთოდ, სამშვიდობოებმა პასუხი უნდა აგონ კონფლიქტის ზონაში ჩადენილი დანაშაულებისათვის. მით უმეტეს, რომ ამის პრეცედენტი შეიქმნა ე.წ. პრიდნესტროვიეს საქმეში",** - განაცხადეს გუშინ აქციის ორგანიზატორებმა.

დავითაშვილი და ძიძიგური აპირებენ, პარლამენტართა ხელმოწერები შეაგროვონ და ამის შემდეგ გადასცენ პრეზიდენტს მიმართვის ტექსტი.

*24 საათი*

### ოფიციოზი

## საქართველოს მთავრობის განკარგულება №80

*2004 წლის 22 ივლისი ქ. თბილისი*

საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ.

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით:

**მუხლი 1.** "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ერთ თვეში განხორციელდეს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაცია.

**მუხლი 2.** ამ განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების უზრუნველსაყოფად შეიქმნას სალიკვიდაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კახა ბენდუქიძე - საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

ნათია თურნავა - საქართველოს ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ;

ვასილ გიგოლაშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

ეკატერინე გურეშიძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე;

თამარ სულუხია - კომისიის წევრი.

**მუხლი 3.** ამ განკარგულების მე-2 მუხლით შექმნილმა სალიკვიდაციო კომისიამ უზრუნველყოს საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ბალანსზე რიცხულ მატერიალურ ფასეულობათა, დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა სრული ინვენტარიზაცია და სალიკვიდაციო ბალანსის შედგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით, აგრეთვე შესაბამისი დაფინანსების, საშტატო რიცხოვნობისა და ქონების საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის გადაცემა.

**მუხლი 4.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ორ კვირაში უზრუნველყოს სამინისტროს დებულების შემუშავება და მასში ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სისტემის, მათ შორის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და მათი უფლებამოსილების შესაბამის საკითხთა გათვალისწინება.

**მუხლი 5.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ იუსტიციის სამინისტროს კოორდინაციით უზრუნველყოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადება და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა.

**მუხლი 6.** კომისიამ გაწეული მუშაობის შესახებ რეგულარულად მოახსენოს საქართველოს მთავრობას.

**მუხლი 7.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

*ზურაბ ჟვანია*

## საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №643

*2004 წლის 22 ივლისი ქ. თბილისი*

მესტიის რაიონში სტიქიის შედეგად გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციოდ სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ.

მიმდინარე წლის 15-16 ივლისს სტიქიის შედეგად მესტიის რაიონში მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ:

1. შეიქმნას სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ჯამბულ ბაკურაძე - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

რომან დალაქიშვილი - საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე;

თამარ ლებანიძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი;

ვასილ მაღლაფერიძე - საქართველოს პარლამენტის წევრი;

ზურაბ მელიქიშვილი - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;

ლერი ჭითანავა - საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთში;

ერეკლე ჯაფარიძე - მესტიის რაიონის გამგებელი;

ვიქტორ ჯაფარიძე - მესტიის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი;

დავით შერვაშიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

2. სამთავრობო კომისიამ:

ა) დაადგინოს მესტიის რაიონში სტიქიის შედეგად სახელმწიფოსა და მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის რაოდენობა;

ბ) დასახოს მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებები და განახორციელოს ამ ღონისძიებათა შესრულების კონტროლი;

გ) მიიღოს ქმედითი ზომები უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დროულად დასახმარებლად.

*ზურაბ ჟვანია*

### გამოხმაურება

## გაზეთ "24 საათის" მთავარ რედაქტორს

ბატონო რედაქტორო,

თქვენს გაზეთში №172 22.07.2004 წ. საქართველოს პრეზიდენტისადმი გამოქვეყნებულ მიმართვას "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ბორჯომის ხეობას კატასტროფით ემუქრება" ხელს მეც ვაწერ (28-ე ნომრით), რადგანაც ნამდვილად ვიზიარებ სათაურშივე მოყვანილ ძირითად თეზისს, რის გამოც მე ხელი მოვაწერე ამ მიმართვას მინაწერით "ვეთანხმები ყარაყაიას ვარიანტს", რომელიც აღარ ფიგურირებს".

მე ჩავთვალე, რომ ამ მინაწერით მკაფიოდ გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება მიმართვაში მოყვანილ სხვა ასპექტებთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

*თ. მდინარაძე*
*სს "საქწყალპროექტის" პროექტის მთავარი ინჟინერი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ბიუჯეტი 2004

## შემოსავლები - შესრულებულია, ხარჯები - ნაწილობრივ გარღვეული, გრანტები - მისაღები

პირველი გვერდიდან

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტი საქართველოში გუშინ დაიწყო და მისი შედეგების შესახებ ერთი კვირის შემდეგ გახდება ცნობილი. საქართველოს ხელისუფლება ოპტიმისტურად არის განწყობილი და მომავალ გეგმებს გრანტების სრულად მიღების იმედით აწყობს.

მართალია, ოფიციალურ კომენტარს მომავალში გაზრდილი ხარჯების შესახებ არავინ აკეთებს, თუმცა უკვე ცნობილია, რომ მთავარი პრიორიტეტი თავდაცვა იქნება, თუმცა გამორიცხული არ არის, ხელისუფლება, უკვე ტრადიციისამებრ, გარკვეული სოციალური ხარჯების გაზრდაზეც წავიდეს.

ხარჯების გაზრდამდე, ცხადია, 6 თვის ბიუჯეტის შედეგებია დასათვლელი, რომელიც ჯერ მთავრობაში არ დაუთვლიათ და არც "შესაბამის სტრუქტურებში" დაუგზავნიათ.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის და კვლევის ცენტრის მიერ ფინანსთა სამინისტროს ხაზინის მონაცემების საფუძველზე გაკეთებული ანალიზის შედეგად კი ჩანს, რომ: 2004 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მონაცემებით, შესრულებულია 113 პროცენტით, ანუ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 636.47 მლნ ლარისა, ამოღებულია 721.17 მლნ ლარი. მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები შესრულებულია 117 პროცენტით, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საგადასახადო შემოსავლები შესრულებულია 104 პროცენტით, ხოლო საგზაო ფონდი - 114 პროცენტით.

რაც შეეხება დეფიციტის დაფინანსების წყაროებს - 95.12 მლნ გამოყენებულია სახაზინო ვალდებულებებისათვის, 19.52 მლნ-ის და საერთაშორისო ორგანიზაციების ინვესტიციური კრედიტებია 57.52 მლნ ლარი.

საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების მუშაობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საგადასახადო დეპარტამენტმა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 6 თვის გათვალისწინებული პარამეტრის შესრულება 5-პროცენტიანი გადაჭარბებით შეძლო, ხოლო საბაჟო დეპარტამენტმა იგივე პარამეტრის შესრულება - 6-პროცენტიანი გადაჭარბებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლები, ნაცვლად 66.33 მლნ ლარისა, მობილიზებულია 119.47 მლნ ლარი, ანუ 80 პროცენტით მეტი, ვიდრე დაგეგმილი იყო. აღსანიშნავია, რომ გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, ბიუჯეტის შემოსავლები გაზრდილია 278 მლნ ლარით.

რაც შეეხება ხარჯებს, სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 6 თვის პარამეტრით დაგეგმილია 882.13 მლნ ლარი, ხოლო საბიუჯეტო "ვალდებულებები" - 509.6 მლნ ლარი. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის და კვლევის ცენტრის აზრით, ხაზინის მიერ "ვალდებულების" გეგმაზე დაბალი მაჩვენებლით დაგეგმვა შემდეგი სახის გაუგებრობებს იწვევს: ფინანსთა სამინისტროს მონაცემით, შესრულება "ვალდებულების" მიმართ გადაჭარბებულია 8 პროცენტით, ხოლო გეგმის მიმართ გარღვევაა 16 პროცენტი. მათი თქმით, აღსანიშნავია, რომ 6 თვის შესრულებაში 16 პროცენტი წარმოადგენს ერთ თვეს, ანუ გეგმის მიმართ ხარჯებში ჩავარდნა გვაქვს ერთი თვე.

თუმცა, ამასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ "ვალდებულებების" სიმცირე "ხარჯების" გეგმასთან შედარებით, ხშირ შემთხვევაში, გამოწვეულია მიმღები ორგანიზაციების მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობით, ან - ბიუჯეტში გათვალისწინებული სამუშაოების წინასწარ დაგეგმილზე ნაკლებ ფასად შესრულებით, ე.ი. სახსრების ეკონომიით და ასე შემდეგ. ანუ ეს არ ნიშნავს, რომ ბიუჯეტს გასაწევი ხარჯები დაუფინანსებელი დარჩა.

მიუხედავად ამ განმარტებისა, უდავოდ საინტერესოა "24 საათის" მიერ მოკვლეული ციფრები, რომელთა თანახმადაც, "დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში" ხარჯები გარღვეულია თვით ისეთ პრიორიტეტულად შერაცხულ სფეროებში, როგორიცაა თავდაცვის სფერო. კერძოდ: თავდაცვის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 1 ივლისის მდგომარეობით კვების ხარჯების დაზუსტებული გეგმა შესრულებულია სულ 79,8 პროცენტით, ანუ გარღვევა 20 პროცენტს შეადგენს. მედიკამენტების შეძენის გრაფა სულ 17 პროცენტითაა დაფინანსებული, არაფერს ვიტყვით ოფისის და კომუნალური ხარჯების დაფინანსებაზე, რომელიც ჯარში ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლავთ.

ხარჯები გარღვეულია ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში - ანუ მორიგ "პრიორიტეტულ" სფეროში: ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებათა პრევენციის და ეპიდკონტროლის სახელმწიფო პროგრამა დაფინანსებულია 63 პროცენტით, სოციალური სფეროს და ფუნქციური რეფორმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა - 61,6 პროცენტით, გარღვევაა დაფინანსებაში სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხაზითაც.

ასე რომ, პრობლემები 2004 წლის ბიუჯეტში ნამდვილად არსებობს. ეს პრობლემები ბევრად ნაკლებია, ვიდრე 2003 და 2002 წლებში თუ მათ წინამორბედ ბიუჯეტებში, თუმცა ბიუჯეტის შესრულებით საერთო აღფრთოვანების ფონზე, მათზე თვალის დახუჭვა კარგი ტონი ნამდვილად არ იქნება.

## 2004 ბიუჯეტის შევსების დამატებითი წყარო - ექსჩინოვნიკთა შენატანები

სოფიკო ოხანაშვილი

*გასული წლებისგან განსხვავებით, წლევანდელ ბიუჯეტს დაფინანსების ახალი წყარო გამოუჩნდა - პროკურატურა სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების გამფლანგველ ექსჩინოვნიკებს "დაერია" და, თავისუფლების სანაცვლოდ, სოლიდური თანხების გადახდაც დააკისრა. "24 საათი" დაინტერესდა ამ მეთოდით დაგროვილი თანხის მთლიანი მოცულობით. სხვადასხვა შესაბამის ინსტანციებთან დაკავშირების შემდეგ, მხოლოდ იმის გარკვევა შევძელით, რომ თავისუფლებისთვის გადახდილი თანხის ზუსტი მოცულობა საქართველოს ხელისუფლებაში არავინ იცის, ხოლო თუ იცის, რატომღაც ამ ინფორმაციას მალავს.*

| | სახელი და გვარი | გადახდილი თანხა ლარებში |
|---|---|---|
| "მაგთის" გენერალური დირექტორი | გია ჯოხთაბერიძე | 30,000,000 |
| "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი | აკაკი ჩხაიძე | 6,035,000 |
| მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ხელმძღვანელი | ვახტანგ ჩახნაშვილი | 3,000,000 |
| ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი | მერაბ ადეიშვილი | 3,000,000 |
| ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი | მერაბ ჟორდანია | 740,000 |
| საგადასახადო დეპარტამენტის უფროსი | ისაკ ზაუტაშვილი | 600,000 |
| კონტროლის პალატის თავმჯდომარე | სულხან მოლაშვილი | 270,000 |
| "ქართული ზღვრის" ხელმძღვანელი | თენგიზ გოგოლაშვილი | 223,750 |
| თბილისის სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელი | შოთა მეფარიძე | 200,000 |
| საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე | ლევან კილაძე | 100,000 |
| ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი | ბონდო შალიკიანი | 280,000 |
| სულ გადახდილი თანხა ლარებში | | 44,448,750 |

პატიმრობიდან გასათავისუფლებლად გადახდილი თანხის ბიუჯეტში მოხვედრის ორი გზა არსებობს: პირდაპირი, როგორც ეს ექსპრეზიდენტის სიძის გია ჯოხთაბერიძის შემთხვევაში მოხდა (მან 15 მილიონი დოლარი პირდაპირ ბიუჯეტში გადაიხადა) და არაპირდაპირი, ანუ პროკურატურის სადეპოზიტო ანგარიშის გავლით. ამ ანგარიშზე მოხვედრილი თანხა ბიუჯეტში მხოლოდ საქმის ძიების შეწყვეტისა და სასამართლოს საბოლოო ვერდიქტის გამოტანის შემდეგ გადავა (აღსანიშნავია, რომ ექსპერტები ამგვარი შენატანების ფაქტებს სამართლებრივად დაურეგულირებელ აქტებად თვლიან, თუმცა ამას, როგორც ცნობილია, სამართალდამცველებისთვის ხელი სულაც არ შეუშლია).

სადეპოზიტო ანგარიშზე და ბიუჯეტში მოხვედრილი თანხების შესახებ ზუსტი ინფორმაციის გასაგებად პროკურატურას მივმართეთ, სადაც, ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად ხაზინისკენ მიგვითითეს. ხაზინამ კვლავ პროკურატურისთვის მიმართვა "გვირჩია".

"24 საათი" ბიუჯეტში გადარიცხული თანხის მოცულობის გარკვევის მიზნით ფინანსთა სამინიტროსაც დაუკავშირდა, მაგრამ ეს მცდელობაც ამაო აღმოჩნდა - ფინანსთა სამინისტროში კვლავ ხაზინისკენ მიგვითითეს, იმ არგუმენტით, რომ ეს თანხა ხაზინაში პროკურატურის სადეპოზიტო ანგარიშზე იყრის თავს და ხაზინის გარეშე არც ერთი თეთრი არსად არ გადაირიცხება.

სამი დღის განმავლობაში, მოთხოვნის მიუხედავად, ხაზინამ ინფორმაცია არ მოგვაწოდა. მათი მთავარი არგუმენტი ასეთია: ინფორმაცია დამუშავების სტადიაშია, დეტალები პროკურატურასთან უნდა შეთანხმდეს და მომზადებისთანავე გამოგიგზავნით.

ზუსტი ინფორმაცია უცნობია, სხვადასხვა მონაცემებით ამ გზით "მობილიზებულმა" თანხამ 100 მილიონამდე ლარი შეადგინა, თუმცა პროკურატურაში მხოლოდ რამდენიმე კონკრეტული რიცხვის დაზუსტება შევძელით.

თავისუფლება ყველაზე ძვირი (15 მილიონი დოლარი) ექსპრეზიდენტის სიძეს გია ჯოხთაბერიძეს დაუჯდა. მას მოსდევენ "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი დირექტორი აკაკი ჩხაიძე (სამი მილიონ 17 ათას 500 დოლარი) და მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ექსხელმძღვანელი ვახტანგ ჩახნაშვილი (სამი მილიონი ლარი). თუმცა, "თავისუფლების მყიდველთა" სიაში რიგით პირველი ფეხბურთის ფედერაციის ექსპრეზიდენტი მერაბ ჟორდანია აღმოჩნდა. მისმა ახლობლებმა და მეგობრებმა ჟორდანიას პატიმრობიდან დახსნაში 740 ათასი ლარი გადაიხადეს. ბიუჯეტში გადაირიცხა ტყიბულის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატის ბონდო შალიკიანის მიერ პატიმრობიდან გასათავისუფლებლად გადახდილი 280 ათასი ლარი და სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა შალიკიანის კუთვნილი ბიზნეს-წილები - ელექტრომექანიკურ და სატრაქტორო ქარხნებში, გლდანის ხორცკომბინატში, ასევე, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის საამქრო (ორი საერთო საცხოვრებლით), სანატორიუმი "საირმე", 20-მდე ბენზინგასამართი სადგური, ტელეარხი "ქუთაისი" და ა.შ.

სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა სულხან მოლაშვილის საკუთრებაში არსებული 130 ათას ლარად შეფასებული წავკისის აგარაკი და ლევან კენჭაძის კერძო ქონებაც (სახლები და აგარაკები).

შალიკიანის ყოფილი ბიზნეს-წილები სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს გადაეცა. რაც შეეხება კერძო ქონებას, მათ შორის - მოლაშვილის წავკისის ყოფილ აგარაკსაც, მას ამჟამად ეკონომიკის სამინისტრო განკარგავს. ამ სიას მალე ლევან მამალაძისა და გოგი კუპრეიშვილის სახლები და აგარაკებიც შეემატება. შესაძლოა, წლის ბოლომდე მთავრობამ სახელმწიფო საკუთრებაში გადასული ქონების გასხვისება გადაწყვიტოს და პრივატიზაციის შედეგად მიღებული დამატებითი თანხებიც ბიუჯეტში შევიდეს.

გთავაზობთ ჩვენს მიერ პროკურატურიდან მოძიებული მასალების მიხედვით შედგენილ ცხრილს. თუმცა ცხადია, ეს მონაცემები, არასრულია.

## შემოსავლები აქციზური პროდუქციიდან

საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის მთავარი პარამეტრი ყოველთვის იყო აქციზური პროდუქციიდან მისაღები შემოსავლები, რომლის შეუსრულებლობა, როგორც წესი, ბიუჯეტის გარღვევის მთავარი მიზეზი ხდებოდა ხოლმე. სწორედ თამბაქო და ნავთობპროდუქტები გახლდათ ის ბიზნესი, რომელშიც სამთავრობო კლანების ინტერესები ყველაზე აშკარად იკვეთებოდა.

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ 2004 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დიდი წილი არასაგადასახადო შემოსავლებზე, განებავთ, პროკურატურის აქტიურობაზე მოდის, თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ აქციზური პროდუქციიდან მიღებული შემოსავალი (თამბაქო, ნავთობპროდუქტები, ალკოჰოლური სასმელები) მიმდინარე წლის 6 თვეში მართლაც სერიოზულად არის გაზრდილი.

აქციზური პროდუქციიდან, გასულ ექვს თვეში, ბიუჯეტში შემოსავლებმა გასულ წლებთან შედარებით უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია. ნავთობპროდუქტებიდან, თამბაქოდან და ალკოჰოლური სასმელებიდან ამოღებული თანხების მოცულობა წელს, პირველ ორ კვარტალში, გასული წლების შესაბამის პერიოდთან შედარებით, თითქმის გაორმაგებულია, რიგ შემთხვევაში, გასამმაგებულიც კი.

მართალია, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ოფიციალურად დაფიქსირებული პროდუქციის მასშტაბები ქვეყანაში რეალურად მოხმარებული პროდუქციის მასშტაბებისგან საკმაოდ შორსაა, თუმცა ამ სფეროების ნაწილობრივ მაინც "გათეთრება" აშკარაა და ამას ქვემოთ მოყვანილი ციფრებიც მოწმობს.










### საზოგადოებრივი აზრი

**დავით ანდღულაძე, რეჟისორი, "ახმეტელის თეატრის" ხელმძღვანელი:**
კულტურაში კატასტროფული ვითარებაა, რაც თეატრებისთვის ბიუჯეტის აბსოლუტურად არაგონივრულად და უსამართლოდ შემცირებამ გამოიწვია.

არ ვიცი, ამ ყველაფრის გამო ვის მოეთხოვება პასუხი და არ მინდა დავიჯერო, რომ ამგვარი გადაწყვეტილება ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო, რადგან ბოლო ათწლეულების მანძილზე რაც ნორმალურად ფუნქციონირებდა და არსებობდა, ეს იყო თეატრი.

ამჟამად, "ახმეტელის თეატრი" ფუნქციონირებს შარშანდელი ბიუჯეტით, ხელფასების და კომუნალური გადასახადების დაფინანსებასაც იქიდან იღებს. ამ წლის ბიუჯეტში კი მოჭრილია შარშანდელის ერთი მესამედი, ანუ კატასტროფის წინაშე ვდგავართ.

საქართველოში მოქმედი თეატრების ხელმძღვანელებს გვესმის, რომ მთავრობისთვის პრიორიტეტულია ისეთი სფეროების დაფინანსება, როგორიცაა, მაგალითად, თავდაცვა, მაგრამ გაუგებარია, რატომ არ არის პრიორიტეტული კულტურა, რომელიც დღეისათვის ასე მაღალ დონეზე დგას.

**ირინა კოშორიძე, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის აღმოსავლეთ განყოფილების გამგე:**
გასული წლებისგან განსხვავებით, სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები მიმდინარე წელს შეუფერხებლად ვიღებთ ხელფასებს, რაც ძალზე სასიამოვნოა, თუმცა მუზეუმისთვის აუცილებელი სხვა სახის დაფინანსებები, უბრალოდ, არ არის.

როგორც ჩანს, წლევანდელი ბიუჯეტი მართლაც სრულდება, მაგრამ არაფერს აზრი არ ექნება, კულტურული დაწესებულებებისადმი მიდგომა თუ არ შეიცვალა.

ცვლილებები არის მხოლოდ თეორიულ დონეზე, ჩანს ხელისუფლების მხრიდან მზადყოფნა, მაგრამ არაფრის განხორციელება დაწყებული არ არის, გარდა იმისა, რომ ხელფასების სტაბილური მიღება ხდება.

ქვეყნის მთავრობამ აუცილებლად უნდა გაზარდოს სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების სფეროების დაფინანსება, მაგრამ კულტურასაც აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება, რადგან ყველა ნორმალური ქვეყანა ისტორიაში კულტურით შედის და ცივილიზაცია გვახსოვს არა ქვეყნის მმართველთა სახელებით, არამედ მიქელანჯელოთი და ლეონარდოთი, ანუ, ხელოვნება არის მუდმივი.

**გელა მუხაშავრია, ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, "რესპუბლიკის პროქტოლოგიის ცენტრის" დირექტორი:**
როგორც ამ ბოლო დროს ჩანს, წლევანდელი, ანუ ახალი ხელისუფლების მიერ შემუშავებული ბიუჯეტი გასული წლებისას სჯობს, როგორც რიგი დარგების დაფინანსების მხრივ, ისე მისი შესრულების თვალსაზრისით. თუმცა, არის პრობლემები მედიცინაში, რომელსაც თანხები აუცილებლად ესაჭიროება.

მაგალითად, საჭიროა ტუბერკულოზის, ონკოლოგიის, ბავშვთა საავადმყოფოების და სასწრაფო გადაუდებელი ქირურგიის დაფინანსება, რომლებისთვისაც თანხები, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

დღესდღეობით ძალზე მრავლადაა კერძო კლინიკები, თუმცა ისინი, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ცუდ მდგომარეობაშია და მათ დახმარება სჭირდება.

რაც შეეხება ზოგადად სფეროებს, რომელთა დაფინანსებაც სახელმწიფომ უნდა გაზარდოს, ეს, პირველ რიგში, არის თავდაცვა და შემდეგ კულტურა, რადგან საქართველო სწორედ რომ კულტურით არსებობს.

**ლელა იაკობაშვილი, მეცნიერ-მუშაკი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი:**
რიგითი ადამიანის თვალსაზრისით, მინდა გითხრათ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, რეალურად, ჩემს ოჯახურ ეკონომიკურ მდგომარეობას უკეთესობა არ დატყობია.

საბიუჯეტო ფონდიდან ამჟამად ხელფასები გაიცემა სტაბილურად და იანვარ-თებერვლის შემდეგ პრობლემა ნამდვილად არ ყოფილა. სამაგიეროდ, აღარ გაიცემა და შეფერხდა ფასიანი სექტორის ხელფასი, რაც ძალზე სამწუხაროა, რადგან იგი საბიუჯეტო ხელფასზე მაღალია.

მე, როგორც განათლებისა და კულტურის სფეროში მომუშავე ადამიანს, მიმაჩნია, რომ ეს ორი სფერო თუ არ დაფინანსდა და თანაც სოლიდურად, ძალზე ცუდი ვითარება იქნება, რადგან კულტურა და განათლება ინახავს საზოგადოებას და არა პირიქით.

თუმცა, თუ დავფიქრდებით, პრიორიტეტული სფეროები სახელმწიფოსთვის დღეს, შესაძლოა, სხვაც იყოს.

**ავთო ვარსიმაშვილი, რეჟისორი:**
ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, შარშანდელთან შედარებით ვითარება გაუარესდა.

შარშანაც და მანამდეც, ვამბობდით, რომ "გრიბოედოვის თეატრისთვის" არასაკმარისი თანხები იყო გამოყოფილი და წელს, გამოსწორების ნაცვლად, გაცილებით ნაკლები თანხები გამოიყო.

საგრძნობლად არის გამოსწორებული ხელფასების გაცემა და ამით ძალიან კმაყოფილები ვართ, თუმცა დაგვაკლეს კომუნიკაციის თანხები და მომავალში რითი უნდა განათდეს თეატრი, უცნობია.

ჩემი აზრით, ამ ქვეყანაში მთავრობისთვის შეიძლება მხოლოდ ორი რამ იყოს პრიორიტეტული - ეს არის ჯარი და კულტურა. სხვა არც ერთ სფეროში მე საერთოდ არ ჩავდებდი ფულს, რადგან ისინი ამ ქვეყანას არაფერს მოუტანს.

**გია ბუღაძე, სამხატვრო აკადემიის რექტორი:**
ჩემი აზრით, წლევანდელი ბიუჯეტი გაცილებით უფრო რეალისტურია, ვიდრე იყო წინა ხელისუფლების პირობებში, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტს ტრაგი-კომიკური სახე ჰქონდა.

ალბათ, ახალი ხელისუფლება მეტი ყურადღებით მიუდგება ამ საკითხს და უფრო რეალისტურ ბიუჯეტს შემოგვთავაზებს, თანაც დონორთა აქტიურობა და დასავლური დახმარებები ჩვენს ბიუჯეტს უფრო კონკრეტულ სახეს მისცემს.

სამხატვრო აკადემიაში ხელფასების გაცემა ბოლო ექვსი თვის მანძილზე ბევრად უფრო სტაბილურია, ვიდრე გასულ წლებში და, ამ მხრივ, გარკვეული გამოცოცხლება ნამდვილად იგრძნობა.

მთავრობისთვის, რა თქმა უნდა, სოციალური სფეროები უნდა იყოს უმნიშვნელოვანესი, მაგრამ დაფინანსების მხრივ, თავდაცვა პრიორიტეტული თემაა, რადგან ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტია.

*ნინო გომართელი*

### ექსპერტთა აზრი

**ირაკლი იაშვილი:** მე არ მაქვს ზუსტი მონაცემები ბიუჯეტის შესრულების შესახებ, მაგრამ ზოგადად, ბიუჯეტი ცუდი იყო. იყო ასეთი ტენდენცია, რომ სულ უბიუჯეტოდ ყოფნას, რაც გვაქვს, იმის მიღება სჯობსო, რაც არასწორია. იყო ბევრი ხარვეზი, გაუწერელი ციფრები და ა.შ. ეს ციფრები კი მერე ბევრ კითხვას იწვევს. მე დავსვი კიდეც ეს საკითხი პრემიერ-მინისტრთან და მისგან კონკრეტული პასუხი ვერ მივიღე, ასევე, არასაგადასახადო შემოსავლების ნაწილში არ იყო ასახული ძალიან დიდი რაოდენობის თანხები, მათ შორის - 30 მილიონი ლარი, რომელიც ჯოხთაბერიძემ გადაიხადა და ეს მაშინ, როცა ბიუჯეტის მიღებისთვის უკვე მიღებული გვქონდა ეს თანხები. ალბათ, ახლა შემოიტანენ კორექტირებას და იმ თანხას აჩვენებენ, თუმცა, უკვე როგორც გაზრდილ შემოსავალს. ეს კი არ იქნება სწორი, რადგან ეს თანხა მაშინ იყო მიღებული და მაშინ უნდა ასახულიყო ბიუჯეტში.

ადრე, საქართველოს მთავრობას არასოდეს გამოუკვეთია პრიორიტეტები, ანუ ყოველთვის მოქმედებდა პრინციპი - მივცეთ ყველას, ოღონდ, ცოტ-ცოტა. შედეგად, ვერავინ ღებულობს იმდენს, რომ რალაც დასრულებულ ციკლში მოვიდეს მის მიერ გასაკეთებელი საქმე. ამ ბიუჯეტში ეს ტენდენციაც გაგრძელებულია.

მაგალითად, ფოთში ზღვის შემოტევაა და სანაპიროს დაცვისათვის ბიუჯეტიდან ხუთი ათასი ლარი გამოიყოფა. მითხარით, ამ თანხით როგორ უნდა გავაჩეროთ შავი ზღვა? ასე უბრალოდ ბევრი ფული არის გაბნეული და არანაირ კონკრეტულ ეფექტს არ იძლევა. წლევანდელ ბიუჯეტში გაზრდილი შემოსავლებიც, ზუსტად ვიცი, რომ ასეთნაირადვე გადანაწილდება. კარგი იქნება, თუ თავდაცვას გაუზრდიან დაფინანსებას, რადგან წინა წელთან შედარებით, თავდაცვას პროცენტულად დაფინანსება შემცირებული აქვს. თუ გვინდა თავდაცვა სრულყოფილი იყოს და ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოებული, თავდაცვის ბიუჯეტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, დაახლოებით, სამ პროცენტამდე უნდა ავიდეს. ახლა ჩვენთან ეს მაჩვენებელი ერთს უახლოვდება. შემდეგ უნდა დაფინანსდეს ის, რაც სახელმწიფო ვალდებულებაა. როდესაც სრულმასშტაბიან პრივატიზაციაზე ვლაპარაკობთ, ეს აუცილებლად უმუშევრობის ზრდას გამოიწვევს და, რა თქმა უნდა, ფასების ზრდას. ეს უდავოა. მოხდება ქონების პრივატიზაცია, ამიტომ იმ ხალხის ბედი, ვინც ამ დაწესებულებებში მუშაობდა, უნდა იყოს გარკვეული. ამ ხალხის ანაზღაურება რომ მოხდეს, ჩვენ კანონპროექტიც კი შემოგვაქვს. თუ ბიუჯეტში მეტი ფული შემოვა, შესაბამისად, მეტი უნდა დაიხარჯოს.

**სანდრო თვალჭრელიძე:** ამ ბიუჯეტში არაფერი ექსტრაორდინალური არ მომხდარა. ბიუჯეტი ნელ-ნელა სრულდება. თუ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაიზრდება, პირველ რიგში, დაფინანსება თავდაცვას და სოციალურ სფეროს უნდა გაეზარდოს. არ მგონია, რომ მთავრობამ წინა წლებივით ყველა სფეროზე თანაბრად გადაანაწილოს დაფინანსება, ვფიქრობ, ის პრიორიტეტებს დასახავს. პრეზიდენტმა უკვე თქვა, რომ თავდაცვა არის პრიორიტეტული. პრიორიტეტებში სოციალური სფეროც აუცილებლად უნდა შევიდეს.

**დემურ გიორხელიძე:** გასული წლის შეუსრულებელ ბიუჯეტთან შედარებით, წელს ტენდენციები დადებითია, თუმცა სრული აღფრთოვანების ან დაიმედების საშუალება აღმასრულებელ ხელისუფლებას არ გააჩნია. ადმინისტრირება შედარებით გამკაცრდა. თუმცა, შემოსავლების ზრდას ეკონომიკური აქტივობის ზრდას ვერ მიაწერ. რეალურად, დღევანდელ ეკონომიკურად გაურკვეველ სიტუაციაში ეკონომიკური აქტივობა შემცირებულია. მაგრამ, იმის გამო, რომ ძალიან დიდი ჩრდილია, ხდება ამ ჩრდილის გარკვეული ნაწილის გათეთრება, მით უმეტეს, დღეს შიშის მომენტიც მოქმედებს და საგადასახადო ინსპექციებიც უფრო აქტიურად მუშაობენ.

ვფიქრობ, რომ შემოსავლების ზრდის ასეთი ტემპი არ შენარჩუნდება, თუ ეკონომიკური აქტივობის ტემპი არ გაიზრდება.

ამასთან, პირველ რიგში შესაცვლელია ხარჯების სტრუქტურა. თავისთავად, ხარჯვითი ნაწილის გაზრდა აუცილებლობით არის განპირობებული, თანაც, ამას გაზრდა არ ჰქვია, მინიმალურად აუცილებელი ხარჯებიც კი არ გაიღება დღეს სტრუქტურების შესანახად. თუმცა, არის ცენტრალური პრობლემა, ეს არის ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები, ანუ ურთიერთობა ცენტრსა და რეგიონს შორის. სანამ ეს პრობლემა არ მოგვარდება, სანამ ცენტრალური ხელისუფლების ექსკლუზიური უფლებები არ დაიწერება კანონში, სანამ პრობლემას ვაწყდებით თავზეხელაღებულ პრივატიზაციასთან დაკავშირებით, ეს პრობლემები არ მოგვარდება.

**ბესო ჯუღელი:** დაახლოებით ვიცი, რომ ბიუჯეტის ექვსი თვის მიხედვით 180 მილიონი ლარის გადაჭარბებაზეა საუბარი. მთავარი შეფასება არის ის, რომ ქართული ზეპირსიტყვიერებიდან ამოვარდა სიტყვა "სეკვესტრი", რაც ძალიან ბევრს ნიშნავს. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე პირველად არის სიტუაცია, როცა არ ხდება სეკვესტრი, პირიქით - ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა. ძირითადი პარამეტრები მიღწეულია საგადასახადო-საბაჟოს კუთხით, ჩემი ინფორმაციით, დაახლოებით 50 მილიონი ლარი - ბანდიტებისთვის ჩამორთმეული თანხებია. მე როგორც ვიცი, გრანტებს ველოდებოდით და მთავრობის სხდომაზე განხილვა ამიტომ გადაიდო. ასე რომ, წარმოიდგინეთ, როგორი მატება გვაქვს. რაც შეეხება შემოსავლების შემდგომ გადანაწილებას, ძირითადი პრიორიტეტები არის თავდაცვა და სოციალური სფერო. მე პარლამენტში აუცილებლად დავაყენებ მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დაფინანსების საკითხს. მაქსიმალურად უნდა მივმართოთ თანხები ამ მიმართულებით. მე მაქვს ინფორმაცია სეისმოლოგებისაგან, რომ საკმარისია ორბალიანი მიწისძვრაც კი, რომ ყველაფერი დაინგრევა, ამიტომ სასწრაფოდ უნდა შევეცადოთ, მაქსიმალურად გადავქაჩოთ მათკენ თანხები. ასევე, გარკვეული დახმარება ქალაქის მეურნეობას სჭირდება.

*დიანა ჩაჩუა*

# მთავრობა პრეზენტირებული საგადასახადო განაკვეთების შეცვლას არ აპირებს

*გუდაურში მუშაობა დაასრულა საგადასახადო კოდექსზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფმა. ჯგუფის მუშაობის შედეგების პრეზენტაცია მომავალი კვირისთვის იგეგმება. თუმცა, უკვე ცნობილია, რომ ხელისუფლება არ აპირებს შეცვალოს ერთი თვის წინ გამომზეურებული ის საგადასახადო განაკვეთები, რომლებიც მეწარმეთა ნაწილმა უკვე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა.*

გუდაურის შეხვედრამ ცხადყო, რომ ფინანსთა სამინისტრო ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის შეცვლას არ აპირებს, - ასეთ დასკვნას აკეთებს ბიზნესკონფედერაციის სამუშაო ჯგუფი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, აუდიტორთა ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ ხარატიშვილმა პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში განაცხადა, რომ საგადასახადო კოდექსის პროექტზე მუშაობა გუდაურში დასრულდა, თუმცა ფინანსთა სამინისტროსთან პრინციპულ საკითხებზე შეთანხმება ვერ მოხერხდა.

ექსპერტთა ჯგუფში ფინანსთა მინისტრის მოადგილე ზურაბ ანთელიძე შედიოდა.

ხარატიშვილის განცხადებით, საგადასახადო კოდექსმა უპირველესად მეწარმისა და მაკონტროლებლის თანაბარუფლებიანობა უნდა უზრუნველყოს, რასაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ფინანსთა სამინისტროს მომზადებული პროექტი - "საგადასახადო ინსპექციის მხრიდან მეწარმის მიმართ გარკვეული შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მაკონტროლებელმა კი არ უნდა ამტკიცოს გადამხდელის ბრალეულობა სასამართლოს საშუალებით, არამედ მეწარმემ უნდა დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა," - განაცხადა მან.

გარდა ამისა, ექსპერტებს საგადასახადო კოდექსის მიერ სამოქალაქო კოდექსის ფუნქციების შეთავსება დაუშვებლად მიაჩნიათ.

ეკონომიკის ექსპერტის, სოსო სიმონიშვილის აზრით, მეწარმის დასასჯელად სამოქალაქო კოდექსის მოშველიება საჭირო აღარ არის.

"ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი ფინანსთა სამინისტროს უფლებას აძლევს, საწარმოს ანგარიშზე თანხის უქონლობის შემთხვევაში მეწარმეს სამართლებრივი პასუხი საკუთარი ქონების კონფისკაციით აგებინოს. გარდა ამისა, პროექტის თანახმად სამართლებრივი მტკიცებულების ტვირთი მწარმოებელს ეკისრება, რისი პრეცედენტიც განვითარებულ ქვეყნებში არ მოიძებნება. შესაბამისად, ახალი კოდექსით ძალაში რჩება მოქმედი კოდექსის ნორმა, რომლის მიხედვით მეწარმე, მაკონტროლებლის უკანონო ქმედების შემთხვევაში, საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად იძულებულია, სასამართლოში სარჩელი თავად აღძრას. პროცედურა ხანგრძლივი და ძვირადღირებულია, ამიტომ მწარმოებელი თანხის გადახდას ირჩევს," - ამბობს იგი.

როგორც ზურაბ ხარატიშვილმა განაცხადა, ფინანსთა სამინისტრომ არ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია, რომ საგადასახადო სამსახურმა აუდიტის ფუნქცია არ უნდა შეითავსოს. ფინანსთა სამინისტროს პროექტის თანახმად, კოდექსი საგადასახადო სამსახურს უფლებას აძლევს, თავად დაადგინოს დაყადაღებული ქონების ფასი და გამართოს აუქციონი.

*24 საათი*

# დაიწყო სსფ-ს მისიის ვიზიტი საქართველოში

გუშინ საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტი დაიწყო. მისიის ხელმძღვანელმა პაოლო ნეოჰაუსმა პირველი შეხვედრა "საქართველოს ეროვნული ბანკის" პრეზიდენტთან ირაკლი მანაგაძესთან გამართა. ორსაათიანი შეხვედრა მისიის ხელმძღვანელმა ისე დატოვა, რომ ჟურნალისტებისთვის კომენტარი არ გაუკეთებია.



*ქვეყანას საგანგაშო არაფერი აქვს, ვინაიდან პირველი 6 თვის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების ინდექსი სტაბილური იყო.*

იური ლობოდინის ფოტო

"საქართველოს ეროვნული ბანკის" პრეზიდენტის ირაკლი მანაგაძის განცხადებით კი, მას შემდეგ, რაც 2 თვის წინ სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭომ საქართველოსთვის 3-წლიანი პროგრამა დაამტკიცა, ეს ფონდის მისიის ხელმძღვანელთან პირველი შეხვედრაა და მისი ვიზიტის ძირითად მიზანს სწორედ ამ პროგრამის მიმოხილვა წარმოადგენს.

მისივე თქმით, შეხვედრაზე ძირითადი ყურადღება ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე გამახვილდა. **"ამ თვალსაზრისით, ქვეყანას საგანგაშო არაფერი აქვს, ვინაიდან პირველი 6 თვის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების ინდექსი სტაბილური იყო,"** - აღნიშნა ირაკლი მანაგაძემ.

სავალუტო ფონდის მისია საქართველოში გუშინ ჩამოვიდა. მისი ხელმძღვანელი პაოლო ნეოჰაუსი შეხვედრას მთავრობის წევრებთანაც გამართავს. მისია საქართველოს 4 აგვისტოს დატოვებს. 4 აგვისტოს გახდება ცნობილი, თუ როგორ აფასებს სსფ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ წარმოებულ ეკონომიკურ პოლიტიკას. მისიასთან შეთანხმდება 2004 წლის ბიუჯეტის კორექტირების პარამეტრებიც.

# გაზის ვალების გასტუმრებაზე ფინანსთა სამინისტროც იზრუნებს

ნიკა მარიამიძე

გუშინ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში გაზისა და ელექტროენერგეტიკის საკითხებს საგანგებო შეხვედრა მიეძღვნა. ამ საკითხზე შუადღისას, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან გამართულ თათბირს ენერგეტიკის, ეკონომიკური განვითარების და ფინანსთა მინისტრები - ნიკა გილაური, კახა ბენდუქიძე და ზურაბ ნოღაიდელი, ასევე, თბილისის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე ესწრებოდნენ.

როგორც პრემიერ-მინისტრისგან გამოსული ნიკა გილაური ჟურნალისტებს უცხადებდა, თუ თბილისის მოსახლეობამ გაზის საფასური სტაბილურად და სრულად არ გადაიხადა, თბილისის უწყვეტი გაზმომარაგება სათუო გახდება.

გილაურის განცხადებით, თბილისის გაზმომარაგების პრობლემების მოგვარებაში ფინანსთა სამინისტრო ინტენსიურად ჩაერთო. ნოღაიდელის უწყებამ "თბილგაზთან" ერთობლივად გაზის ექსკლუზიური მომწოდებელი კომპანიის 12 მილიონდოლარიანი დავალიანების დაფარვის გრაფიკი შეიმუშავა, რომელიც "გაზექსპორტს" უკვე წარუდგინა. თუ "გაზპრომის" შვილობილმა ეს გრაფიკი მოიწონა, ის თბილისს გაზის მოწოდებას სრულად აღუდგენს. რუსეთის გაზის გიგანტი კომპანია "გაზპრომის" პრესმდივანი სერგეი კუპრიანოვი აცხადებს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და "თბილგაზმა" "გაზპრომს" უკვე წარუდგინეს ვალის გასტუმრების გრაფიკი, რომელსაც ახლა რუსეთის მხარე განიხილავს. "თბილგაზის" ინფორმაციით, მიწოდებული ბუნებრივი აირის საფასურზე მიმდინარე დავალიანება 10 მილიონ დოლარს აღწევს. "გაზპრომი" ამ დავალიანებიდან უახლოეს ხანში 0,5 მილიონი დოლარის დაფარვას მოითხოვს, რათა თბილისის გაზმომარაგება არ შეიზღუდოს. მიმდინარესთან ერთად, გასასტუმრებელია წინა წლების დავალიანებაც, რომელიც 50 მილიონ დოლარს აჭარბებს. თუმცა, "გაზპრომი", ამ ეტაპზე, მხოლოდ ამ ვალის გასტუმრების გრაფიკს სჯერდება.

ამჟამად გაზი დედაქალაქის თითქმის ნახევარს არ მიეწოდება, რისი მიზეზიც სწორედ "გაზექსპორტის მიმართ დაგროვილი "თბილგაზის" დავალიანებაა. ვალის გასტუმრებამდე "გაზექსპორტმა" თბილისს გაზის მოწოდება დღე-ღამეში 370 ათასი კუბური მეტრიდან 200 ათასს კუბურ მეტრამდე შეუმცირა. გაზმომარაგება შეწყვეტილი აქვს ვარკეთილს, თემქას, მოსკოვის პორსპექტს და ჩუღურეთს.

ამასობაში კი, პრეტენზიები მატულობს "თბილგაზის" მენეჯერთა მიმართ. გუშინ თბილისის საკრებულოს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარემ დავით ხუციშვილმა საკრებულოს წევრებისგან საგანგებო კომისიის შექმნა მოითხოვა, რომელმაც "თბილგაზის" მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები უნდა შეისწავლოს. ხუციშვილი მიიჩნევს, რომ "თბილგაზში" ახალი მენეჯმენტის შესვლის შემდეგ კომპანიაში არაფერი შეცვლილა და თბილისის გაზმომარაგების ცენტრალური ქსელის ოპერატორი კომპანია ახლა სტრუქტურულ რეფორმას საჭიროებს.

კომისია ერთი კვირის ვადაში უნდა გაერკვეს "თბილგაზის" მუშაობაში, ზამთრისთვის კომპანიის სამზადისში და "თბილგაზის" მართვის სისტემის დასახვეწად რეკომენდაციები მოამზადოს.

ცნობისათვის: "თბილგაზის" სტრუქტურულ გარდაქმნასა და მენეჯმენტის სრულყოფასთან დაკავშირებული რეკომენდაციები რამდენიმე წლის წინ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით "გეოინჯინერინგმა" ჩაატარა, თუმცა მაშინ მათი რეკომენდაციების შესრულება კომპანიის მმართველებმა ვერ მოახერხეს.

# "საქრუსენერგო" ზამთრისთვის ემზადება

გუშინ "საქრუსენერგოს" აქციონერთა სხდომა გაიმართა, რომელსაც საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური და თბილისში ვიზიტით მყოფი "რაოესის" გამგეობის საბჭოს წევრი ანდრეი რაპოპორტი დაესწრნენ. სხდომაზე "საქრუსენერგოს" 2003 წლის საქმიანობის ანგარიში დაამტკიცეს, 2004 წლის ბიუჯეტი განსაზღვრეს და მომავალი ზამთრისთვის მზადების ღონისძიებები დასახეს.

"საქრუსენერგო" 1996 წელს შეიქმნა. კომპანიის აქციები ქართულ და რუსულ მხარეებს თანაბრად - 50-50-ზე აქვთ გაყოფილი, თუმცა რუსულ მხარეს განხორციელებული კაპიტალდაბანდების გათვალისწინებით, კომპანიაში აქციათა მხოლოდ 37 პროცენტი ეკუთვნის, წილის 50 პროცენტამდე შესავსებად ორგანიზაციაში რუსულმა მხარემ დამატებით 23 მლნ. დოლარის ქონება უნდა ჩადოს.

ქართულ-რუსული ერთობლივი კომპანიის "საქრუსენერგოს" შექმნის დროს აღებული ვალდებულებები, მართალია, რუსულ მხარეს ჯერაც არ შეუსრულებია და საწესდებო კაპიტალი სრულად არ შეუვსია, მაგრამ დღევანდელ სხდომაზე ქართული მხარე ამ საკითხის დასმას ჯერ მაინც არ გეგმავს.

"საქრუსენერგო" საქართველოში მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების, მათ შორის, "კავკასიონის" და "იმერეთის" ექსპლუატაციას ახორციელებს. ქვეყანაში რუსული ელექტროენერგია მისი მეშვეობით შემოდის, მაგრამ მისივე გადამცემი ხაზებით რუსული ელექტროენერგია ტრანზიტით თურქეთშიც გადის.

*ინტერ-პრესი*



# ეუთო ყაზახეთის მედიაზე ზეწოლაში ადანაშაულებს

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნების წინ მთავარ ოპოზიციურ გაზეთზე სანქციების დადების გამო, ყაზახეთის ხელისუფლებას მკაცრად აკრიტიკებს.

ორგანიზაციის კრიტიკა ერთგვარად ეხმაურება დასავლელი დიპლომატების, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებისა და ოპოზიციური ჯგუფების განცხადებებს, რომ ყაზახეთის მმართველი წრეები 19 სექტემბერს დანიშნული არჩევნების წინ თავისუფალ მედიაზე სერიოზულ ზეწოლას ახდენენ.



ნურსულთან ნაზარბაევი რეპუტაციის შებღალვას არა მარტო ადგილობრივ, არამედ უცხოურ მედიასაც არ შეარჩენს.

გასულ კვირას, სასამართლომ "ასანდი თაიმს"-ს 50 მლნ. ტენგეს (370 ათასი აშშ დოლარი) ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა, დააყადაღა გაზეთის უძრავი ქონება და საბანკო ანგარიშები. ასეთი გადაწყვეტილება გაზეთის მიერ "პრეზიდენტის ადმინისტრაციის რეპუტაციის შერყვნამ" გამოიწვია.

ეუთო-ს მედიის თავისუფლების წარმომადგენელი მიკლოშ ჰარასტი ამბობს, რომ აღნიშნული საკითხი საგარეო საქმეთა მინისტრ კაზიჟომარტ ტაკაევთანაც დააყენა. "პირველ რიგში, ჩემი შეშფოთება იმას უკავშირდება, რომ ეს გადაწყვეტილება ოპოზიციის მთავარ ბეჭვდით ორგანო "ასანდი თაიმს"-ს აიძულებს, ბიზნესიდან წავიდეს, ანუ ფაქტობრივად, გაზეთი დაიხურება, - აცხადებს ჰარასტი, - ეს კიდევ უფრო შეამცირებს ყაზახეთში ისედაც მცირე ოდენობის პლურალისტული აზრის გამოთქმის საშუალებას, და ეს მაშინ, როცა საპარლამენტო არჩევნებამდე რვა კვირა რჩება. საერთოდ კი, ის უფრო მაწუხებს, რომ კანონმდებლობა მსგავსი განაჩენის გამოტანის საშუალებას იძლევა".

"ასანდი თაიმსი", ადრინდელი "რესპუბლიკა", რამდენჯერმე უკვე იყო თავდასხმის ობიექტი. 2002 წელს გაზეთის ოფისის კარებზე, გაფრთხილების ნიშნად, თავმოჭრილი ძაღლის გვამი ჩამოჰკიდეს, რომელსაც მინაწერიც ახლდა - "ეს ბოლო გაფრთხილებაა". ამ ამბის შემდეგ, გაზეთის მთავარი რედაქტორი ირინა პეტრუშოვა საზღვარგარეთ ცხოვრობს. "ასანდი თაიმს"-ში ხშირად ქვეყნდებოდა მასალები, რომლებშიც პირდაპირ იყო საუბარი ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის კორუფციასთან კავშირზე. სწორედ ამის გამო, გაზეთს ცილისწამებაში დასდეს ბრალი. "ჩვენ რეგულარულად ვაქვეყნებთ სტატიებს, რომლებიც ხელისუფლებას აღიზიანებს. ამის გამო გვდევნიან. დღეს ხელისუფლება დევნისათვის სასამართლოს იყენებს," - განუცხადა "ასანდი თაიმს"-ის ადვოკატმა სერგეი უტკინმა "როიტერს". მისივე სიტყვებით, გაზეთი ეცდება გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა ადვოკატს მხოლოდ ჯარიმის შემცირების იმედი თუღა აქვს.

ნურსულთან ნაზარბაევი ნავთობით მდიდარ შუააზიურ რესპუბლიკას 1989 წლიდან უდგას სათავეში. სხვა შუააზიური რესპუბლიკების ლიდერთა მსგავსად, ისიც ერთპიროვნულად მართავს ქვეყანას და ნაკლებად აინტერესებს, რას ფიქრობს ოპოზიცია. სხვათა შორის, ნაზარბაევმა რამდენიმე დღის წინ განცხადებაც გააკეთა, რომ მისმა ადვოკატებმა შესაძლოა უცხოურ საინფორმაციო საშუალებებსაც უჩივლონ "ქვეყნის დისკრედიტაციის" მცდელობისათვის. საერთოდ აღსანიშნავია, რომ არც ერთ პოსტსაბჭოთა ლიდერს თავისუფალი მედია თვალში არ მოსდის.

სექტემბერში დაგეგმილ არჩევნებში, ნაზარბაევის მიერ დაფუძნებული პარტია "ოტანი"-ს გარდა, ანალიტიკოსები გამარჯვებას მისი ქალიშვილის, დარიგას პარტიასაც უწინასწარმეტყველებენ. ამის გარანტი კი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონოპოლიზაციასა თუ დაშინებასთან ერთად, მძლავრი ადმინისტრაციული ბერკეტებიც იქნება.

ყაზახეთს ეუთო-ს თავმჯდომარეობა 2009 წელს მოუწევს, თუმცა რუსეთისა და კიდევ რამდენიმე პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკის მსგავსად, ისიც აცხადებს, რომ ევროპული ორგანიზაციის ქმედებები ქვეყნის სუვერენიტეტის უპატივცემულობას გულისხმობს.

# სამშვიდობო გეგმა მაკედონიაში არეულობების მიზეზი ხდება



მაკედონიას ალბანელებთან საზღვარი პრობლემად გადაექცა.

გუშინ მაკედონიის პოლიციასა და საპროტესტო აქციის მონაწილეთა შეტაკების დროს უამრავი ადამიანი დაშავდა. პარასკევს დილით, სკოპიეს ქუჩებში ათასობით მაკედონელი გამოვიდა მთავრობის გეგმის გასაპროტესტებლად, რომელიც ეთნიკურ ალბანელთა უფლებების გაზრდას ითვალისწინებს. შეგახსენებთ, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკაში ალბანელები მოსახლეობის საერთო რიცხვის 25 პროცენტს შეადგენენ.

მაკედონიის სამხრეთში მდებარე ქალაქ სტრუგაში მთელი ღამის განმავლობაში მომხდარი დარბევები, 2001 წელს მომხდარი დაპირისპირების შემდეგ, ყველაზე მასშტაბური კონფლიქტია. ამ რაიონში ეთნიკური ალბანელების დიდი რაოდენობა ცხოვრობს.

ქალაქში არეულობები აგრესიულად განწყობილი ბრბოს მიერ ალბანელთა კუთვნილი მაღაზიებისა და ავტომობილების დარბევითა და დაზიანებით დაიწყო. ბრბოს რისხვას ხელისუფლების წარმომადგენლებიც ვერ გადაურჩნენ, ქვეყნის "დეცენტრალიზაციის" ახალი მოდელის საპასუხოდ, მათ ქვები და შეურაცხმყოფელი სიტყვები მიიღეს.

სიტუაცია ისე გართულდა, რომ აღელვებელი გამომსვლელების ალყაში ორი საათის განმავლობაში მყოფი, მაკედონიის თავდაცვის მინისტრის, ვლადო ბუჩკოვსკის თავისი პარტიის სტრუგას შტაბ-ბინიდან ევაკუაცია ძლივს მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ შეგროვილმა ხალხმა მის ადგილსამყოფელს ქვები და "მოლოტოვის კოქტეილი" დაუშინა, ოფიციალური ინფორმაციით, მინისტრი არ დაშავებულა.

სტრუგას ქუჩებში მიმდინარე აქციას ძნელად თუ უწოდებდი მშვიდობიანს. ზოგიერთი მონაცემებით, დემონსტრანტთა შორის შეიარაღებული პირებიც იყვნენ. მათ ევროკავშირის წარმომადგენელთა მანქანებიც არ დაინდეს და ცეცხლი გაუჩინეს. სამი წლის წინ მომხდარი კონფლიქტის შემდეგ, როდესაც მაკედონია სამოქალაქო ომის დაწყების საფრთხეს უდიდესი ძალისხმევის ფასად გადაურჩა, ევროკავშირი მთავარი მედიატორის ფუნქციას ასრულებს. მათ 160 სამართალდამცავიც ჰყავთ განთავსებული კონფლიქტის ზონაში. "ნათელია, რომ საპროტესტო გამოსვლები კიდევ უფრო გამძაფრდება, ასე რომ, ჩვენ სიტუაციის დაკვირვებას გავაგრძელებთ", - ამბობს ევროკავშირის მისიის ოფიციალური წარმომადგენელი შეენა თომპსონი, ორშაბათს სკოპიეში დაგეგმილ შეკრებასთან დაკავშირებით.

სტრუგას პოლიციის მონაცემებით, მინიმუმ, 30 ადამიანია დაშავებული, მათ შორის 15 - ადგილობრივი პოლიციიდან, ხოლო ერთი - ევროკავშირის მისიიდან. შეგახსენებთ, გასული წლის დეკემბერში ნატო-ს წარმომადგენლები სწორედ ევროკავშირის მისიამ ჩაანაცვლა.

ნატო-მ სამი წლის წინ მაკედონიაში თავისი შეიარაღებული ძალები გაგზავნა, რათა ალბანელი პარტიზანების განიარაღებაზე კონტროლი დაემყარებინა, რომელთაც კოსოვოს პროვინციის მოსაზღვრე რეგიონი ჰქონდათ დაკავებული. ნატო-ს ძალების შესვლამ მაკედონიაში სამთავრობო ძალებთან ალბანელი მეამბოხეების რამდენიმეთვიან ბრძოლას ბოლო მოუღო.

დაპირისპირების ხელახალი ძალით გამწვავება იმით არის განპირობებული, რომ შეთანხმება, რომელმაც ალბანელებსა და მაკედონელებს შორის ბრძოლა შეწყვიტა, რეალურად მხოლოდ ახლა შედის ძალაში. აღნიშნული შეთანხმების საბოლოო ფაზა კი, უპირატესად ალბანელებით დასახლებულ რაიონებში ალბანური ენის ძირითად ენად გამოცხადებაა. გეგმის თანახმად, ადმინისტრაციული საზღვრები შეიცვლება და, მაგალითად, დღეისათვის შერეული ქალაქი სტრუგა ალბანური ქალაქი გახდება. ასეთ რაიონებში სკოლებზე, ჯანდაცვასა და ადგილობრივ ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლი ალბანელი ლიდერების ხელში გადადის. სწორედ ეს გახდა მაკედონიის 2-მილიონიანი მოსახლეობის აღშფოთების მიზეზი, რომელთაც ჩათვალეს, რომ ამ გეგმით ქვეყნის დანაწევრებას ეყრება საფუძველი.

თუ ეს გეგმა განხორციელდა, მაკედონიის დედაქალაქი სკოპიე ორენოვანი ქალაქი იქნება, სადაც ქუჩებში წარწერებიცა და ოფიციალური დოკუმენტებიც ორივე ენაზე - ალბანურსა და მაკედონურზე უნდა იწერებოდეს. ალბანური ენა ოფიციალური ენა გახდება იმ მუნიციპალიტეტებისთვისაც, სადაც მოსახლეობის 20 პროცენტს ალბანელები შეადგენენ.

მაკედონიის ტერიტორიაზე ეთნიკურ ალბანელთა უმეტესობა ალბანეთისა და კოსოვოს პროვინციის მოსაზღვრე რაიონებში ცხოვრობენ. შეგახსენებთ, ოფიციალურად, დღემდე სერბეთის შემადგენლობაში შემავალ კოსოვოს პროვინციაში 2001 წლიდან, ანუ ნატო-ს ძალების მიერ დაკავებიდან მოყოლებული, ადმინისტრირებას გაერო ახორციელებს.

საგულისხმოა, რომ დასავლეთი უკვე სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს ალბანური ნაციონალიზმის ზრდის გამო. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ თუ კოსოვო დამოუკიდებლობას მოიპოვებს, რამდენიმე წელიწადში ბალკანეთზე, შესაძლოა, "დიდი ალბანეთის" ჩამოყალიბების საკითხიც დაისვას, რომელშიც თავად ალბანეთის გარდა, კოსოვო და მაკედონიის ნაწილი შევა.

*24 საათი*

# ერაყში არჩევნებს ესპანელი ექსპერტები დაესწრებიან

ესპანეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ მზადაა, ერაყში მომავალ წელს დაგეგმილი არჩევნებისთვის ექსპერტები გაგზავნოს, თუმცა, ესპანეთის მზაობა და ინტერესი ერაყის მიმართ არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ იგი იქ საჯარისო შენაერთების შეყვანასაც ხელმეორედ შეეცდება.

ესპანეთის ახალმა სოციალისტურმა მთავრობამ, რომელმაც მარტში მადრიდში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ მმართველი სახალხო პარტია შეცვალა, აშშ-ს ადმინისტრაციისთვის არასასიამოვნო ნაბიჯი გადადგა, როდესაც ერაყიდან 1 300 სამხედრო მოსამსახურე გამოიყვანა. ესპანეთის ასეთი ქმედება მომავალში ტერორისტული აქტების თავიდან აცილების მიზნით განხორციელდა.

ხელისუფლების შეცვლა კი ესპანეთში 11 მარტს განხორციელებულმა ტერაქტმა განაპირობა, რომელმაც 190 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ხოლო 1 400 ადამიანზე მეტი დაშავდა.

21 ივლისს, ნიუ იორკში გაერო-ს გენერალურ მდივანთან, კოფი ანანთან შეხვედრისას ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, მიგელ ანხელ მორატინოსს ექსპერტთა არც მივლინების თარიღი და არც რაოდენობა დაუკონკრეტებია, რომელთა გაგზავნასაც ესპანეთი ერაყში სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისთვის აპირებს. არჩევნები ერაყში ქვეყნის გარდამავალი ადმინისტრაციული სამართლის თანახმად, 2004 წლის 31 დეკემბრისთვის თუ არა, 2005 წლის 31 იანვრამდე მაინც უნდა ჩატარდეს.

როგორც საგარეო უწყების მეთაურმა განაცხადა, კოალიციური ჯარების მიერ მართვის სადავეების ერაყის დროებითი მთავრობის გადაცემის შემდეგ ესპანეთი ამ ქვეყანაში უკვე არა ჯარს, არამედ ექსპერტთა მისიას გაგზავნის არჩევნების დასაკვირვებლად.

# რუსეთს ისლამური ექსტრემიზმის წახალისების გამო სანქციები ელის

რუსეთს სუდანთან იარაღით ვაჭრობის გამო მკაცრი საერთაშორისო სანქციები ემუქრება. მაშინ, როცა სუდანელი არაბები აფრიკელი ხალხის გენოციდში არიან ბრალდებულნი, მოსკოვი ხართუმს ავიაგამანადგურებლებით ამარაგებს. კვირის დასაწყისში, რუსეთის სახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სიამაყით აღნიშნავდნენ რუსეთის მიერ სუდანისთვის მიგ-29 ტიპის 12 ავიაგამანადგურებლის მიყიდვის ფაქტს. ეს კი რუსეთში მეტად სარფიან ხელშეკრულებად მიაჩნიათ. როგორც კორპორაცია მიგ-ის წარმომადგენლები იუწყებოდნენ, ავიაგამანადგურებლები უკვე სუდანში იმყოფება და მონაწილეობას მიიღებს სუდანის არმიის 50 წლისადმი მიძღვნილ აღლუმში. "იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული ინფორმაცია დადასტურდება, ეს ჩვენს ძლიერ შეშფოთებას გამოიწვევს", - აღნიშნა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა. მისივე განცხადებით, "აშშ სუდანში ნებისმიერი იარაღის შეტანის წინააღმდეგია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ეს სახელმწიფო ხელს უწყობს ტერორიზმს. ტერორიზმის ხელშემწყობი სახელმწიფოებისთვის საბრძოლო შეიარაღების მიმწოდებლების წინააღმდეგ კი უმკაცრესი სანქციები იქნება გატარებული". თუ მიგ-ის კომპანია აშშ-სგან სხვაგვარ რეაქციას ელოდებოდა, ეს, უბრალოდ, საქმიან კრეტინიზმად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამერიკული სანქციები სუდანის წინააღმდეგ ჯერ კიდევ წინა საუკუნიდან მოყოლებული მოქმედებს და განუხრელად სრულდება. თუმცა, აშშ-ს სანქციები წვრილმანია იმ პრობლემებთან შედარებით, რაც რუსეთს მომავალში ამ კონტრაქტის გამო შეიძლება შეექმნას.



სუდანელი არაბები აფრიკელი ხალხის გენოციდში არიან ბრალდებულნი, მოსკოვი ხართუმს მიგ-29 ტიპის ავიაგამანადგურებლებით ამარაგებს

აშშ-ს სანქციების არსი კი შემდეგში მდგომარეობს: ყველა ნორმების დამრღვევ მეწარმე-კომპანიასთან, რომლის აქციებიც ნიუ იორკის ბირჟაზე იყიდება, ურთიერთობა შეწყდება. თუმცა, სანქციების შიში რუსეთის სამხედრო მეწარმეებს ხშირად ხელს არ უშლიდა, იარაღით ვაჭრობა გაეგრძელებინათ. ამის ნათელ მაგალითად კი ირანიც გამოდგება. 22 ივლისს ამერიკამ სანქციები დაუწესა რუსეთის ერთ-ერთ მსხვილ სამხედრო საწარმოს "ალტაის", სარაკეტო ტექნოლოგიების საგარეო სავაჭრო ოპერაციის გამო. თუმცა, მალე სუდანთან სამხედრო ვაჭრობის გამო აკრძალვებს გაერო-ც დააწესებს, ხოლო რუსეთს ან ამ გადაწყვეტილების შესრულება მოუწევს ან სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უშიშროების საბჭოს წევრი, ვეტოს უფლებით სარგებლობს.

საქმე იმაშია, რომ მიგ-ის ტიპის ავიაგამანდგურებლების სუდანისთვის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა სუდანის საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან კეთილგანწყობის პერიოდში - 2001 წელს მოხდა. მანამდე სუდანის წინააღმდეგ უკვე მოქმედებდა გაერო-ს სანქციები, რომლებიც დაწესებული იყო რამდენიმე მიზეზის გამო, კერძოდ, ქვეყნის სამხრეთ რაიონებში ადგილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტის დროს ხართუმის ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევისა და ტერორისტული ჯგუფების მხარდაჭერისათვის (გასული საუკუნის ბოლო პერიოდში იქ იმალებოდნენ ყველაზე ცნობილი ტერორისტები ილიჩ რამირეს სანჩესი ე.წ. "ტურა კარლოსი" და ოსამა ბინ ლადენი).

ამჟამად, სუდანის სამხრეთ ნაწილში სამხედრო მოქმედებები უკვე აღარ მიმდინარეობს, "ტურა კარლოსი" დაჭერილია, ხოლო ბინ ლადენი სუდანიდან უკვე წასულია, მაგრამ სანქციები ხართუმის წინააღმდეგ ჯერ არ მოხსნილა.

ამ აფრიკული სახელმწიფოს სამხრეთ ნაწილში ნეგროიდული რასის წარმომადგენლები ცხოვრობენ, რომლებიც ადგილობრივ დიალექტზე მეტყველებენ. ისინი ალმსარებლობით პროტესტანტი ქრისტიანები არიან და, იმავდროულად, ადგილობრივ კულტებსაც სცემენ თაყვანს, ჩრდილოსუდანელი არაბებისაგან განსხვავებით, რომლებიც სუნიტი მუსლიმები არიან. ადგილობრივი ნეგროიდული რასის წარმომადგენლები მეოცე საუკუნის 80-იან წლებამდე მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, სანამ სოციალისტმა ჯაფარ ნიმეირიმ მთელ ტერიტორიაზე შარიათის კანონები არ აამოქმედა. ისლამის გავრცელებამ სამხრეთში დაპირისპირება გამოწვია, რაც შემდგომში აფრიკის სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ხელისუფლებას დაუპირისპირდა "სუდანის სახალხო-გამათავისუფლებელი არმიის" მოძრაობა, რომელსაც სათავეში ოფიცრები ჯონ გარანგი და კარაბინო კუანი ბოლი ედგნენ. სისასტიკით ერთმანეთს არც ერთი დაპირისპირებული მხარე არ ჩამოუვარდებოდა. თუ გარანგის არმიაში 14 წლის ბავშვები იბრძოდნენ, თანაც არაფხიზელ (მარიხუანით გაბრუებულ) მდგომარეობაში, ხართუმის ხელისუფლება აჯანყებულ მოსახლეობასთან სასტიკი მეთოდებით ანგარიშსწორებას სამარცხვინოდ არ მიიჩნევდა. უკვე მაშინ, იმ თვითმფრინავებიდან, რომლებიც სუდანის მოსახლეობას ბომბავდა, უმრავლესობა საბჭოური წარმოებისა იყო, რადგან სოციალისტი ნიმეირის არმიას, გარკვეულ დრომდე, აქტიურად აიარაღებდა სსრკ.

ამავე პერიოდში თითქმის შეუძლებელი მოხდა. კერძოდ, სამხრეთ სუდანში მიღწეულ იქნა კომპრომისული მშვიდობა, რის შემდეგაც აჯანყებულთა მეთაური გარანგი სამოქალაქო მოსახლეობით დასახლებულ ქალაქ ტორიტში შევიდა. სუდანის დასავლეთ ნაწილში დარფურის პროვინციაში თავი იჩინა სუდანელი არაბების მიმართ მტრულად განწყობილმა ხალხმა. იქ სახლობენ ნეგროიდული რასის ხალხებიც. ისინი გაცილებით უფრო ისლამიზირებულნი არიან და, იმავდროულად, არც ხართუმთან აქვთ კარგი ურთიერთობა.

დარფურში აჯანყებულებისაგან მომავალი საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად ხართუმმა არაბი-ბაგარების ტომის წარმომადგენლებისაგან სახალხო ლაშქარი ჩამოაყალიბა. 2004 წელს ამ რაზმის შედეგად განადგურებული აღმოჩნდა დარფურის ადგილობრივი მოსახლეობა. პროვინციაში დაიწყო შიმშილობა, ცოცხლად გადარჩენილი მოსახლეობა ჩადში ლტოლვილებად იქცა.

არაბი-ბაგარების ტომისაგან შემდგარი სახალხო ლაშქრის ნამოქმედარს "ჯანიავიდი" ეწოდა, რაც "შეიარაღებულ მხედრებს" ნიშნავს. ლოგიკურად ისმის კითხვა, რაღა საჭიროა მიგ-29 ტიპის ავიაგამანადგურებლები?

თუმცა, გაერო უკვე დიდი ხანია ეჭვობს, რომ ხართუმის მიერ სახალხო ლაშქრის მხარდაჭერასთან ერთად, სუდანის შეიარაღებული ძალები თავად იბრძვიან ბაგარების მხარეს, თანაც, ავიაციის გამოყენებით.

ამჟამად კი, სუდანის კონფლიქტის უარყოფითი ეფექტები რუსეთზეც ვრცელდება. აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ორი დღის წინ მიიღო რეზოლუცია, რომელიც დარფურში სუდანელი არაბების მოქმედებას გენოციდად აფასებს. ანალოგიური გადაწყვეტილების მიღებას აპირებს დიდი ბრიტანეთი და ზოგიერთი ევროპული ქვეყანა. ლონდონი და ვაშინგტონი ასევე, დარფურში საერთაშორისო სამხედრო კონტინგენტის შეყვანის პერსპექტივასაც განიხილავენ.

გაერო, რა თქმა უნდა, ნეიტრალურ პოზიციას არ დაიკავებს. აშშ-ს ინიციატივით უშიშროების საბჭოში შეტანილია რეზოლუციის პროექტი, რომელიც სუდანთან ვაჭრობის წინააღმდეგ სანქციების დაწესებასა და სუდანში უცხოელი სამშვიდობოების შეყვანას ითვალისწინებს. როგორც როიტერი იუწყება, თუ ეს რეზოლუცია კენჭისყრაზე იქნება გატანილი, მას მიიღებენ. ამას კი აუცილებლად მოჰყვება რუსეთის დასჯა მიგ-ის ტიპის ავიაგამანადგურებლების ხელშეკრულების გამო.

რუსეთი კი, ჯერჯერობით, როგორც კოფი ანანმა განაცხადა, ჩინეთსა და პაკისტანთან ერთად, ახალი რეზოლუციის წინააღმდეგია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სუდანთან ჩინეთსაც აქტიური სავაჭრო ურთიერთობები აქვს, მათ შორის - სამხედრო სფეროში. თუმცა, თუ საქმე რეზოლუციის კენჭისყრამდე მივა, ამ სამთაგან ვერც ერთი ქვეყანა ამ რეზოლუციას წინ ვერ აღუდგება.

*გაზეტა.რუ*

**ს.ს. "თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

26 ივლისს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:

ყაზბეგის (ნაწილობრივ), ვაჟა-ფშაველას (ნაწილობრივ) გამზირების, ამბროლაურის, ტაშკენტის, თამარაშვილის, ანტონოვსკაიას, ცინცაძის, საირმის, ბურძგლას ქუჩების მაცხოვრებლებს.

# ღვარცოფი თბილისში



ნიაღვრებმა მთელ ქალაქში ოთხმოცამდე დიდი და მცირე ავარია გამოიწვია.

ზაზა ფარუაშვილის ფოტო

23 ივლისს თბილისში მოსულმა ძლიერმა წვიმამ ქალაქის საკანალიზაციო სისტემა გვარიანად დააზიანა. ამასთან დაკავშირებით, გუშინ, "თბილწყალკანალში" საგანგებო თათბირი გაიმართა. კანალიზაციის რაიონულმა საავარიო სამსახურებმა წარმოადგინეს წვიმის მიერ სისტემასა და მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის შესახებ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია: ნიაღვრებმა მთელ ქალაქში ოთხმოცამდე დიდი და მცირე ავარია გამოიწვია. ავარიების ძირითადი მიზეზი გახდა მოსახლეობის მიერ ჯართში ჩაბარების მიზნით მოპარული ხუფების გარეშე დარჩენილ საკანალიზაციო ჭებში ნიაღვრების მიერ ჩატანილი ქვა-ქვიშისა და სხვა მასის საკანალიზაციო მილებში გაჭედვა. ამავე მიზეზით, ცხრა ძმის ქუჩაზე, გაჭედილი და დაზიანებული მილების გამო, მოსახლეობას სახლებში ამოუვიდა ფეკალური მასა. ნაძალადევის რაიონში კი ღვარცოფმა მოგლიჯა საკანალიზაციო ჭების ჩარჩო-ხუფები და მილები იქაც გაჭედა. წყნეთში ძლიერი წვიმის გამო, ოცამდე საკანალიზაციო ავარია დაფიქსირდა. აღდგენითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, ორ დღეში დასრულდება.

*24 საათი*

# მერიას ზარალი ადარდებს, საკრებულოს უგაზობა

ნანა ქადაგიშვილი

*გუშინ თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას წინ უძღოდა ქალაქის პრემიერის ბრიფინგი. მერია, მეორე დღეა, წყალდიდობისაგან მიყენებულ ზარალზე მსჯელობს. ამასობაში კი საკრებულომ ბიზნესმენებისთვის საინტერესო დადგენილება და "თბილგაზისთვის" არცთუ სასიამოვნო გადაწყვეტილება მიიღო.*

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ყოფილმა მერმა მოღვაწეობის ბოლო პერიოდში რამდენიმე სანიაღვრე კოლექტორი გააკეთა, თბილისის წყალდიდობებს მაინც ვერ გადაურჩა, რადგან დაზიანებული სანიაღვრე ჭები კიდევ ბევრი დარჩა. რამდენიმედღიანი წვიმების შედეგად მიყენებული ზარალი, დაახლოებით, ოთხ მილიონ ლარს უდრის. მერიის მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ დაზარალებული ოჯახების აღრიცხვა დაიწყო. საგანგებო შტაბები რაიონების გამგეობებშიც არის შექმნილი. ზარალის ანაზღაურებასა და წყალდიდობის მიზეზების აღმოფხვრას ქალაქის ხელმძღვანელობა მომავალი წლისთვის გვპირდება. წელს კოლექტორების შესაკეთებლად ქალაქის ბიუჯეტიდან მხოლოდ 700 ათასია გამოყოფილი. გზების რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებული 25 მილიონი ლარი, ძირითადად, იმ



გზების რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებული 25 მილიონი ლარი, ძირითადად, იმ ქუჩების აღდგენას მოხმარდება, სადაც მიწისქვეშა კომუნიკაციები დაზიანებული არ არის.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ქუჩების აღდგენას მოხმარდება, სადაც მიწისქვეშა კომუნიკაციები დაზიანებული არ არის.

საკრებულო გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე წყალდიდობის პრობლემას არ გამოხმაურებია. სამაგიეროდ, ერთხმად დაამტკიცა დებულება, რომლის თანახმადაც, ამიერიდან დედაქალაქში გამოცხადებული ყველანაირი ტენდერი, გაზეთ "თბილისის" ნაცვლად, ინტერნეტსაიტზე (www. Tenderebi.com) გამოქვეყნდება. **"ბიზნესმენები უკვე დაინტერესდნენ და გვირეკავენ, მაგრამ ჯერ დებულება არ იყო დამტკიცებული და საიტი არ ფუნქციონირებდა. ამიერიდან დაინტერესებულ პირებს ამ საიტით სარგებლობა უკვე შეეძლებათ"**, - განაცხადა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიის თავმჯდომარემ დავით იოსელიანმა.

"დემოკრატმა" დავით ხუციშვილმა კი "თბილგაზის" ხელმძღვანელობის საქმიანობის შესასწავლად რამდენიმეკაციანი მუშა ჯგუფის შექმნა მოითხოვა. **"დედაქალაქში ბუნებრივი აირის მიწოდება განახევრდა. ასე თუ გაგრძელდა, ზამთარში უგაზოდ დავრჩებით. "თბილგაზის" ხელმძღვანელობის საქმიანობა უკმაყოფილების საფუძველს ნამდვილად იძლევა. შევქმნათ მუშა ჯგუფი, რომელიც "თბილგაზში" არსებულ პრობლემებს შეისწავლის და მათ მოსაგვარებლად წინადადებებს შეიმუშავებს"**, - განაცხადა ხუციშვილმა. საკრებულოს წევრებმა ეს საკითხიც ერთხმად გადაწყვიტეს დადებითად.

Georgia Enterprise Growth Initiative

GEGI

# ქართული ბიზნესის უმთავრესი პრობლემა

*აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული, საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი (GEGI), რომელსაც ახორციელებს კომპანია ბეარინგ პოინტი, მიზნად ისახავს ეკონომიკურ ზრდას საკანონმდებლო რეფორმის დაჩქარების, ვაჭრობის განვითარებისა და კერძო სექტორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.*

USAID-ის დავალებით, პროექტმა ჩაატარა 50 ცნობილი ქართული კერძო კომპანიის გამოკითხვა, რომელმაც საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებული ბარიერები და პრობლემები გამოავლინა.

გამოკითხვა ჩატარდა 2004 წლის მარტი-აპრილის პერიოდში. ინფორმაციის მისაღებად მაკა გურეშიძე, პროექტის ბიზნეს-ასოციაციების მენეჯერი, 50 კომპანიის ხელმძღვანელ მენეჯერებს შეხვდა.

გამოკითხული კომპანიები, უმეტესწილად, მსხვილ, მაგრამ ასევე საშუალო და მცირე საწარმოებს მოიცავს ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორიდან, ხოლო თანამშრომელთა რიცხვი 8-დან 4.500-მდე მერყეობს. გამოკითხულთა 76 პროცენტი უცხოურ-ინვესტიციებიან საწარმოებს წარმოადგენს.

რესპონდენტი კომპანიების უმეტესობამ აღნიშნა, რომ მათთვის უმთავრეს პრობლემას ქვეყანაში არსებული საგადასახადო გარემო წარმოადგენს. კომპანიებს აწუხებთ სოციალური გადასახადების ძალზე მაღალი განაკვეთები, დღგ-ს ადმინისტრირების მექანიზმი და ისეთი გადასახადების არსებობის გაუმართლებლობა, როგორიც არის საგზაო გადასახადი და რეკლამის გადასახადი. საგადასახადო კოდექსის ბუნდოვანება და ხშირი ცვლილებები ასევე დიდი პრობლემაა ქართული ბიზნესისათვის. კომპანიებმა აღნიშნეს, რომ სამეწარმეო საქმიანობაში არსებული მთავარი პრობლემა საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო ადმინისტრირების საკითხებს უკავშირდება.

კომპანიების მიერ დასახელებული სხვა მთავარი პრობლემები მოიცავს საბაჟო ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ბარიერებს, არაჯანსაღ კონკურენციას გადასახადის კეთილსინდისიერ და ურჩ გადამხდელებს შორის, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის ბიუროკრატიულ სისტემასა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვას.

მოცემულ დიაგრამაში ასახულია გამოკითხული კომპანიების მიერ დასახელებული პრობლემების სიხშირე.

გამოკითხვის შედეგების ანგარიში გაეგზავნა მთავრობას, დონორ ორგანიზაციებს, საელჩოებს და ბიზნეს ასოციაციებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით მაკა გურეშიძეს, ბიზნეს-ასოციაციების მენეჯერს, საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი, ბეარინგ პოინტი, ლესელიძის ქ. 44/I, თბილისი 0105, საქართველო. ტელ: 75-10-77; ფაქსი: 75-10-74; ელექტრონული ფოსტა: mgureshidze@gegi.ge




# მათთვის, ვინც მანიფესტაციის მოწყობას აპირებს

*თითქმის ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს კონკრეტულ მოხელეთა ქმედებით თუ კიდევ მრავალი მიზეზის გამო, უკმაყოფილო მოქალაქეები აღშფოთებასა და პროტესტს საჯაროდ, აქციების, მიტინგებისა და გზების გადაკეტვის საშუალებით გამოხატავენ და სასურველი შედეგის მიღწევას ასე ცდილობენ. შედეგს რამდენად აღწევენ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ გამოსვლები ხან "მეამბოხეთა", ხანაც წესრიგის დამცველთა მხრიდან ხშირად ინციდენტით მთავრდება ერთი მარტივი მიზეზის - შესაბამისი კანონის დარღვევის გამო.*

ნანა ყაველაშვილი

ივლისში თბილისში ორი გახმაურებული საპროტესტო აქცია მოეწყო. 1 ივლისს მერიის წინ "თბილტრანსის" მძღოლების, მათი ოჯახის წევრებისა და მიწისძვრით დაზარალებულთა მიერ მოწყობილი მშვიდობიანი აქცია თბილისის შს მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმმა კანონდარღვევით დაარბია; 20 ივლისს კი ეკონომიკის სამინისტროსთან გამართული აქციის მონაწილეები აღმაშფოთებლად მოიქცნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს თავიანთ რისხვის ობიექტს, სახელმწიფო მოხელეს, "საქართველოს გამყიდველ" ეკონომიკის მინისტრს, კახა ბენდუქიძეს.

8 ივლისს თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ და საკრებულოს წევრებმა თბილისის შს მთავარი სამმართველოს წარმომადგენლებთან, ზვიად ცაგარეიშვილთან და ზაზა ბურჯანაძესთან ერთად, 1 ივლისს დარბეული აქციის შესახებ იმსჯელეს. შეხვედრაზე გამოარკვიეს, რომ წესრიგის დამცველთა მხრიდან ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დარღვევებს: **"სპეცდანიშნულების რაზმს არ გაუფრთხილებია აქციის მონაწილეები დადგენილი წესის მიხედვით; მათ არ განუმარტეს მათი უფლებების შეზღუდვის საფუძვლები; აქციის დასაშლელად ისე გამოიყენეს ხელკეტები, რომ არ გაუთვალისწინებიათ მომიტინგეთა ხანდაზმულობა და ფიზიკური მდგომარეობა: აქციის მონაწილეთა უმეტესობას ხომ ასაკოვანი ქალბატონები შეადგენდნენ. წესრიგის დამცველთა მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურეობრივი უფლებების გადამეტებას. აქციის მონაწილეებს კანონიერი მოთხოვნები ჰქონდათ, არ მოუხდენიათ მერიის შესასვლელის ბლოკირება. მათი მხრიდან ერთადერთი დარღვევა შეიძლებოდა ის ყოფილიყო, თუ აქციის მოწყობის შესახებ წინასწარ არ გააფრთხილებდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას"**, - ამბობს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე სევდია უგრეხელიძე.

როცა საკრებულოს წევრებს სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელის თემურ მღებრიშვილის პასუხისმგებლობისა და დაკავებული თანამდებობიდან მისი გათავისუფლების საკითხი დაუსვამთ, შს სამმართველოს წარმომადგენლებს უთქვამთ, - მაინც პენსიაზე გადის და სამსახურს მალე თვითონ დაანებებს თავსო. პოლიციის შესახებ კანონის მერვე მუხლის ოცდამეჩვიდმეტე პუნქტის თანახმად, პოლიციელი "ვალდებულია, წერილობით ან ზეპირად ოფიციალურად მოუხადოს ბოდიში მოქალაქეს, რომლის მიმართაც უკანონოდ გამოიყენა იძულებითი ღონისძიებები". სევდია უგრეხელიძის თქმით, კანონის დამრღვევ წესრიგის დამცველებს ბოდიში უნდა მოეხადათ პირადად დაზარალებულთათვის ან მათი ქმედებით აღშფოთებული მთელი საზოგადოებისთვის პრესის ან ტელევიზიის საშუალებით. **"სამწუხაროდ, ეს არ მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ მე არ მსმენია. ჩვენმა პრეზიდენტმა სამართლიანად ბრძანა, იმაზე მეტი ძალა არ უნდა გამოვიყენოთ, ვიდრე საჭიროა. არც - მეტი, არც - ნაკლებიო"**, - ამბობს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

რაც შეეხება 20 ივლისს ეკონომიკის სამინისტროსთან გამართულ აქციას. ქალბატონი სევდიას თქმით, მისი დაშლა კანონის სრული დაცვით მოხდა. **"ნამდვილად არ ყოფილა დარღვევები. სამაგიეროდ, ბატონ მინისტრს ყოვლად ულირსად მოექცნენ. საზოგადოების აქტივობა, როცა საქმე ხალხისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხს ეხება, მისასალმებელია. ამასთან, ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, მაგრამ კანონით განსაზღვრული ფორმითა და წესიერების ფარგლებში"**,-ამბობს იგი. რატომ არ სრულდება, ეს სხვა საკითხია, მაგრამ შესაბამის კანონებში, მართლაც, კარგადაა განსაზღვრული როგორც აქციის თუ მიტინგის მონაწილეთა, ისე სამართალდამცავთა უფლება-მოვალეობები.

"შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონში მითითებულია, რომ აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების წინასწარ გაფრთხილება შეკრების ან მანიფესტაციის შესახებ მის მოწყობამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება. აქციის ორგანიზატორები ხშირად არღვევენ კანონის ამ მოთხოვნას. წესრიგის დამცველნი კი შუა გზაზე გამართულ, გაუფრთხილებელ აქციებს შლიან, რაც აქციის მონაწილეთა უსამართლო უკმაყოფილებას და წინააღმდეგობას იწვევს.

ამავე კანონის თანახმად, მიტინგებსა და მანიფესტაციებზე აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.



პოლიციამ იძულებითი ღონისძიებები და საშუალებები სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და დამრღვევის ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით უნდა გამოიყენოს.

გაფრთხილების მიმღებმა თანამდებობის პირმა შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორებს უნდა განუმარტოს "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონის მოთხოვნები, რომელთა შეუსრულებლობის გამო, ისინი პასუხს აგებენ ამავე კანონის შესაბამისი მუხლებით. რადგან აქციების ორგანიზატორები ხშირად წინასწარ არ ატყობინებენ ადგილობრივ ხელისუფლებას აქციის ჩატარების შესახებ, შესაბამისად, მათ არც არავინ აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს.

ასევე, აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება საქართველოს პარლამენტის შენობაში, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების, პროკურატურის, პოლიციის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებსა და ობიექტებში, რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საავადმყოფოებში, დიპლომატიურ დაწესებულებებში და მათგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე, სამთავრობო დაწესებულებების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შენობებში; დაუშვებელია ამ ობიექტების შესასვლელების სრული ბლოკირება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჩამოთვლილ შენობათაგან ზოგიერთი ზედ ტროტუარის პირზეა, ხოლო ოცი მეტრის დაშორებით ტრანსპორტი მოძრაობს, ამ მოთხოვნის შესრულება ჭირს და აქციის მონაწილეები მას, ნებით თუ უნებლიედ, არღვევენ.

შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებათ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის განზრახ შეფერხება, გზების გადაკეტვა, განურჩევლად მოთხოვნების კანონიერებისა და სიმწვავისა, ანუ ის, რაც დღეისათვის პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთი პოპულარული ფორმაა, კანონსაწინააღმდეგო და დასჯადი ქმედებაა.

მიტინგებისა და აქციების დროს პოლიციელთა მხრიდან წესრიგის დაცვას არეგულირებს კანონი პოლიციის შესახებ. ამ კანონის მეორე თავის მერვე მუხლის თანახმად, პოლიციის თანამშრომელმა მოქალაქეს უნდა წარუგდინოს პირადობის მოწმობა, განუმარტოს მის მიერ ჩადენილი დარღვევის შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს იძულებითი ღონისძიებები, რაც უმეტეს შემთხვევაში არ ხდებოდა. იძულებითი ღონისძიების უკანონოდ გამოყენების შემთხვევაში, პოლიციელი ვალდებულია, წერილობით ან ზეპირად, ოფიციალური ბოდიში მოუხადოს დაზარალებულ და შეურაცხყოფილ მოქალაქეს.

პოლიციამ უნდა აღკვეთოს მხოლოდ უკანონო მიტინგი, დემონსტრაცია, პიკეტირება ან აქცია, თუ ის საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ადამიანთა სიცოცხლეს, პირად საკუთრებას ან არღვევს მათ უფლებებს.

ამ კანონის თანახმად, უკანონო აქციის ან მიტინგის დასაშლელად პოლიციამ იძულებითი ღონისძიებები და საშუალებები სიტუაციისა, სამართალდარღვევის ხასიათისა და დამრღვევის ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით უნდა გამოიყენოს.

**"სამწუხაროდ, მღებრიშვილი და მისი სპეცდანიშნულების რაზმი კანონის ამ მოთხოვნებს საკმაოდ ხშირად არღვევდა, მაგრამ, ამის გამო, პასუხი მათთვის ჯერ არავის მოუკითხავს"**, - ამბობს სევდია უგრეხელიძე.

# პროფესიული ეთიკა - ადვოკატის ძირითადი ღირსება

ხათუნა ჯანგირაშვილი

*რამდენიმე თვეში პარლამენტში დასამტკიცებლად ახალი კანონპროექტი შევა. საკანონმდებლო ორგანოს ადვოკატთა პროფესიულ ეთიკასთან, უნარ-ჩვევებთან, რეპუტაციასთან და ჰონორართან დაკავშირებული საკითხების შესახებ მოუწევს მსჯელობა. თუმცა, მანამდე, "ადვოკატის პროფესიული ეთიკის კოდექსის" ავტორს, რომელიც პროექტზე დაახლოებით წელიწადნახევარია მუშაობს, სურს, რომ ადვოკატის ეთიკის კოდექსის პროექტის სამუშაო პირველადი ვარიანტი საზოგადოებისთვის იყოს ცნობილი.*



ვახო ბასელიას ფოტო

*ადვოკატები საკუთარი ეთიკის კოდექსის პროექტის პრეზენტაციას ახდენენ.*

**"სხვისი უფლებები რომ დაიცვა, მაღალი პროფესიული რეპუტაცია უნდა გააჩნდეს"**, - აცხადებს პროექტზე მომუშავე იურიდიული კომპანიის - **"ტურაზაშვილი და პარტნიორები"** - მმართველი პარტნიორი, ადვოკატი გიორგი ტურაზაშვილი, რომლის განმარტებითაც, კოდექსის პროექტს საფუძვლად უდევს იურისტთა საერთაშორისო ეთიკური ნორმები. გიორგი ტურაზაშვილმა "ამერიკის იურისტთა ასოციაციასთან" და "ბრიტანეთის საბჭოსთან" ერთად, გუშინ "შერატონ-მეტეხი პალასში" ადვოკატის ეთიკის კოდექსის პროექტის პირველი თავის პრეზენტაცია გამართა.

გიორგი ტურაზაშვილის თქმით, სამართალმცოდნეობის ლიტერატურაში არსებული განსაზღვრებებისა და პრინციპების მიუხედავად, რთული გასარკვევია, კანონმდებლობით მინიჭებული სტატუსის გარდა, ვინ არის ადვოკატი. როგორი უნდა იყოს ადვოკატი? რით უნდა განსხვავდებოდეს ის იურისტისგან? არის თუ არა ადვოკატი სამართლებრივი ხელოვანი? საადვოკატო საქმიანობისას საჭიროებს თუ არა ადვოკატი მაღალ ფსიქოლოგიურ ცოდნას? რამდენად გვიან უნდა გააკეთოს ადვოკატმა შეფასება და უნდა იცავდეს თუ არა ის ჩაცმულობის სტილს? - კანონპროექტის ავტორის აზრით, ამ კითხვებზე პასუხის გაცემით უნდა მიხვდეს საზოგადოება, ვინ არის ადვოკატი და რა ვალდებულებები აქვს.

ადვოკატის პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია, ადვოკატის პროფესიული ავტორიტეტი, კლიენტის ნდობის ფაქტორი ადვოკატისადმი, კონფიდენციალურობა - ეს ის ძირითადი ფასეულობებია, რომელთა დაცვაც კოდექსის კანონპროექტში არის ჩადებული.

**"საქართველოში ადვოკატთა პროფესიული ეთიკა, პროფესიული რეპუტაცია, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს. ადვოკატებმა საკუთარი პროფესიის დანიშნულება არ ვიცით.**

**კანონპროექტის ძირითადი მიზანი არის ის, რომ ადვოკატის საქმიანი რეპუტაცია საქართველოში თავის ადგილზე იდგეს. ადვოკატობა სპეციფიკური, ფრთხილი საქმიანობაა. ადვოკატს კლიენტთან გამჭვირვალე ურთიერთობა უნდა ჰქონდეს და დაძაბული სიტუაციის განმუხტვა უნდა შეეძლოს. ის ყოველთვის მორიგებაზე უნდა ზრუნავდეს. ადვოკატმა ადმინისტრაციულ და გამოძიების ორგანოებს არასწორი ინფორმაცია არ უნდა მიაწოდოს და მან კლიენტის ინტერესები საკუთარ თავზე მაღლა უნდა დააყენოს. კანონპროექტის მიხედვით, დაუშვებელია ადვოკატის მხრიდან პროფესიული ტყუილი, რაც ქართულ სინამდვილეში არცთუ ისე იშვიათია. ერთი სიტყვით, კანონპროექტში, რომელიც წელიწადნახევრის მანძილზე მუშავდებოდა, ჩადებულია არა მხოლოდ ადვოკატის საქმიანობისთვის საჭირო დატალები, არამედ გარკვეული ეთიკური აკრძალვებიც"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გიორგი ტურაზაშვილმა, რომელიც ადვოკატებს კონსოლიდაციისკენ და სამართლებრივად მოწესრიგებისკენ მოუწოდებს.

სხვათა შორის, კოდექსში ადვოკატის ჰონორარის გამოთვლის მექანიზმიც არის დაზუსტებული. პროექტის მიხედვით, ადვოკატის ჰონორარის გამოთვლის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მისი პროფესიული გამოცდილება, საქმის სირთულე, ადვოკატის რეპუტაცია და დაკვეთილი საქმის ხარჯები.

კოდექსის პროექტის ავტორი ყურადღებას ამახვილებს კლიენტის სამართლებრიივ კულტურაზეც, რადგან მიაჩნია, რომ ადვოკატის პროფესიული წარმატებისთვის კლიენტის - საზოგადოების სამართლებრივი დონის ამაღლება აუცილებელია.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ გამოკითხულთა 70 პროცენტი ადვოკატს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავს, თუკი ციხეში აღმოჩნდება. სხვა სამართლებრივი პრობლემების მოგვარებას კი ადვოკატის გარეშე, საკუთარი ძალებით ცდილობს.

**"საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩამოყალიბება იგეგმება. მოსამართლეებთან და პროკურორებთან ერთად ამისთვის ადვოკატებიც მზად უნდა იყვნენ"**, - აცხადებს ადვოკატი გიორგი ტურაზაშვილი და მზად არის, კანონპროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისთვის ყველა შენიშვნა გაითვალისწინოს.

ერთი სიტყვით, "ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" პირველი ნაწილი, რომელიც ადვოკატების პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რეპუტაციას და ჰონორარს ეხება, უკვე დაწერილია. გიორგი ტურაზაშვილი ამჯერად ადვოკატის დისციპლინარულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს. ის პროექტის სრულყოფილ ვარიანტს ადვოკატთა ეროვნულ ასოციაციას ადვოკატების გამოცდების დასრულებისთანავე შესთავაზებს.

**"ადვოკატის ინსტიტუტის მიმართ სახელმწიფოებრივი მიდგომა თუ არ იარსებებს, ამ ინსტიტუტის სამართლიანად მუშაობა წარმოუდგენელია. კოდექსის ეს პროექტი ყველაფერ ამას ითვალისწინებს,"** - აცხადებს გიორგი ტურაზაშვილი.

# პოლიციამ დამნაშავის ლიკვიდაცია მოახდინა

*კახეთის პოლიციის უფროსის თემურ ანჯაფარიძის განცხადებით, რამდენიმე დღის წინ მომხდარი თავდასხმის მონაწილეთა ვინაობა პოლიციამ უკვე დაადგინა და უმოკლეს დროში მათი დაპატიმრების ოპერაცია ჩატარდება.*

ზვიად რუაძე

*კახეთი*

საქმე ისაა, რომ გუშინწინ, გვიან სალამოს, სოფელ ნასამხრალის ბენზინგასამართ სადგურთან პოლიციის და ყაჩაღური ბანდის შეტაკება მოხდა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა. ძალოვანებმა ბოროტმოქმედთა ერთი წევრის, სოფელ ჯოყოლოში მცხოვრები, 21 წლის ალექსანდრე გომაშვილის ლიკვიდაცია მოახდინეს.

გუშინწინ ჩატარებული "სისხლიანი სპეცოპერაციის" მიზეზი რეგიონის საგადასახადო ინსპექციის შეფი ალექსანდრე ბასილაშვილი გახდა. ღამის 2 საათზე, თბილისიდან თელავში საკუთარი მანქანით მიმავალ საგადასახადო სამსახურის უფროსს სოფელ ნასამხრალში გზაზე ოთხი შეიარაღებული პიროვნება დახვდა. ბოროტმოქმედებმა თავდაპირველად ბასილაშვილი და მასთან ერთად მყოფი მგზავრი მანქანიდან მუქარით გადმოიყვანეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ. შემდეგ კი ნაცემები მდინარე ალაზნის ჭალებში ხეზე მიაბეს. როგორც დაზარალებული ბასილაშვილი აცხადებს, ბანდის წევრებმა ისინი მას შემდეგ მიატოვეს, როცა მისი თანამდებობა გაიგეს. როგორც წინასწარი გამოძიების შედეგად ირკვევა, ამის შემდეგ თავდამსხმელები ბასილაშვილის კუთვნილი მანქანით სოფელში დაბრუნდნენ. ცენტრალურ მაგისტრალზე გასვლისას კი მათ საწვავი გაუთავდათ, რის გამოც შეიარაღებული ბანდა უკვე თავს სხვა პიროვნებას დაესხა, მაგრამ ისინი მძღოლისგან წინააღმდეგობას წააწყდნენ. ამის გამო, ბოროტმოქმედებმა ნაცად მეთოდებს მიმართეს და მანქანის პატრონს ფიზიკურად გაუსწორდნენ. **"წინააღმდეგობის მიზეზი ის არის, რომ მძღოლმა მათი ბრძანება არაფრად ჩააგდო. დამნაშავეები საწვავის ჩასხმას თხოულობდნენ"**, - აცხადებს კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი თეიმურაზ ანჯაფარიძე. ამასობაში კი, ალაზნის ჭალებში გაკოჭილი ბასილაშვილი თავს ითავისუფლებს და სოფელ შრომაში ასული, სამართალდამცველებს უკავშირდება. შემთხვევის ადგილზე გასულ ოპერატიულ ჯგუფს დამნაშავეები ნასამხრალის ბენზინგასამართ სადგურთან ხვდებიან და პოლიციასა და ბოროტმოქმედებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება ხდება. **"მიუხედავად გაფრთხილებისა, რომ დამნაშავეები ჩაგვბარებოდნენ, მათ ცეცხლი მაინც გაგვიხსნეს"**, - აცხადებს თეიმურაზ ანჯაფარიძე. შეტაკების შედეგად ბანდის ერთ-ერთი წევრი, 21 წლის ალექსანდრე გომაშვილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, დანარჩენმა სამმა პიროვნებამ კი მიმალვა მოახერხა. **"ჩვენ დამატებითი ძალები გვყავდა მობილიზებული, მაგრამ სპეცოპერაციის სრულად განხორციელებაში ხელი წვიმიანმა ამინდმა შეგვიშალა"**, - იმართლებს თავს ანჯაფარიძე. დამნაშავეებმა ბასილაშვილის დაყაჩაღების დროს წართმეული 100 ლარის, ფოტო და მობილური აპარატების წაღება მაინც მოახერხეს. კახეთის პოლიციის უფროსი აცხადებს, რომ ხელწერა, რომლითაც ბოროტმოქმედები მოქმედებდნენ, რამდენიმე დღის წინ ყვარლის რაიონში ჩადენილ ყაჩაღურ თავდასხმას ჰგავდა. **"დაყაჩაღება ათი დღის წინ, ყვარლის შესასვლელთან, მდინარე ალაზანთან მოხდა. ექსპერტიზის შედეგად ირკვევა, რომ დანაშაული ერთი და იგივე იარაღით არის ჩადენილი. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბანდა ახლად შექმნილია და მათ ქმედებებში ბევრი შეცდომა იყო"**.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს პოლიციასა და ბოროტმოქმედებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების ეს უკვე მეორე ფაქტია. სწორედ ამის გამო, რეგიონის პოლიციის შეფი არ გამორიცხავს, რომ რეგიონში პოლიციასა და კრიმინალებს შორის სიტუაცია დაიძაბოს. სისტემატურად ჩატარებული სპეცოპერაციების შედეგად კი, უკვე კრიმინალური სამყაროს 30 ავტორიტეტია დაკავებული.

# შოთა ჭიჭიაშვილის საქმის განხილვას უზენაესი სასამართლო იწყებს

*წითელ ცირკულარში შეყვანილი ტერორისტი, რომლის დაჭერასაც შვიდი წელიწადი, ხოლო საქართველოში ექსტრადიციას სამი თვე დასჭირდა, ახლა ორთაჭალის ციხის საკანში იმყოფება, თავის კრიმინალურ საქმიანობაზე შექმნილი 24-ტომიანი საქმის გაცნობაც დაასრულა და ახლა უკვე სასამართლო პროცესის დაწყებას ელოდება. საქმე ისაა, რომ გენერალურმა პროკურატურამ წლების მანძილზე ფრაგმენტ-ფრაგმენტ ნაძიები და შემდეგ ერთ საქმედ ქცეული, შოთა ჭიჭიაშვილის საქმის ძიება დაასრულა და უზენაესი სასამართლო 28 ივლისს საქმის სასამართლო განხილვას დაიწყებს.*



*შოთა ჭიჭიაშვილის რუსეთიდან საქართველოში ექსტრადიცია თავის დროზე სანახაობად იქცა.*

მართლაც, არის თუ არა ოდიოზური კრიმინალი შოთა ჭიჭიაშვილი, თუ მხოლოდ არსებული "მასალისგან" შექმნეს საშიში პერსონა? - ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ახლა უზენაეს სასამართლოს მოუწევს. არადა, გამომძიებელი ელდარ თოფჩიევი, რომელმაც გენერალურ პროკურატურაში არსებული "ჭიჭიაშვილის საქმე" წლების წინ შექმნა, ასე პასუხობს: **"ის სერიოზული კრიმინალია, იმდენად სერიოზული, რომ ასეთი მასშტაბის კრიმინალი დსთ-ს ტერიტორიაზე არ იყო. 1998 წლის შემდეგ პანკისის ხეობაში მომხდარი ყველა გატაცება და სხვა რეზონანსული გატაცებები მისი ჯგუფის მიერაა ჩადენილი,"** - ამბობს ელდარ თოფჩიევი.

ცოლ-ქმრის - ნათია რუსეიშვილისა და მიხეილ დათიკაშვილის გატაცება; საგარეჯოს ერთ-ერთ ქუჩაზე გამართული "ბოევიკი" და პოლიციელ ქურხულის მკვლელობა; კასპელი ბიზნესმენის, რუსეთში ნავთობბიზნესში აქტიურად მომუშავე ნუგზარ წიკლაურის მამის ფირუზ ხოშაბაევის გატაცება; წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა გატაცება; აეროპორტის გზატკეცილიდან ორი ესპანელი ბიზნესმენის - ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესისა და ფრანცისკო როდრიგეს კაბალას გატაცება;

პარლამენტარ პეტრე ცისკარიშვილისა და ანა სურმავას გაიტაცება;

"საფოსტო ბანკის" ახმეტის ფილიალის თანამშრომლებზე თავდასხმა და 13 ათასი ლარის გატაცება; უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებზე - ლორთქიფანიძესა და ახმეტელზე თავდასხმა; ყაჩაღობა, რომლის შედეგადაც, თბილისელ თეა აბულაძეს "ოპელ-ვექტრას" მარკის მანქანა წაართვეს, რითიც შემდეგ ესპანელი ბიზნესმენები გაიტაცეს; გორში "ნივის" მარკის მანქანის გატაცება და ახმეტაში დალი ალდამოვის გატაცება, ცოლად შერთვის მიზნით. ეს ის დანაშაულებია, რომელთა ჩადენაშიც შოთა ჭიჭიაშვილია ბრალდებული და რომელთა საფუძველზეც შედგენილ საბრალდებო დასკვნას გენერალურმა პროკურორმა ხელი უკვე მოაწერა.

ამ საქმეებზე დაკავებული ბრალდებულები - შოთა ჭიჭიაშვილი და თენგიზ ფარეულიძე 28 ივლისს უზენაესი სასამართლოს განსასჯელის სკამზე დასხდებიან.

პანკისისხეობელი კრიმინალისთვის წაყენებული ბრალდებების მაქსიმალური სადამსჯელო სანქცია უვადო პატიმრობაა. თუმცა, მისთვის წაყენებულ არც ერთ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს და დუმილის უფლებით სარგებლობს.

*24 საათი*

# ციხის ადმინისტრაციას პატიმრის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ

მარეკ დუდაევის ადვოკატი გიორგი ამანათაშვილი ციხის ადმინისტრაციას პატიმრის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს და ტუსაღის ციხის საავადმყოფოში გადაყვანას ითხოვს. ამანათაშვილის განცხადებით, მარეკ დუდაევის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. მისი თქმით, მეშვიდე საპყრობილეში დუდაევს რამდენჯერმე განუვითარდა კლინიკური სიკვდილი, თუმცა ციხის ადმინისტრაცია მის საავადმყოფოში გადაყვანას არ აპირებს. ადვოკატის ინფორმაციით, ხუთშაბათს დუდაევი მცირე ხნით გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, თუმცა მალევე უკან, მეშვიდე საპყრობილეში დააბრუნეს, რისი მიზეზიც უცნობია.

როგორც ადვოკატი ირწმუნება, იმავე დღეს მისთვის უცნობი პირები რამდენჯერმე დაუკავშირდნენ ტელეფონით დუდაევის დას და წაუყენეს ულტიმატუმი, რომ თუ ოსური მხარე ცხინვალში ქართველ მძევლებს არ გაათავისუფლებდა, მის ძმას ხუთშაბათს, ღამის თორმეტ საათამდე თავს მოჭრიდნენ. როგორც ამანათაშვილი აცხადებს, აღნიშნული ზარების შემდეგ, მას მარეკ დუდაევი აღარ უნახავს. მართალია, გარკვეულია, რომ დუდაევი ცოცხალია, მაგრამ ადვოკატი მეშვიდე საპყრობილეში ბრალდებულთან შეხვედრას უშედეგოდ ითხოვს.

დუდაევს ბრალი 16 ეპიზოდში ედება. მკვლელობების, ყაჩაღობისა და ადამიანის გატაცებისთვის ძებნილი მარეკ დუდაევი ქართველმა სამართალდამცველებმა 11 მარტს მცხეთის სოფელ ქვეშში ჩატარებული სპეცღონისძიებისას დააკავეს.

ოპერაციის დროს გაწეული შეიარაღებული წინააღმდეგობისას განხორციელებული საპასუხო სროლისას დუდაევი მძიმედ დაიჭრა და მას გორის საავადმყოფოში რთული ოპერაცია ჩაუტარეს. როგორც ადვოკატი აცხადებს, დუდაევს ოპერაციის შედეგად ამოღებული აქვს ერთი ფილტვი, ხოლო გულის არეში ტყვიის გულა აქვს გაჩერებული.

ცხინვალში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს ხელისუფლებისაგან მარეკ დუდაევის მიმართ ჰუმანური დამოკიდებულების გამოვლენას ითხოვენ. ცხინვალის "რესურს ცენტრის" ხელმძღვანელის ლირა ცხოვრებოვას განცხადებით, ოსური საზოგადოება მარეკ დუდაევის გარშემო განვითარებულ მოვლენებს შეშფოთებით ადევნებს თვალს და მისი ციხის საავადმყოფოში გადაყვანის მოთხოვნით, საქართველოს ხელისუფლებას არაერთხელ მიმართა.

შეგახსენებთ, რომ ედუარდ კოკოითმა ოსეთში დატყვევებული სამი ქართველი პოლიციელის გათავისუფლების სანაცვლოდ, დუდაევის გადაცემა მოითხოვა, რაზეც მან ქართველი სამართალდამცველებისაგან კატეგორიული უარი მიიღო. როგორც ცნობილია, ცხინვალის მილიციის თანამშრომელთა მიერ რამდენიმე დღის წინ გატაცებული ნიკოლოზ სრესელის გადაცვლას ოსური მხარე სწორედ მარეკ დუდაევზე ითხოვს.

*პრაიმ-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**სარფი.** სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე საბაჟოს საზღვრის დაცვის და უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების ერთობლივი ღონისძიების შედეგად, 4 კგ-მდე ოპიუმის შემცველი ყაყაჩოს ნამჯა ამოიღეს. ოპიუმის შემცველობა ჩატარებული ტესტის შედეგად დადგინდა. ყაყაჩოს ნამჯას ამოღება "მიცუბიშის" მარკის მიკროავტობუსიდან (სახელმწიფო ნომრებით "FAI-290") მოხდა, რომელიც თურქეთიდან მოდიოდა. დაკავებულია მიკროავტობუსის ხუთივე მგზავრი. 2 ქალბატონს პოლიეთილენის პარკში გახვეული ნარკოტიკული ნივთიერება სხეულზე ჰქონდა შემოკრული. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გადმომტანთა ვინაობა არ სახელდება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ისინი ქალაქ ზუგდიდის მცხოვრებნი არიან. მიკროავტობუსმა უპრობლემოდ გადმოლახა თურქეთის საბაჟო. აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. საქმეს აჭარის უშიშროების საგამოძიებო განყოფილება იძიებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" პროექტით ევროსასამართლოს ექსპერტებმა 21 ქართველი ადვოკატი სასამართლოსადმი მიმართვის წესის პროცედურულ საკითხებში მოამზადეს. როგორც სასტუმრო "სიმპათიაში" გამართულ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ლია მუხაშავრიამ განაცხადა, პროექტი 2001-2003 წლებში განხორციელდა და პროგრამა უმნიშვნელოვანესია იმ კუთხით, რომ საქართველოში უკვე 21 ადვოკატი მოიძებნება, რომელიც ევროპის სასამართლოში ნებისმიერი ეროვნების მოქალაქის უფლებებს დაიცავს. მისივე თქმით, აღნიშნული პროგრამა საქართველოში ადვოკატურის ინსტიტუტის გაძლიერებასა და პროფესიონალიზმის ამაღლებას შეუწყობს ხელს. როგორც ღონისძიებაზე განმარტეს, მას შემდეგ, რაც 1999 წელს, საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციას მიუერთდა, საქართველოს მოქალაქეებს თავიანთი უფლებების დარღვევის შემთხვევაში სტრასბურგის სასამართლოსათვის მიმართვის საშუალება მიეცათ. ევროპის სასამართლოსადმი მიმართვა სპეციფიკურ პროცედურებს ითვალისწინებს. სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა 2-წლიანი პროექტი. 2004 წლის 8 აპრილს, ევროსასამართლოს მიერ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, საქმეზე "ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ", პირველი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. საქართველოს დიდძალი ფინანსური სანქცია დაეკისრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა ამხილეს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონული საბაჟო "აღმოსავლეთის" საბაჟო-გამშვები პუნქტის "წითელი ხიდის" ინსპექტორი, თბილისელი, 53 წლის გრიშა თოდრია, რომელმაც საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ არ ჩაატარა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ აქსტაფაში მცხოვრები, 40 წლის ზულფიგარ ნაბიევის მართვის ქვეშ მყოფი "ლაზის" მარკის ავტობუსში ჩატვირთული ნივთების საბაჟო დათვალიერება; აგრეთვე, არ განახორციელა საბაჟო გაფორმების სხვა პროცედურები, რითაც ამ უკანასკნელს ხელი შეუწყო საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საბაჟო საზღვარზე 13.904 ლარის საბაჟო ღირებულების სხვადასხვა დასახელების საქონლის საბაჟო წესის დარღვევით გადატანაში. თოდრია და ნაბიევი დაკავებული არიან, მათ მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს მძარცველთა ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები - 18 წლის ალექსანდრე ოსოიანი, 15 წლის პაატა კიკვიძე და 17 წლის ტარიელ კიკვიძე, რომლებმაც ფიზიკური ძალის გამოყენებით 21 წლის მაია ჭელიძეს გასტაცეს ხელჩანთა მობილური ტელეფონით, პირადი ნივთებით და 46 ლარი. დააკავეს მკვლელობისთვის ძებნილი, 43 წლის შალვა ნესუაშვილი, რომელმაც 7 ივლისს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში მოკლა 32 წლის სოსო მათარაშვილი. დააკავეს ყაჩაღობისთვის ძებნილი, 25 წლის ზაზა არჯევანიძე, რომელიც 2003 წლის 21 ნოემბერს თავს დაესხა ხაშურში მცხოვრებ ჯუმბერ ნოზაძის ოჯახს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს თბილისელი, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი, "მხედრიონის" ყოფილი წევრი, 37 წლის პეტია ოსიპოვი, მეტსახელად "ოსი ნოდარა", რომლის ბინიდან ამოიღეს ავტომატი "აკმ" მჭიდით და ოთხი ვაზნით. მოკვლევის პროცესში დადგინდა, რომ ოსიპოვი სიცოცხლისა და ხელყოფის მუქარით, მოსახლეობისა და ბიზნესით დაკავებული პირების რეკეტს ეწეოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბში მცხოვრები, 23 წლის მიხეილ სილაგაძე, რომლის სახლიდან ამოიღეს 5.5 გრამი მარიხუანა და ავტომატ "აკს"-ს ხუთი ვაზნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს თბილისის გლდანის მასივში მდებარე სასტუმრო "მეგობრობაში" მცხოვრები, ნასამართლევი, 24 წლის ავთანდილ ესიავა, რომლისგანაც ამოიღეს ხელყუმბარა "ფ-1" დეტონატორით. **მედია-ნიუსი**

# საქართველოს ეკონომიკის აღდგენა-განვითარების პრობლემები და პრიორიტეტები

პირველი გვერდიდან

გიორგი ჩქარეული
ფინანსური მენეჯმენტისა და კომპანიათა მართვის დამოუკიდებელი კონსულტანტი. 1995 წლიდან მუშაობს მსხვილ რუსულ კომპანიებში წამყვან თანამდებობებზე. ემორი უნივერსიტეტში (ატლანტა, აშშ) მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი. მანამდე კი წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი.

## მაინც რა გვჭირს?

უპირველეს ყოვლისა - დისბალანსი საგარეო ვაჭრობაში. ჩვენი ექსპორტი სისტემატურად ჩამორჩება იმპორტს და განსხვავება საერთო ეროვნული პროდუქციის დაახლოებით 12 პროცენტს, ანუ 600 მილიონამდე ამერიკულ დოლარს შეადგენს (IMF-ს პროგნოზი 2004 წლისათვის იმ იმპორტის გაუთვალისწინებლად, რომელიც დაკავშირებულია ნავთობსადენთან). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენს ქვეყანას არ შეუძლია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს თავისი მოთხოვნილებები იმპორტულ საქონელსა და მომსახურებაზე. გასაგებია, რომ იმპორტის მნიშვნელოვან ნაწილს ენერგომატარებლები შეადგენენ, ხოლო ის ვალები, რომლებიც ელექტროენერგიისა და გაზის მოხმარებასთან არის დაკავშირებული, იმპორტის ხარჯების გადახდისუნარიანობის უქონლობის მაჩვენებელია. ამიტომ ეროვნული უშიშროების მთავარ საფრთხედ მიმაჩნია საექსპორტო შემოსავლების უკმარისობა, რაც გამოწვეულია მნიშვნელოვანი საექსპორტო უნარის მქონე დარგების არარსებობით. სანამ ასეთ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, მანამ ჩვენ დავრჩებით მძევლებად, ერთი მხრივ, რუსეთის, რომელიც ენერგორესურსებით გვამარაგებს, მეორე მხრივ კი - საერთაშორისო სავალუტო ფონდისა, რომელიც სესხს გვაძლევს ჩვენი ბიუჯეტის ხვრელების ამოსაქოლად.

სავაჭრო ბალანსის პრობლემების მეორე მხარეს წარმოადგენს იმპორტის მაღალი დონე. სამწუხაროდ, უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში საქართველოში იმპორტის სახით შემოჰქონდათ ყველაფერი - ნავთობით და გაზით დაწყებული და კვების პროდუქტებით დამთავრებული, ქვეყნის შიდაწარმოება კი შემოიფარგლებოდა თითო-ოროლა ქართველი მეწარმის თავგამოდებული საქმიანობით. ამ გარემოებას ორი ძირითადი მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, ეს რაგინდ მკაცრადაც უნდა გვეჩვენოს, ბოლო თვეებამდე იმპორტი მეტისმეტად იაფი იყო და ასე დაბალი ფასები ადგილობრივ მეწარმეს იმავე საქონლის წარმოების სტიმულს არ აძლევდა. ხოლო ეს იმიტომ მოხდა, რომ სახელმწიფო არ ზრუნავდა საკუთარი ეკონომიკის ზრდისათვის და ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებისათვის. უფრო მეტიც, ხელისუფლება თავად მფარველობდა იმ მსხვილ საიმპორტო ფირმებს, რომლებმაც, პრაქტიკულად, თავიანთი გავლენის სფეროებად გაინაწილეს შემოსაზიდი პროდუქტები, შემოზიდვა კი, ძირითადად, კონტრაბანდული იყო.

იმპორტის სიიაფის მეორე მიზეზია ლარის გაუმართლებლად მაღალი კურსი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს წარმოადგენს სავალუტო პოლიტიკის დარგში საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციათა შესრულების შედეგს. სამწუხაროდ, ეს პოზიცია, ჯერჯერობით, არც ახალ ხელისუფლებას შეუცვლია. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომისტებისთვის პრიორიტეტია, არ დაუშვან მაღალი ინფლაცია იმ ქვეყნებში, რომლებსაც ამ ფონდის ვალები აქვთ, თუმცა ეს პოზიცია არაერთგზის იქნა გაკრიტიკებული განვითარებად ქვეყნებში, რადგან დოლართან ეროვნული ვალუტის მკაცრად მიბმა, როდესაც ამ უკანასკნელის კურსი ხელოვნურად და უმართებულოდ მაღალია, ხელს უშლის ადგილობრივ წარმოებას და ეკონომიკის სტაგნაციას იწვევს, რაც გვაქვს კიდეც დღევანდელ საქართველოში. მე მესმის, რომ ლარის დევალვაცია ქვეყანაში ინფლაციას წაახალისებს და ამან, შესაძლოა, დამატებითი პრობლემები შეუქმნას სავალუტო ფონდს, მაგრამ ეს ეკონომიკური აღმავლობის სრულიად აუცილებელი პირობაა და ჩვენი მთავრობა ვალდებულია, იცავდეს ამ პოზიციას ფონდთან მოლაპარაკებებში. ჩემი შეხედულებით, ლარის რეალური კურსი სამ-ნახევარჯერ თუ ორნახევარჯერ ნაკლები უნდა იყოს ამერიკული დოლარის კურსთან შედარებით, მაგრამ არსებითად ეს ბაზარმა უნდა გადაწყვიტოს.

მინდა აქ დავიმოწმო ეკონომიკაზე ვალუტის კურსის გავლენის მაგალითი, რომელიც ჩემ თვალწინ მოხდა. უკვე ათი წელია, რაც რუსეთში ვცხოვრობ და კარგად მახსოვს 1998 წლის ეკონომიკური კრიზისი და მისი შედეგები. ამ კრიზისის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო 1996-1998 წლებში რუბლის არარეალურად მაღალი კურსი დოლართან (5-6 რუბლი - ერთი დოლარი), რომელსაც დაჟინებით მოითხოვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რამაც იმპორტი ფანტასტიკურად გააიაფა. რუსეთს მოაწყდა საკმაოდ მაღალი ხარისხის სხვადასხვა საქონელი, რომლებსაც ფასის მხრივ კონკურენციას ვერ უწევდნენ რუსი მწარმოებლები. ამის შედეგი იყო ის, რომ, როდესაც ნავთობის ფასები დაეცა, რუსეთმა უბრალოდ ველარ შეძლო ანგარიშები გაესტუმრებინა და ამან გამოიწვია დეფოლტი. კრიზისის შემდეგ ვალუტის კურსის დონედ დადგინდა 18-20 რუბლი ერთ დოლართან და იმპორტი რამდენჯერმე უფრო ძვირი გახდა მოსახლეობისათვის. ამის შედეგად რუსეთში დაიწყო ქვეყნის შიდა მრეწველობის მკვეთრი ზრდა, თანაც არასანედლეულო დარგებში. უკვე 2000-2002 წლებში ქვეყნის შიდა პროდუქციის გამოშვება ყოველწლიურად 6-7 პროცენტით მატულობდა. ამჟამად რუსეთში არიან ტანსაცმლის, ავეჯის, პარფიუმერიის სავსებით კონკურენტუნარიანი მწარმოებლები, რომლებიც ვერ განავითარებდნენ თავიანთ წარმოებას რუბლის კურსის დაქვეითების გარეშე. ვფიქრობ, რომ მსგავსი სცენარი შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოში, თანაც უფრო მართვადი რეჟიმით, კრიზისის გარეშე.

საგარეო ვაჭრობაში არსებულმა დისბალანსმა და ქვეყნის შიდა მრეწველობის კრიზისმა ისეთ სიტუაციამდე მიგვიყვანა, როდესაც ეკონომიკაში დამატებითი ღირებულება, ძირითადად, იქმნება შინაგან ბაზარზე ვაჭრობით (ე.ი. სავაჭრო ფასნამატით). ამრიგად, სურათი ასეთია: ქართველი მოვაჭრეები, როგორც გადამყიდველები, მიჰყიდიან იმპორტულ საქონელს ქართველ მყიდველებს, როგორც მომხმარებლებს, რომლებიც თვითონ არაფერს აწარმოებენ, არამედ თავიანთი სახელმწიფოს (ასევე გაღატაკებულის) ან საზღვარგარეთ წასული ნათესავების იმედით ცოცხლობენ. ცხადია, რომ ასეთი სისტემა კოლაფსისათვის არის განწირული და ჩვენ აუცილებლად უნდა დავძლიოთ ეს ტენდენციები, თუ ვაპირებთ მივაღწიოთ რაიმე გაუმჯობესებას.

აქვე უნდა ჩამოვთვალოთ დღევანდელ ეკონომიკაში არსებული ზოგიერთი სხვა ნეგატიური ფაქტორიც:

- ნახევრად დანგრეულ ინფრასტრუქტურას არ შეუძლია მოგვცეს ეკონომიკური ზრდა. ზოგადად იგი მაღლა სწევს რისკის ფაქტორს ამ ტერიტორიაზე, ამიტომ ინფრასტუქტურა პირველ რიგში საჭიროებს ინვესტიციებს;
- ნიჭიერ, საუკეთესო სპეციალისტთა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საზღვარგარეთ გადინების თორმეტმა წელმა საქართველოში გამოიწვია ეკონომიკურ ინიციატივათა ნაკლებობა და სერიოზული საკადრო კრიზისი;
- საქართველოში არ არსებობს წარმატებული უცხოური ინვესტიციების გამოცდილება. აქ თავისი ინვესტიციებით დღემდე არავინ გამდიდრებულა, პირიქით, არცთუ ისე ცოტა ინვესტორმა საქართველოში დაკარგა თავისი სახსრები. ის ისტორია, რაც "ეიი-ეს თელასს" გადახდა, ნებისმიერ ინვესტორს აიძულებს ბევრი იფიქროს, ვიდრე თავის ფულს აქ დააბანდებდეს;
- საქართველოში სათანადოდ არ არის განვითარებული საბანკო სექტორი და საფინანსო ბაზარი; აქ კრედიტის პროცენტი მეტისმეტად მაღალია, რაც შეუძლებელს ხდის წარმოების განვითარებას.

> *ქართველი მოვაჭრეები, როგორც გადამყიდველები, მიჰყიდიან იმპორტულ საქონელს ქართველ მყიდველებს, როგორც მომხმარებლებს, რომლებიც თვითონ არაფერს აწარმოებენ, არამედ თავიანთი სახელმწიფოს (ასევე გაღატაკებულის) ან საზღვარგარეთ წასული ნათესავების იმედით ცოცხლობენ. ცხადია, რომ ასეთი სისტემა კოლაფსისათვის არის განწირული.*

■ ■ ■

მიუხედავად ყოველივე ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკაში მხოლოდ პრობლემებია და მეტი არაფერი. საერთო ანგარიშით, ქვეყანა ერთსა და იმავე ადგილას არ ყოფილა გაჩერებული, მან მძიმე განსაცდელს გაუძლო და საკმაოდ დიდი გამოცდილებაც შეიძინა.

ჯერ ერთი, მადლობა ღმერთს, საქართველოში არიან მეწარმენი, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ მოგებით იმუშაონ თვით ისეთ მძიმე პირობებშიც, რომლებიც შევარდნაძის რეჟიმის დროს შეიქმნა. მათ საექსპორტო ბაზარზე გაიტანეს ზოგიერთი ქართული პროდუქტი, მოამარაგეს ქვეყანა საჭირო საქონლით, შექმნეს საწარმოები, აამოქმედეს საცალო ვაჭრობის ქსელი, უზრუნველყვეს საინფორმაციო საშუალებათა მუშაობა. ვფიქრობ, რომ საქართველოს ფორმირება სამართლებრივ სახელმწიფოდ მეწარმეებს მუშაობას გაუადვილებს.

მეორეც, ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია კომუნალური რეფორმა - მოსახლეობა ელექტრონისა და გაზის საფასურს საბაზრო ფასების მიხედვით იხდის. ეს კი დიდი და აუცილებელი ნაბიჯია წინ, საბაზრო ეკონომიკისაკენ, ნაბიჯი, რომელიც, უნდა ითქვას, ჯერ კიდევ არ გადადგმულა რუსეთში.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ჰყავს მეტად სერიოზული საკადრო რეზერვი - ქვეყნიდან წასული ჩვენი თანამემამულენი, რომლებიც ცუდად როდი შეეგუენ რუსეთსა თუ საზღვაგარეთის სხვა ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას და მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს. ბევრმა მათგანმა წარმატებით დააფუძნა და განავითარა თავისი საქმე, სხვებმა უკვე მოასწრეს ემუშავათ უცხოურ კომპანიებში. ამ ადამიანებს, რომელთა რიცხვს მეც მივეკუთვნები, არ დავიწყებიათ თავიანთი ქვეყანა და მზად არიან, მისთვის ბევრი რამ გააკეთონ, თუკი ისინი დარწმუნებული იქნებიან ქვეყნის სტაბილურობაში, შეეძლებათ ქვეყანაში პროცესების მაღალი ალბათობით პროგნოზირება და ფულის ლეგალურად გამომუშავება.

■ ■ ■

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საერთაშორისო საინვესტიციო კაპიტალის მიღებაში საქართველო მრავალი იმ ქვეყნის კონკურენტია, რომლებიც წარმოადგენენ ამ კაპიტალის დაბანდების პოტენციურ ადგილებს. ესენი არიან განვითარებადი ქვეყნები, აღმოსავლეთი ევროპა, რუსეთი, თურქეთი და სხვ. კაპიტალი მიედინება იქით, სადაც უფრო ხელსაყრელი პირობებია, რისკი ნაკლებია, ხოლო პერსპექტივები უფრო მიმზიდველია. ახლა ამ პოზიციებიდან გავაანალიზოთ საქართველოს უპირატესობანი და ნაკლოვანებანი უცხოელი ინვესტორის თვალსაზრისით.

ამ მხრივ საქართველოს უპირატესობები შემდეგია:

- საქართველოს ტერიტორია და მოსახლეობა არ არის დიდი, ამიტომ არც იმის საჭიროებაა, რომ შედეგს გლობალური პროექტები აქ ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის;
- კარგი კლიმატური პირობებია სოფლის მეურნეობისათვის;
- მოსახლეობა ეკონომიკურად აქტიურია. ქართველები ეკონომიკურად ძალიან აქტიური ხალხია სხვა ქვეყნებში, თვითონ საქართველოში კი მათი ეს აქტიურობა, სამწუხაროდ, ნიველირებული იყო სახელმწიფოს ზემოქმედებით და კლანური ინტერესებით;

> *დოლართან ეროვნული ვალუტის მკაცრად მიბმა, როდესაც ამ უკანასკნელის კურსი ხელოვნურად და უმართებულოდ მაღალია, ხელს უშლის ადგილობრივ წარმოებას და ეკონომიკის სტაგნაციას იწვევს, რაც გვაქვს კიდეც დღევანდელ საქართველოში.*

- არსებობს რესურსები: გეოგრაფიული მდებარეობა, ფერადი ლითონების მნიშვნელოვანი მარაგი, ტურიზმისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსები, აგრეთვე - იაფი მუშახელი;
- რუსეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის საინტერესო ბაზრებთან სიახლოვე.

ნაკლოვანებები:

- არასტაბილური ქვეყნის ისტორიული იმიჯი და მოსალოდნელი სიტუაციის წინასწარ განჭვრეტის შეუძლებლობა ნებისმიერ ინვესტორს აძლევს საფუძველს, მოითხოვოს დამატებითი პრემია რისკის გაწევის სანაცვლოდ;
- იმის მაგალითების არარსებობა, რომ ინვესტორები საქართველოში ფულის დაბანდებით გამდიდრდნენ;
- ენერგეტიკული რესურსების უკმარისობა და მომწოდებელზე დამოკიდებულება;
- ნაკლებმიმზიდველი ქვეყნის შიდა ბაზარი - მცირერიცხოვანი და დაბალმსყიდველობითუნარიანი მოსახლეობა.
- გეოგრაფიული სიახლოვე სერიოზულ კონკურენტებთან, რომლებიც საკმაოდ იაფ საქონელს აწარმოებენ (რუსეთი, თურქეთი, სომხეთი და სხვ.).
- კონკურენცია თურქეთთან ტურიზმის სფეროში და აფხაზეთის პრობლემის გადაუწყვეტობა საქართველოს არასტაბილური ქვეყნის იმიჯს ანიჭებს, რაც დამღუპველია ტურიზმისათვის. საზოგადოებრივ შეგნებაში სერვისის კულტურის უქონლობა;
- საკვანძო სპეციალობებში გამოცდილი და განათლებული კადრების უკმარისობა, მათი საზღვარგარეთ გადინების გამო;
- ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანის მწირი შესაძლებლობები;
- დღესდღეობით რაიმე უპირატესობის უქონლობა მაღალი ტექნოლოგიების სფეროში.

ყოველივე ამის საფუძველზე, უნდა დავასკვნათ, რომ ამჟამად საქართველო საერთაშორისო ინვესტორებისათვის, ძირითადად, საინტერესოა მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივ რესურსთა ექსპლუატაციის თვალსაზრისით. უახლოეს მომავალში მხოლოდ ტურიზმს თუ შეუძლია იქცეს საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ძლიერ დარგად, ოღონდ ამისათვის აუცილებლად საჭიროა მთელი რიგი პირობების შესრულება - საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ტერიტორიული პრობლემების მოგვარება და ყოველმხრივი მარკეტინგი. ამასთან, უნდა ჩამოყალიბდეს სერვისის კულტურა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა დღესდღეობით მოკლებულია.

## ვის მივბაძოთ?

დღევანდელი საქართველოსათვის უაღრესად აქტუალურია საკითხი, თუ რომელი ქვეყნის მოდელს აირჩევს ის თავისი ეკონომიკური წყობისათვის. გასაგებია, რომ სასურველი იქნებოდა მიგვეღწია შვეიცარიის ცხოვრების დონისათვის. მეორე მხრივ კი, შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი, უნიკალური გზა. მაგრამ არც ერთი და არც მეორე მათგანი საშუალებას არ გვაძლევს სწრაფად ავაშენოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა. მე თუ მკითხავთ, ჩვენ უნდა ავირჩიოთ ეკონომიკურად წარმატებული ისეთი ქვეყნის (თუ ქვეყნების) მოდელი, რომელიც რეფორმებამდე დაახლოებით ჩვენს მსგავს პირობებში იმყოფებოდა და იქაური მოსახლეობაც, მენტალიტეტის მიხედვით, ჩვენსას ჰგავდა. ჩვენ შეგვიძლია გადმოვიღოთ ასეთი ქვეყნის ყველაზე უფრო წარმატებული ეკონომიკური რეცეპტები. რაც შეეხება საკუთარი, ყველასაგან განსხვავებული ეკონომიკური განვითარების მოდელის შემუშავებას, ეს საქმე უნდა გადავდოთ იმ დრომდე, სანამ საქართველო ცოტათი მაინც მიუახლოვდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დონეს.

> *ეროვნული უშიშროების მთავარ საფრთხედ მიმაჩნია საექსპორტო შემოსავლების უკმარისობა, რაც გამოწვეულია მნიშვნელოვანი საექსპორტო უნარის მქონე დარგების არარსებობით.*

ბუნებრივია, არჩევანიდან სავსებით უნდა გამოირიცხოს ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკის მძლავრი განვითარება დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი რესურსების, პირველ რიგში კი ნავთობის ექსპორტზე. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ იმ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკაში ნავთობს პირველი ადგილი უჭირავს, ერთ სულ მოსახლეზე საერთო ეროვნული შემოსავლის ხვედრითი წილი არათუ გაიზარდა, არამედ შემცირდა კიდეც. ამასთან, ეს ქვეყნები დიდად არიან დამოკიდებული ნედლეულის მსოფლიო ფასებზე, რაც მკაფიოდ შეინიშნება რუსეთის მაგალითზეც.

ასევე მიუღებელი ჩანს საქართველოსათვის ის, რომ მან გაიზიაროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის (ჩინეთი, კორეა, ტაივანი, მალაიზია) გამოცდილება, ქვეყნებისა, რომლებიც სწრაფად ვითარდებოდნენ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. მათი ეკონომიკის განვითარება, უპირველეს ყოვლისა, ემყარება მსხვილმასშტაბიან წარმოებას, რომელიც, თავის მხრივ, ემყარება კარგი საწარმოო ჩვევებისა და ფანტასტიკური შრომითი დისციპლინის მქონე დიდძალი მოსახლეობის არსებობას.

აზიელი "ვეფხვების" გამოცდილებიდან ჩვენს ყურადღებას იმსახურებს სულ სხვა რამ - სახელმწიფოს როლი ეკონომიკის მშენებლობაში. ჯერ კიდევ 60-იან წლებში ამ ქვეყნების მთავრობებმა განსაზღვრეს ის სტრატეგიული საექსპორტო დარგები, რომლებშიც დიდი დამატებული ღირებულების შექმნა იყო შესაძლებელი. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს მიკროელექტრონიკას. ამის შემდგომ ისინი გეგმაზომიერად ხელს უწყობდნენ მრეწველობის განვითარებას; იზიდავდნენ უცხოურ კომპანიებს, რომ მათ თავიანთი წარმოება ამ ქვეყნებში გადაეტანათ. რაღაც დროის განმავლობაში ადგილობრივმა მწარმოებლებმა შესაფერისი გამოცდილება შეიძინეს და მსოფლიო კონკურენციაში ჩაებნენ. შედეგად, დღესდღეობით, მთელი მსოფლიო სარგებლობს აზიის ამ ქვეყნებში წარმოებული საოჯახო და კომპიუტერული ტექნიკით, მათ შორის არის დასავლეთის არაერთი ქვეყანა, რომლთაც თავისი წარმოებები "ვეფხვებში" გაიტანეს.

ჩემი შეხედულებით, ჩვენთან ბუნებრივი მონაცემებითა და მენტალიტეტით ყველაზე ახლოს არიან ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური ლიდერი იტალიაა. ჩვენი თანამემამულენი, რომლებიც იტალიაში ყოფილან, დამეთანხმებიან, რომ ჩვენს ხალხსა და იტალიელებს ბევრი რამ აქვთ საერთო კულტურაში, ქცევასა და ყოფა-ცხოვრებაში. ამასთან, იტალიელებს, რომლებსაც არც რაიმე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები გააჩნიათ და არც განსაკუთრებული შრომისუნარიანობა, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი აქვთ ევროპაში.

რაში უნდა ვეძიოთ ამ ქვეყნის წარმატების საიდუმლო? უპირველეს ყოვლისა, იმაში, რომ იტალიამ შეძლო ეპოვა თავისი უნიკალური ადგილი შრომის მსოფლიო განაწილებაში. იტალია ქმნის სტილს: მოდური ტანსაცმლით დაწყებული და ავტომანქანების ძარებით დამთავრებული. ამ სფეროში იგი მსოფლიო ლიდერია. დიზაინი კი - ეს ხარისხია, რომელიც პროდუქციას ბევრად უფრო მაღალ ფასს ანიჭებს, ვიდრე მასალის ღირებულება და მუშაობის გასამრჯელოა, ეკონომიკის ენაზე კი ეს გულისხმობს იმას, რომ სერიოზულად იზრდება დამატებითი ღირებულება.

ჩვენთვის არანაკლებ საინტერესოა იტალიური ეკონომიკის მეორე თავისებურება: იტალიაში აშკარად ჭარბობს მცირე და საშუალო ბიზნესი. წარმოების მოცულობა აქ, საერთაშორისო კომპანიების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით, მცირეა, მაგრამ პროდუქციის ხარისხი პრიორიტეტულია და ამ პროდუქციაზე ძალიან დიდი მოთხოვნილებაა საექსპორტოდ.

ჩვენთვის უთუოდ საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ იტალიის ეკონომიკის თვალსაჩინო ნაწილს შეადგენს დიდად განვითარებული და ეფექტიანი სოფლის მეურნეობა.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იტალია ძალიან ღარიბი ქვეყანა იყო, სადაც ხელისუფლების სათავეში კინაღამ კომუნისტები მოექცნენ. იტალიელებმა შეძლეს გაეკეთებინათ მძლავრი ეკონომიკური ნახტომი, ამასთან, მნიშვნელოვანწილად, იმის მეოხებით, რომ მთავრობა გამუდმებით უჭერდა მხარს მცირე ბიზნესს. მსგავსი ეკონომიკური მოდელით ვითარდებიან ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვა ქვეყნებიც. იტალიელებისაგან ბევრი რამ გადმოიღო ჩვენმა მეზობელმა თურქეთმა.

საქმე ისაა, რომ საქართველოს მოსახლეობა, ევროპულ განზომილებათა თვალსაზრისით, იმდენად მცირეა, რომ ჩვენ, რაგინდ ბევრიც ვეცადოთ, მაინც ვერ ჩამოვყალიბდებით ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომელსაც შეუძლია იქონიოს დიდი ქარხნები და გამოუშვას მასობრივი პროდუქცია, მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ არ გაგვაჩნია ბაზარი ასეთი პროდუქციის სარეალიზაციოდ.

რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს, იგი გაცილებით მოქნილია, რათა ბაზრის მოთხოვნებს მივუსადაგოთ. ამის გამო კი, ჩვენში ის სწრაფად შეიძლება იქცეს საექსპორტოდ ორიენტირებული წარმოების ფორმად. აქ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება. ვინც ქართული ოჯახის მენტალიტეტს, მის ტრადიციებს კარგად იცნობს, ვფიქრობ, დამეთანხმება, რომ სწორედ საოჯახო ფირმები შეიძლება იქცნენ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე სიცოცხლისუნარიან ფირმებად.

იმ ფაქტორთაგან, რომლებმაც შეიძლება განსაკუთრებული როლი შეასრულონ ჩვენში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ ქართველი ხალხის უმდიდრესი ტრადიციები გამოყენებითი ხელოვნების მრავალ დარგში. ეს ტრადიციები გამოირჩევა უნიკალური ეროვნული სტილით, რომლის უნარიანად გამოყენებას შეუძლია ფასდაუდებელი სამსახური გაუწიოს ჩვენს დიზაინერებს ტანსაცმლის, ინტერიერის სხვადასხვა საგნების, დეკორატიული მასალებისა და უამრავი სხვა ისეთი მიმზიდველი ნივთებისა თუ ნაკეთობის შექმნაში, რომლებზეც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი მოთხოვნილებაა, თანაც ეს მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება.

> *დღევანდელი დღის უპირველესი ამოცანაა არსებული აქტივების ამოქმედება. ეს გულისხმობს დაუყოვნებლივ განხორციელდეს ამ აქტივების პრივატიზება და მიყიდვა ისეთ ინვესტორებზე, რომლებიც მზად არიან, აამოქმედონ ისინი.*

დასასრულ, კუთვნილი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს უნიკალურ სოფლის მეურნეობას, რომელსაც, ინვესტიციებით ჯეროვანი უზრუნველყოფის შემთხვევაში, შეუძლია კონკურენტუნარიანი გახდეს. ოღონდ აქ აუცილებელია განსაკუთრებით გავამახვილოთ ყურადღება ისეთ შემოსავლიან დარგებზე, როგორიცაა, მაგალითად, მაღალხარისხოვანი ღვინის წარმოება. საქართველოს შეუძლია გახდეს ეკოლოგიურად სუფთა ხილ-ბოსტნეულის ექსპორტიორი ქვეყანაც. ოღონდ კარგად უნდა გვახსოვდეს ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ჩვენს სოფლის მეურნეობას მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციით შეუძლია მოხვდეს მსოფლიოს ბაზარზე.

## რით დავიწყოთ?

დარწმუნებული ვარ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ნამდვილად დაუჭერს მხარს ქვეყანაში ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას. და თუ ეს ასე იქნება, თავს უფლებას მივცემ, რომ სტატიის დასასრულს ძალიან მოკლედ, სულ რამდენიმე პუნქტად, ჩამოვაყალიბო ჩემი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა გადაუდებელი ამოცანები დგას სახელმწიფოს წინაშე ეკონომიკის განვითარების სფეროში, როგორ უნდა შეუწყოს ხელი ჩვენმა მთავრობამ, მეტადრე მისმა ეკონიმიკურმა ბლოკმა, ეროვნული ბიზნესის აღორძინებას:

1. დღევანდელი დღის უპირველესი ამოცანაა არსებული აქტივების ამოქმედება. ეს გულისხმობს დაუყოვნებლივ განხორციელდეს ამ აქტივების პრივატიზება და მიყიდვა ისეთ ინვესტორებზე, რომლებიც მზად არიან, აამოქმედონ ისინი. აუცილებელია როგორც ძველი ინფრასტრუქტურის აღდგენა-აღორძინება, ისე ახლის შექმნა, უამისოდ ეკონიმიკას ვერ განვავითარებთ.

2. უნდა განისაზღვროს სტრატეგიული საექსპორტო დარგები (არა თავდაცვის თვალსაზრისით), რომლებშიც რაც შეიძლება მოკლე დროში ქვეყანამ უნდა დაიკავოს კონკურენტუნარიანი პოზიცია მსოფლიო ეკონომიკაში. უნდა ჩამოყალიბდეს თანამიმდევრული სახელმწიფო პოზიცია ეკონომიკის საექსპორტო დარგებში ინვესტიციათა მოტივაციისთვის; ამოქმედდეს საზღვარგარეთ საქართველოს მარკეტინგი, როგორც მწარმოებელი და ტურისტული ქვეყნისა.

3. საექსპორტოდ ორიენტირებული ეკონომიკის დარგებთან ერთად, ხელსაყრელი პირობები უნდა შეიქმნას იმპორტის მოწესრიგებისთვის. საბაჟო და საგადასახადო შეღავათები უნდა გავრცელდეს იმ კომპანიებზე, რომლებსაც შემოაქვთ საწარმოო ხაზები და წარმოების სხვა საშუალებანი.

4. ეროვნული მწარმოებლის დასაცავად უნდა გაიზარდოს იმპორტზე საბაჟო გადასახადების ოდენობა და, იმავდროულად, განხორციელდეს ლარის დევალვაცია. თუ ეს არ გაკეთდა, ქვეყნის შიდა წარმოება წელში ვერ გაიმართება, ვერ განვითარდება.

5. ქვეყანაში აქტიურად უნდა განვითარდეს საბანკო სისტემა, ფინანსური ბაზრები, ამასთან, ინვესტორებისთვის შეიქმნას იმის მტკიცე გარანტია, რომ მათი სახსრები დაცული იქნება. ამ მხრივ არ უნდა დავემსგავსოთ რუსეთს, სადაც უცხოელი ინვესტორები უაღრესად შეშფოთებული არიან შექმნილი სიტუაციით. ოფშორული ოპერაციებისათვის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის დაწესება საქართველოს ხელს შეუწყობდა იმაში, რომ იგი, მსგავსად კვიპროსისა, კომპანიათა რეგისტრაციის ადგილად გადაქცეულიყო.

6. უნდა შეიქმნას სხვადასხვა ტიპის საინვესტიციო ფონდები. სახელდობრ: პირდაპირი ინვესტიციების ფონდები მსხვილი საფინანსო ინვესტორებისათვის, უძრავ ქონებაში დამაბანდებული ფონდები, საპაიო ფონდები მოსახლეობისათვის. ადამიანები უნდა ჩასწვდნენ ინვესტორის მენტალიტეტს, გახდნენ ინვესტორები.

7. უნდა ამაღლდეს განათლების სტანდარტი. უახლოეს დროში ქვეყანას დასჭირდება რამოდენიმე ათასი კვალიფიციური სპეციალისტი, რომლებიც დღეს მას არ ჰყავს, ვინაიდან ჩვენმა სასწავლებლებმა სერიოზული დეგრადაცია განიცადეს. კადრების არარსებობა ისეთივე, ან უფრო მეტი ბარიერია ეკონომიკის განვითარებისათვის, როგორც ფულის უქონლობა. საქართველომ საზღვარგარეთის სასწავლებლებში ყოველწლიურად უნდა გაგზავნოს 50-100 ახალგაზრდა და შეუქმნას მათ შესაფერისი პირობები ქვეყნისთვის საჭირო სპეციალობათა დასაუფლებლად.

8. უნდა მოვიზიდოთ მსხვილი საერთაშორისო კომპანიები თბილისში ოფისების გასახსნელად, რაც ხელსაყრელი იქნება არა მარტო ბიზნესის განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში, არამედ - ქართველი კადრებისთვისაც, რადგან საშუალებას მისცემს მათ გაიარონ საერთაშორისო კომპანიების სკოლა.

9. ხელსაყრელი პირობები უნდა შეიქმნას იმ პირთა რეპატრიაციისათვის, რომლებიც საქართველოდან საზღვარგარეთ არიან წასული საცხოვრებლად, სადაც მათ პროფესიული ცოდნა და საზღვარგარეთ ბიზნესის წარმოების გამოცდილება შეიძინეს, ახლა კი, ეს ცოდნა და გამოცდილება მათ შეუძლიათ თავიანთ ქვეყანას მოახმარონ.

10. დასასრულ, უნდა გავაძლიეროთ პროპაგანდა წარმატებული ბიზნეს-კარიერით ჩვენი ახალგაზრდების დაინტერესებისათვის და პირიქით, ვებრძოლოთ ჩვენი მენტალიტეტის ისეთ მანკიერ მხარეებს, როგორიცაა სიზარმაცე, სახელმწიფოს იმედზე არხეინად ყოფნა, სხვათა გამოცდილების აბუჩად აგდება. ეს ისეთი მანკიერებებია, რომელთა აღმოფხვრამ ფასდაუდებელი სამსახური შეუძლია გაუწიოს ჩვენი ქვეყნის გაჩანაგებული ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების საშვილიშვილო საქმეს.

## შერონ სტოუნი, "როლინგ სტოუნი"



"ქალ-კატას" მალე "ძირითადი ინსტინქტი-2" მოჰყვება

B3

## პარიზში გასეირნებამდე



ამერიკელი ლენს არმსტრონგი ლიდერობას, ალბათ აღარ დათმობს

B5

## ერთი-ორი ამბავი შრომის, სილამაზისა და ფულის შესახებ



B8


# აჭარა ღიაა

## მთავარია, საქმე გაკეთდეს. გზების გადაკეტვითა და ულტიმატუმებით კი ქვეყანას ვერ ავაშენებთ

მაია ჭალაგანიძე
ბათუმიდან

*აქ აღარც "ჰამერები" დარბის და აღარც თბილისის მანქანებს ერჩიან. ჩოლოქზე, სადაც ადრე პირქუში პოლიციელებით სავსე ჯიხური იდგა, მხიარული დეკორატიული იახტა დგას წარწერით "ქობულეთი".*
*ხალხი კი რა... ჩვეულებრივად, ხან იმედით არის და ხან უიმედოდ. ზოგს უჭირს, ზოგს - ძალიან უჭირს. ყველას ერთად კი ჯერ კიდევ უკვირს, როგორ შეიძლება აჭარის ხელმძღვანელი ფეხით დადიოდეს და გამვლელებს ესაუბრებოდეს. ის კი სულ მთლად აოცებთ, თუ ეს ხელმძღვანელი რომელიმე კაფეში ჭიქა ყავის დასალევად შეივლის.*
*აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, ლევან ვარშალომიძესთან ჩვენი ინტერვიუც ბათუმის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კაფეში - "პრივეტ იზ ბატუმა" - შედგა.*



*ლევან ვარშალომიძე: "ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ. ძნელი არ არის, რადგან ყველა რთული საკითხის მარტივად გადაწყვეტა შეიძლება".*

**- როგორც მახსოვს, აჭარაში ოპტიმისტურად მოდიოდით. რეალობა პასუხობს თქვენს ოპტიმიზმს?**

- პასუხისმგებლობა რომ დიდი იყო, გაცნობიერებული მქონდა, მაგრამ დღითიდღე ვრწმუნდები, რომ კიდევ უფრო დიდია. ძირითადი პრობლემა მაინც მთავრობისადმი ხალხის ნდობის აღდგენაა და ამისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს.

**- ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, ამის დრო არის?**

- ყველაფერი შედარებითია. რაც მთავარია, ხალხი გაგებით გვხვდება. უკანასკნელი 13 წლის მანძილზე მთელ აჭარაში მხოლოდ 1 კმ. და 300 მ. გზაა დაგებული. ამ მოკლე ხანში კი 10 კილომეტრიანი მონაკვეთი დავაგეთ და ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს. რაც მთავარია, ეს მხოლოდ არჩევნებთან არ არის დაკავშირებული. ერთადერთი, რაც გვინდა - აჭარა ყველაზე ძლიერი რეგიონი უნდა იყოს.

**- ყველაზე მეტად რა ჭირს?**

- უმძიმესი სოციალური სურათია. პრეზიდენტისა და ჩემს სახელზე შემოსული წერილების 80 პროცენტი უსახსრობას, უმუშევრობასა და ჯანმრთელობის პრობლემებს ეხება.

**- სამუშაო ადგილების შექმნის პროცესი დაიწყო?**

- დაიწყო პრივატიზაციის პროცესი. პირველ ჯერზე გაიყიდება დიდი სასტუმროები და ობიექტები. პარალელურად დაიწყება შენობათა პირველი სართულის, შედარებით მცირე ობიექტების გაყიდვა.

**- აჭარაში ინვესტირების მოწოდებაზე გამოხმაურება არის?**

- უდიდესი დაინტერესებაა და, პირველ რიგში, ეს ჩვენი მეზობელი თურქეთიდან მოდის. კონკრეტული ინტერესები აქვთ ე.წ. ქართველ თურქებს. ადრე ასე არ იყო და ბუნებრივიცაა - არც ერთი ბიზნესმენი არ ჩამოვა, როცა მთავრობა წილებს ითხოვს და კანონიერების საკითხი დგას ეჭვქვეშ. ბიზნესს თავისი კანონები აქვს და, პირველ რიგში, ეს თავისუფალი ბიზნესის არსებობაა. დღეს აჭარა ღიაა, ყველას ვეპატიჟებით. ინვესტორი რომელიმე ობიექტს ვერ მოიკიდებს და ვერსად წაიღებს. მის მიერ ჩადებული თანხები კი ყველაზე აქტუალურ - სოციალურ პრობლემებს მოხმარდება.

**- უპირველესად რა უნდა განვითარდეს?**

- საზღვაო-სანაპირო და მთის ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ციტრუსები - ეს ნამდვილად კონკურენტუნარიანი პროდუქციაა. ასევე დიდი პოტენციალია პორტსა და გემთმშენებელ ქარხანაში...

**- პრივატიზების კონკრეტული მსურველები გამოჩნდნენ თუ ჯერ დაზვერვითი სამუშაოებია?**

- ჯერ შორიდან კრეფენ ინფორმაციას, ინტერესი კი დიდია.

**- დიდი ხმაური ატყდა რამდენიმე კულტურულ-სამეცნიერო ცენტრის დახურვის გამო. აჭარის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ განგაშის საფუძველი არ არსებობს. ვინ არის მართალი?**

- საზღვაო აკადემიის სტუდენტთა და პედაგოგთა პროტესტი ჩემთვისაც გაუგებარი იყო. ამ სასწავლებლის არათუ გაუქმების, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გადაკეთების შესახებ დადგენილება, ფაქტობრივად, ხელმოწერილი იყო. რაც შეეხება კაპელას, სიმფონიურ ორკესტრსა და ოპერას - სამივე ორგანიზაცია მინისტრთა საბჭოსთან არსებული იყო. მაჩვენეთ ქვეყანა, სადაც ოპერა მთავრობას ექვემდებარება. რა თქმა უნდა, კულტურული კერების ეს სტატუსი მიუღებელია.

**- იტალიის პრემიერ-მინისტრი ბერლუსკონი ოპერის დიდი მოტრფიალეა. ხომ არ იცით, ვის ექვემდებარება ლა-სკალა?**

- უნდა გავიკითხოთ. გარდა იმისა, რომ პრემიერ-მინისტრია, ბერლუსკონი მდიდარი ადამიანიც არის და შესაძლებელია, საკუთარი ოპერაც ჰქონდეს. ალბათ, აბაშიძესაც ჰქონდა მისთვის მიბაძვის სურვილი.

შემდეგი პრობლემა ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა იყო. ოფიციალურად, ოპერა ორ მილიონ ლარამდე ჯდებოდა წელიწადში; ამას ყოველ სპექტაკლზე ემატებოდა სხვა თანხები, რომელთა რაოდენობაც ჩვენთვის უცნობია. არ ვიცით, რა თანხას იხდიდა აბაშიძე "საკუთარი ჯიბიდან" თუ ფონდიდან იმ დროს, როდესაც ადამიანებს ელემენტარული საარსებო პირობები არ გააჩნდათ. ჩვენ შევხვდით კოლექტივებს და შევთანხმდით, რომ კულტურისა და განათლების სამინისტროსთან ერთად წარმოადგენდნენ ამ ორგანიზაციების კონცეფციას.

**- ხომ არ იყო აჭარის ხელისუფლების შეცდომა ის, რომ საქმის კურსში არ ჩააყენეთ საზოგადოება. საერთოდ, რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი?**

- ამის საჭიროება არსებობს. შეიძლება, ერთი რამ ვერ გავითვალისწინეთ - პრესითა და ტელევიზიით ნათლად უნდა გამოცხადებულიყო ამ გადაწყვეტილების შესახებ. ზოგიერთმა ეს ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენა, მაგრამ მთავარი ერთია - საქმე უნდა გაკეთდეს. გზების გადაკეტვითა და ულტიმატუმებით ქვეყანას ვერ ავაშენებთ.

**- უკვე გაღიზიანებთ საპროტესტო აქციები?**

- თუ აქციებზე სამართლიან მოთხოვნებს აყენებენ, გავითვალისწინებ კიდეც. ამას წინათ ორი აქცია გაიმართა. სამარშრუტო ტაქსის მძღოლების მოთხოვნა სამსახურის ხელმძღვანელის გადაყენების შესახებ, სარფი-ურეკის ავტობუსების აკრძალვის მოთხოვნით შეიცვალა. მათთვის მინდა ვთქვა, რომ გაუქმების ნაცვლად კიდევ 120 ავტობუსი დაემატება, რომლებიც მაღალმთიან სოფლებს გაცილებით იაფად მოემსახურება. ამ ავტობუსების მძღოლები კონკურსის წესით შეირჩევიან.

**- რა იყო ყველაზე გაუგონარი დარღვევა, რაც აქ დაგხვდათ?**

- სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ეს იყო ბიუჯეტის რაოდენობა და მისი არამიზნობრივი ხარჯვა. სახელმწიფო ბიუჯეტში დაკანონებული იყო 17 მილიონი ლარი, რომლის განკარგვაც მხოლოდ ერთ ადამიანს, მეთაურს შეეძლო.

**- ბიუჯეტში რა თანხა დაგხვდათ?**

- ნული, პლუს მარტი-აპრილის ხელფასებისა და პენსიების დავალიანება, პლუს შარშანდელი წლის პედაგოგთა 30 პროცენტიანი დანამატის დავალიანება. ამ ფულის გასტუმრება დაიწყო და ოქტომბრისთვის დამთავრდება.

**- ისე, როგორც მთელ საქართველოში, აქაც ასრულებენ კორუმპირებულთა დაჭერის გეგმას?**

- გადაჭარბებითაც ასრულებენ. აჭარაში ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბდება ისეთი სამართალდამცავი სტრუქტურები, როგორიც ყველა ნორმალურ ქვეყანაშია. არ შეიძლება ერთ სახელმწიფოში იყოს ორი ჯარი, ორი პოლიცია და უშიშროება.

**- სამართალდამცავი კადრები თბილისშიც ჭირს, თქვენ სად პოულობთ?**

- კადრები ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. სამწუხაროდ, თაობის ჩანაცვლება არ ხდებოდა, სხვადასხვა თანამდებობებზე ერთი და იგივე ხალხი ინიშნებოდა, კადრებს არ ზრდიდნენ. ბევრმა საერთოდ დატოვა აჭარა. ვფიქრობ, ადგილობრივები და ჩამოსულები ერთობლივად "დავკომპლექტდებით". მთავრობის სტრუქტურა დასამტკიცებლად მზად არის. 18-დან 4 სამინისტრო დარჩა - ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ფინანსთა და ეკონომიკის, განათლებისა და კულტურის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროები. ამით ბიუჯეტიც დაიზოგა.

**- რამდენი იქნება მინისტრის ხელფასი?**

- ფაქტია, რომ არ შეიძლება, 500 ლარზე ნაკლები იყოს.

**- რეგიონის ეკონომიკური განვითარება ტურისტულ სეზონზე დიდწილად არის დამოკიდებული. ორიოდე თვის წინ აჭარამ დიდი რყევა გადაიტანა, არც ამინდი გიწყობთ ხელს. სეზონისთვის როგორ მოემზადეთ?**

- აგვისტოში უკეთესი ამინდები იქნება.

**- ასეთი ბრძანება გაეცით?..**

- ... ბათუმი არა მხოლოდ ზაფხულის, ზამთრის კურორტიც უნდა გახდეს. ვაღიარებ, რომ ჯერჯერობით სეზონისთვის ისე ვერ მოვემზადეთ, როგორც საჭიროა. სექტემბრიდან სულ სხვა მიდგომებით ვიმუშავებთ. გაიყიდება სასტუმროები, გაჩნდება კერძო სექტორი.... შედარება ყოველთვის შეიძლება - კერძო კაფესაც შეხედეთ და სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფსაც - განსხვავება თვალნათელია.

**- ისე ჩანს, უკრაინაში ელჩად წასვლას არ აპირებთ...**

- ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. არ ვიცი, საიდან წამოვიდა ეს ჭორი, რომელიც ტელევიზიიდანაც კი არ გამიგია. დამირეკეს და მკითხეს, მართლა მიდიხარო? ისე, სიმართლე გითხრათ, კიევი ჩემი უსაყვარლესი ქალაქია, იქ დიდი დრო მაქვს გატარებული.

**- იმედია, ბათუმზე მეტად არ გიყვართ....**

- რა თქმა უნდა, არა.

**- მამათქვენი საქნავთობის ხელმძღვანელად აირჩიეს. რა ისტორია უძღოდა ამას?**

- არც ვიცოდი, თუ მამა ამ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში იღებდა მონაწილეობას. მამა მენავთობეა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას ბაქოში, ჭაბურღილზე მუშაობდა. საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებიც ამ თემაზე აქვს. ბოლოს თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი იყო. მართლა არ ჩავრეულვარ ამ საკითხებში. ისე კი, მერჩივნა, მამა ბათუმში, ჩემ გვერდით ყოფილიყო.

**- თქვენს ნათესაობაზე გაჭრა პრეზიდენტის "ხუმრობამ" იმის შესახებ, რომ თანამდებობებს ვერ იხილავდნენ?**

- ნორმალურად მიიღეს და დამეხმარა კიდეც, რისთვისაც პრეზიდენტს მადლობას ვუხდი.

**- თქვენ არც ისე ხელწამოსაკრავი ოპოზიცია გყავთ ("რესპუბლიკელები", ძიძიგური-დავითაშვილი). როგორ უყურებთ მათ?**

- ვფიქრობ, რომ ისინი დასასვენებლად ჩამოვიდნენ... მათ მიერ დროდადრო მოწყობილ აქციებს ნორმალურად ვუყურებ, ზოგჯერ სასამართლოში ჩივილითაც იმუქრებიან, ეს მათი უფლებაა. უნდა შეიქმნას ნორმალური, ცივილიზებული ქვეყანა. თუ რაიმე დარღვევაა, ეს სასამართლომ უნდა გაარკვიოს. ასე რომ, სასამართლოში შევხვდებით.

**- ამბობენ, რევოლუციის შემდეგ პირდაპირ ბულვარში წყდებოდა გამოთავისუფლებული სკამების ბედიო....**

- ბულვართან დაკავშირებით კურიოზები, მართლაც, იყო. როგორც კი რევოლუცია მოხდა, ხალხმა თავისთვის პირდაპირ მიიზომა ადგილები. ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ და ამ საკითხს ვეტო დავადეთ. სექტემბერში ბულვარის ყოველ სექტორზე გამოცხადდება ტენდერი. ბულვარში ოდითგან არსებული კულტურული ცენტრების აღდგენის ბევრი ქველმოქმედი მსურველიც გამოჩნდა.

**- ქალაქის ადმინისტრაცია ინვესტორებს წაუყენებს გარკვეულ კრიტერიუმებს?**

- რა თქმა უნდა. ამის გარეშე ბულვარის განვითარება წარმოუდგენელია.

**- კომუნიკაციების გარეშე არაფერი გამოვა. ამ მხრივ მთელ აჭარაში და ბათუმშიც უმძიმესი ვითარებაა.**

- გეთანხმებით. კანალიზაციის უკანასკნელი ახალი მილი გასული საუკუნის 30-იან წლებში დამონტაჟდა. მას მერე აქ არაფერი გაკეთებულა. წყლის კომუნიკაციებზე დიდ პროგრამებს ავამუშავებთ, პროექტები უკვე მზად არის.

**- ასეთი სამსახური ჯერ არ გქონიათ, ამდენი ხალხი, მთელი რეგიონი ჯერ არ გიმართიათ. თავს როგორ გრძნობთ?**

- ხალხთან ურთიერთობა არ მიჭირს. პირიქით, მათთან კონტაქტით ბევრ ახალ ამბავს ვიგებ. "ზერეგზე" ყველამ ზეპირად იცის, რომელ კაბინეტში რა ხდება და ვინ სად ინიშნება... ბათუმი ისეთი ქალაქია, მანქანა არც გჭირდება, მთელ ქალაქს ნახევარ საათში შემოივლი. ფეხით სიარული კი ისედაც მიყვარს.

**- საყვარელი ადგილი გაქვთ?**

- ვერ გამოვყოფ. ადრე რკინიგზის იქით გაშენებულ ქალაქს ბათუმად არც თვლიდნენ. არადა, მთელ ქალაქში უნიკალური ისტორიული შენობები და პარკები ლამის მთლიანად არის განადგურებული.

კვირაში ერთხელ რაიონებში დავდივარ, თითქმის ყველა სოფელში ვარ ნამყოფი. ადგილზე უფრო კარგად ჩანს პრობლემები და მათი იქვე გადაწყვეტაც უფრო ადვილია.

**- ერთ-ერთ უნიკალურ შენობაშია განთავსებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობაც. როგორც ამბობენ, წარმომადგენლობა უქმდება და შენობას სასტუმრო სახლად გადააკეთებენო. ცნობილია, რომ ეს წარმომადგენლობა ბათუმში 1923 წლიდან არსებობს. ამ დროს კი თქვენს ქალაქში 18 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლობაც იყო. თურქეთთან სავიზო რეჟიმის გამარტივების ფონზე რამდენად მართებულად მიგაჩნიათ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობის შესუსტება?**

- საქართველო ასრულებდა და ასრულებს ძალზე მნიშვნელოვან სატრანზიტო ფუნქციას. ბათუმის პორტის, აეროპორტის დიდი პოტენციალის ამუშავების იმედი მაქვს. ამოქმედდება ძალზე მნიშვნელოვანი ბათუმი-კონსტანცას საბორნე გადასასვლელი. ბათუმში არსებული თურქეთის წარმომადგენლობის გარდა გამოჩნდებიან ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის წარმომადგენლობებიც. ბათუმი პატარა დიპლომატიური ქალაქი უნდა გახდეს. ადგილზე უნდა წყდებოდეს ვიზების გაცემა, ყველა პროცედურა აქ უნდა გვარდებოდეს. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობა უნდა გაძლიერდეს.

**- რომელიც დღეს უნიკალურ ისტორიულ შენობაშია...**

- და რომელშიც სასტუმრო არ უნდა იყოს.

**- რთულია აჭარის აღორძინება?**

- ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ. ძნელი არ არის, რადგან ყველა რთული საკითხის მარტივად გადაწყვეტა შეიძლება.









# აფიშა

## თეატრები

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**"ამირანი"**
"მომხიბვლელობის კანონი"
დას: 16:00; 18:00; 22:00 სთ.

"გოგონა ჯერსიდან"
დას: 20:00 სთ.

**"რუსთაველი"**
"სპარტანელი"
დას: 14:30; 19:30; 22:00

"ადამიანი ობობა"
დას: 17:00

## გამოფენები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
გიგიშა პაჭკორიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (კერამიკა)
III დარბაზი

ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ უნიკალურ ექსპონატთა ასლების გამოფენა
I დარბაზი

ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა
II დარბაზი

**TMS**
გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**"ქარვასლა"**
მამუკა ცეცხლაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

ჟან ჟაკ კრესდერის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "4,5 კმ ფოტოგრაფია"

**"ჰობი"**
გამოფენა კალეიდოსკოპი"

**სურათების ეროვნული გალერეა**
ირინა რაზმაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# თუშეთი კოშკების თანამედროვე „ინტერიერი"

### ომალოს მოსახლეობის ღია წერილი

*საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ჟვანიას, კულტურის ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრს ბატონ გიორგი გაბაშვილს, კახეთის გუბერნატორს ბატონ პეტრე ცისკარიშვილს. სოფელ ომალოში მცხოვრებლების ღია ბარათი.*





*რამდენად უხდება ასეთ კოშკებს (ზემოთ) ასეთი ინტერიერი.*

მოგეხსენებათ, რომ თუშეთის სოფელ ომალოს თავს დაჰყურებს კლდეზე აზიდული შუა საუკუნეების კესელოს ციხე-კოშკები. ჟამთა სვლამ კოშკები დაანგრია. 2001 წლიდან მიმდინარეობს მათი აღდგენა-რესტავრაცია. პროექტი ი. ბანძელაძის მიერ არის წარდგენილი ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 2001 წლის 04. 06 (ოქმი N13) პროექტი ითვალისწინებს აღდგენა-რესტავრაცია-კონსერვაციას ე. ი კოშკების პირვანდელი სახით აღდგენას. აღდგენით სამუშაოებს ასრულებს შ.პ.ს "კესელო" - ტურისტული ფირმა, დამფუძნებლები არიან ანზორ იდოიძე, ნუგზარ იდოიძე - ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თუშეთის განყოფილების გამგე, ზაზა ფილალიშვილი - სახელმწიფო კანცელარიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ყოფილი უფროსი, ელიანე ჰოფტ-კალკოენი და ჰედრიკ ჰოფტი. ძმები ანზორ და ნუგზარ იდოიძეები თუშები, ომალოში მცხოვრებნი არიან.

სოფელ ომალოს მოსახლეობა ვიყავით ინფორმირებულნი ა. და ნ. იდოიძეების მიერ, რომ მოხდებოდა ციხე-კოშკების აღდგენა პირვანდელი სახით. ამ ცნობას ყველანი კმაყოფილებით შევხვდით. გვეგონა, გამოუჩნდა პატრონი ჩვენი წინაპრების მიერ აშენებულ ციხე-კოშკებს და დაუბრუნდებოდა მათ პირვანდელი სახე. მაგრამ შევცდით. აღმოჩნდა, რომ ციხე-კოშკებს სასტუმროებად უპირებდნენ გადაკეთებას. ერთი კოშკი უკვე მზადაა სასტუმროდ. პირველ სართულზე მოწყობილია აბაზანა თანამედროვე ინვენტარით.

პროექტი ითვალისწინებდა მხოლოდ რესტავრაცია-კონსერვაციას და არა რესტავრაცია-ადაპტაციას, ე.ი. მოხდა კანონის დარღვევა. კესელოს ციხე-კოშკი იყო საბრძოლო დანიშნულების. ისინი არასოდეს ყოფილა ციხე-სახლები (როგორც ამას ამტკიცებენ ა. და ნ. იდოიძეები). ეს ციხე-კოშკები ჩვენთვის წმინდათა წმინდა ადგილია. კესელოს ციხე-კოშკების დახმარებით თუშებმა შევინარჩუნეთ ენაც, მამულიც, სარწმუნოებაც. ქართველი კაცისთვის უპირველესი და უწმინდესი მოვალეობა სამშობლოს დაცვა იყო და არის დღესაც, ამიტომ ვიცავთ კესელოს ციხე-კოშკებს ახლა უკვე არა ლეკი და ჩეჩენი გადამთიელებისაგან, არამედ ჩვენი, ფულზე დაგეშილი გადაგვარებული ქართველებისაგან და მათი უცხოელი "მეგობრებისაგან".

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ, ომალოს მაცხოვრებლებმა 2003 წელს განცხადებით მივმართეთ საქართველოს იმდროინდელ პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრს, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, კახეთის გუბერნატორს, კულტურის მინისტრს, რაიონის გამგებელს, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს. კანონის დარღვევისა და ისტორიულ-კულტურული ძეგლების შეურაცხყოფის მიუხედავად, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახა ტრაპაიძე, ინსპექციის უფროსი ბაადურ კუპრეიშვილი, პროექტის ავტორი ი. ბანძელაძე, ახმეტის ყოფილი გამგებელი ნუკრი ალავიძე, თუშეთის გამგებელი ზურაბ მურთაზაშვილი იშველიებდნენ ყოველგვარ არგუმენტს, რათა გაემართლებინათ პროექტის დარღვევა, ხოლო ა. და ნ. იდოიძეები, ზ. ფირალიშვილი პირად საუბრებში თუ წერილობით ამტკიცებდნენ, რომ შესაძლებელია რესტავრაცია-კონსერვაცია შეიცვალოს რესტავრაცია-ადაპტაციით. მათ ზურგს უმაგრებდა სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ზოიძის მიერ ხელმოწერილი წერილი პროექტის რესტავრაცია-ადაპტაციით შეცვლის შესახებ. ასე რომ, კესელოს ციხე-კოშკები მოხვდა კორუმპირებულ მაღალჩინოსანთა ინტერესების სფეროში. აშკარაა, თავი და თავი ციხე-კოშკებზე გადმორიცხული მილიონებია. ზემოთ აღნიშნულმა პირებმა მიგვანიშნეს, რომ არ მოერიდებოდნენ ზოგიერთების ფიზიკურ განადგურებასაც კი.

ბატონო პრეზიდენტო, შეგახსენებთ რომ თუშეთის მთელი ტერიტორია გამოცხადებულია ეროვნულ პარკად (საქართველოს კანონი "თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ". მუხლი 5.7. 23. 25. 28. 2003 წლის 22 აპრილი NN2086-IIს). ამ კანონის თანახმად, თუშეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონა წარმოადგენს ვიზიტორთა მისაღებად სპეციალურად მოწყობილ ტერიტორიას, სადაც ვიზიტორთა ყოფნა ამ კანონით დადგენილ საზღვრებშია დაშვებული.

ამრიგად, ფირმის დამფუძნებლები და მათი მხარდამჭერები შენიღბულნი არიან ფსევდოეროვნულობით, თითქოს თუშეთის აღორძინება და არქიტექტორული ძეგლების აღდგენა აინტერესებთ.

ომალოში მცხოვრებთა კატეგორიული მოთხოვნაა, მოიშალოს აბაზანა-ტუალეტი უკვე დამთავრებულ ციხე-კოშკში, დაუბრუნდეს მას პირვანდელი სახე. ჩვენ მომხრენი ვართ მხოლოდ კოშკების რესტავრაცია-კონსერვაციის. ამ კოშკებში იყოს მუზეუმი, მაგრამ სასტიკი წინააღმდეგი ვართ მასში სასტუმროს მოწყობისა.

ბატონო პრეზიდენტო, უმორჩილესად გთხოვთ, ნუ დატოვებთ უყურადღებოდ ამ ჩვენთვის და არა მარტო ჩვენთვის მეტად მტკივნეულ საკითხს. თქვენთვის ჩვეული გულისხმიერებით მოეკიდეთ ამ ეროვნულ საქმეს, რათა თქვენი თანადგომით შევინარჩუნოთ თუშეთის უნიკალური არქიტექტურა და ქართული სული.

*თქვენი იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა,*
*თუშეთის სოფელ ომალოს მცხოვრებნი.*

# არსად ისე, როგორც ჩვენთან

თამარ ამაშუკელი

ბორჯომის რაიონში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სოფელ დვირის მახლობლად ერთი ძველი ტაძრის ნანგრევები არსებობის უკანასკნელ დღეებს თუ წლებს ითვლის და შველას არსაიდან ელის. კვირიკეწმინდის (საკვირიკეს) სამონასტრო კომპლექსი IX-X საუკუნეებში ცნობილი ქართველ საეკლესიო მოღვაწის, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეს, ქრისტეფორეს აუგია.

ოთხმოციან წლებში მონასტერს გარკვეული საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა, რამაც გაახანგრძლივა ძეგლის არსებობა, მაგრამ დღეს ის სასწრაფო, გადაუდებელ რესტავრაციას საჭიროებს.

"საკვირიკე თავისი ისტორიული, რელიგიური და კულტურული თვალსაზრისით საქართველოსთვის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს... ძეგლი დაზიანებულია, დაზიანების ხარისხი მძიმე... ნებისმიერი ბიძგი დამანგრეველია." ასეთია ექსპერტთა დასკვნა ამ ულამაზესი ძეგლის შესახებ, რომელსაც დღეს სრული განადგურების საფრთხე ემუქრება.

საკვირიკე ერთ-ერთ იმ ძეგლთაგანია, რომელსაც, ასე რომ ვთქვათ, პატრონი არ ჰყავს. თუმცა პატრონი, მისი და ვინ იცის კიდევ რამდენი მისნაირი ძეგლის, ბევრი თუ არა, საკმაოა: საპატრიარქო, ძეგლთა დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის ფონდი და ა.შ.

არ ვიცი რისი ბრალია, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის თითქმის 80 პროცენტი, თავზე რომ გვენგრევა. იქნებ გაურკვევლობისა თუ უსისტემობის, თუმცა დღეს ყველაფერი ობიექტურად თუ არაობიექტურად ფულს ბრალდება.

ფული არ არის - ამართლებს თითქმის ყველაფერს. ალბათ, აღარასოდეს დადგება ნათელი, დიადი კომუნიზმი, როდესაც ვილაც ბიძია ბალიშის ქვეშ ფულს ამოგვიდებს და შუბლზეც გვაკოცებს: ვახ, ეს რა კარგ და რა კეთილ საქმეს აკეთებო. თუმცა, არც მაშინ, როცა კომუნიზმს ვაშენებდით ძეგლთა და საერთოდ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა პრიორიტეტი არ ყოფილა.

მთავარი კი უფულობაა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ მთავარი და უპირველესი მონდომებაა, თორემ, როცა ძალიან გინდა და რაც მთავარია, იცი, რაც გინდა, აუცილებლად გამოვა. მგონი, ჩვენი უბედურება ისიც არის, რომ არ ვიცით, რა გვინდა. კონკრეტულად ძეგლებზე თუ ვისაუბრებთ, სანამ ფულამდე მივალთ, იქნებ ჯერ ის გაგვერკვია, რას ვუპირებთ ამ ჩვენ ნაქებ-ნადიდებ ძეგლებს - დაკონსერვებას, რესტავრაციას, ან ვინ და როგორ უნდა ჩაატაროს ეს უკანასკნელი.

ჩვენ ხომ ჯერ ისიც ვერ გაგვირკვევია, ვისი პატრონაჟის ქვეშ უნდა იყოს ეკლესია-მონასტრები, ხატები მუზეუმში უნდა ინახებოდეს თუ ეკლესიაში?! საპატრიარქოს მოთხოვნა, ეკლესია და საეკლესიო ნივთები, რომ ამ უკანასკნელს უნდა ეკუთვნოდეს, დამაჯერებლად და არგუმენტირებულად ჟღერს; სახელმწიფოს შიში იმის თაობაზე, რომ ეკლესია-მონასტრები საკმარისად დაცულნი არ არიან და გარკვეულ საფრთხეს უქმნიან ჩვენს ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფ კულტურულ მემკვიდრეობას, ესეც ფაქტია. გადაბრალება და ურთიერთბრალდებების ოსტატები რომ ვართ, ესეც ფაქტია და საზიარო სახლი, რომ ყველაზე მოუვლელია, ესეც საქვეყნოდ თუ არა, მთელი საქართველოსთვის ნაცნობი ამბავია. ამასობაში კი იმას, რაც დაგვრჩა, ქარს, წვიმას და კიდევ ვინ იცის, რას ვატანთ, და მთელი უბედურება ის არის, რომ ხშირად არც კი ვიცით, რა გვაქვს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კვირიკეწმინდის (საკვირიკეს) მონასტრის ფრესკებია. ამ უძველესი ტაძრით, განსაკუთრებით კი მისი მოხატულობით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში დაინტერესებულა და ნაშრომი მიუძღვნია შესანიშნავ ქართველ მეცნიერს თ. ვირსალაძეს. იგი თავის ნაშრომში დასძენს, რომ: "მიუხედავად ძლიერი დაზიანებისა ტაძარმა წინათ მთელი ინტერიერის მომცველი ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტები შემოგვინახა... მისი მოხატულობა XIV საუკუნეში სამცხის ათაბაგების ზეობაში ამ კუთხის კულტურისა და მშენებლობის ხელახალი აღმავლობის ჟამს შეიქმნა." დღესდღეობით ფრესკების მდგომარეობა კატასტროფულია და თუ უახლოეს მომავალში არ იქნება მიღებული ზომები მათ გადასარჩენად, ქართული ფერწერის ეს შედევრები განწირულია. ღია ცის ქვეშ დარჩენილ ფრესკებს ათოვს და აწვიმს. ტემპერატურისა და ტენიანობის ცვლილება ანადგურებს ბათქაშს და ფერწერულ ფენას. აღსანიშნავია, რომ საკვირიკეს მონასტრის ფრესკები სრულფასოვნად ფოტოგრაფირებულიც კი არ არის, მათ არ ჩატარებიათ დეტალური ფოტო-ფიქსაცია და ლაბორატორიულ-ქიმიური კვლევა, აღარ ვლაპარაკობთ შესწავლის თანამედროვე მეთოდებზე. ეს ყოველივე კი იმას ნიშნავს, რომ ამ ფრესკების ჩამოშლის შემთხვევაში ნახატის აღდგენა შეუძლებელი იქნება.

ამას წინათ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მომხდარმა ამბავმა მთელი ქვეყანა შეძრა. ეს რა გვიქნეს, ეს როგორ გაგვიბედეს იმ საზიზღარმა ბერძნებმაო. ქუდზე კაცი ვაფრინეთ, გაზეთები საყვედურებითა და მუქარით ავაჭრელეთ და ბერძნები არ ვიცი და ებრაელები კი ცოტა არ იყოს შევაშინეთ, თუ სინდისზე შევაგდეთ და მათაც ფული გამოყვეს, ოღონდ თქვენ არ ინერვიულოთო. მოკლედ, ისეთი საერთაშორისო სკანდალი მოვაწყვეთ, გარედან შემყურეს შეშურდებოდა და იმასაც იფიქრებდა, აი, მესმის ხალხი საკუთარ ისტორიას როგორ უვლის და როგორ აფასებსო. კიდევ კარგი, ბერძნებმა ის არ იციან, ჩვენს მუზეუმებში რა ხდება და როგორ ვუვლით ჩვენს კულტურას, როგორ გვენგრევა მთელი ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა და ერთ მშვენიერ დღეს უისტორიოდ რომ დავრჩებით. თორემ ნამდვილად არ გვაკმარებდნენ ერთ ფრესკას.

ალბათ, ისინი, ვისაც "აბარია" ჩვენი "წარსული" თუ ამ ამბავს წაიკითხავენ, იტყვიან, რა ვქნათ, ფული არ არისო. ყველა ძალას ვხმარობთ სპონსორების მოსაზიდად, აგერ, ახალ ორგანიზაციებს ვქმნით ("ქოლგა") ძველის დასახმარებლად, სპონსორებს ვეძებთ. ყველაფერი გვესმის, ბატონო, მხოლოდ ერთი ვიცი: ქვეყანაში, სადაც ისტორიული ძეგლის გვერდზე (ანჩისხატი) დიდ "თეთრ საქორწილო ტორტს" აგებენ და აღშფოთებული გამოსვლების შემდეგ ამ "ტორტის" მეპატრონე მხოლოდ მის უფრო მოკრძალებულ ფერად გადაღებვით კმაყოფილდება და საქმეც მოგვარებულად თუ ჩაფარცხულად ითვლება, იქ სადაც ისტორიულ უბნებში ასეთივე სახლები ინგრევა და მათ ადგილზე ფეშენებელური, უგემოვნო კორპუსები იგება, იქ არავინ მოვა და არ გვეტყვის, გინდა თუ არა, თქვენი კულტურული მემკვიდრეობა უნდა დაიცვა და ძველის სიყვარული უნდა გასწავლოთო. თქვენი საქმისა თქვენ იცითო, იტყვის და წავა.

ჩვენ კი მერე სუფრასთან ბევრს ვილაპარაკებთ დავით აღმაშენებელზე, გელათზე, ნიკორწმინდაზე, თამარსა და შოთაზე, სამომავლო გეგმებსაც დავსახავთ და, ალბათ, "სოფლის შენებას რა უნდაო," შემოვძახებთ. რა უნდა და, ჩემო კარგებო, საქმეს სუფრიდან რეალობაში გადატანა უნდა და იმ ლამაზი სადღეგრძელოების განხორციელება უნდა. უნდა აბა, არ უნდა? - ხო უნდა? - კი უნდა. აი, როგორ უნდა, ეს მე არ ვიცი.



*საკვირიკე ერთ-ერთ იმ ძეგლთაგანია, რომელსაც, ასე რომ ვთქვათ, პატრონი არ ჰყავს.*

# შერონ სტოუნი, "როლინგ სტოუნი"

"ქალ-კატას" მალე "ძირითადი ინსტინქტი-2" მოჰყვება

ამერიკული ჟურნალი "როლინგ სტოუნი" ისედაც ბევრის საყვარელი გამოცემაა, მაგრამ მისი 16 ივლისის ნომერი შერონ სტოუნის დამსახურების გამო კიდევ უფრო საყვარელი გახდა. ახალი ჰოლივუდური ფილმის "ქალი-კატას" პრემიერამდე ჟურნალმა მსახიობის საინტერესო პორტრეტები გამოაქვეყნა. თუ მერილინ მონროს საწოლში არაფერი ეცვა "შანელი №5"-ის ორიოდე წვეთის გარდა, სტოუნს ამ ფოტოებზე ხან მხოლოდ ღიმილი და ბიკინი აცვია, ხან - კიდევ ღიმილი და ნაქსოვი საცურაო კოსტიუმი და ხანაც შიშველ სხეულზე თეთრი ქურქი აქვს მოხვეული.

მაგრამ სულ სხვაა რიგით ბულვარულ გამოცემებში დაბეჭდილი ეროტიკული ფოტოები და სულ სხვაა "როლინგ სტოუნის" იგივე შინაარსისა და განცდის ფოტოები, მაღალ დონეზე, კლასიკურ შავ-თეთრ ფერებში შესრულებული სურათები, ხელოვნებას რომ უთანაბრდება.

და მართლაც, "როლინგ სტოუნის" შეძენა და შერონ სტოუნის ფოტოების დათვალიერება, მათი ეროტიკულობის გარდა, სწორედ ფოტოესთეტიკის გამო ღირს. ჟურნალს ხომ უზადო ფოტოგანყოფილება აქვს, რომელსაც 70-იან წლებში ცნობილი ამერიკელი ფოტოგრაფი ენი ლეიბოვიცი ედგა სათავეში.

ასეა თუ ისე, 46 წლის, ანევრიზმის ოპერაციაგადატანილი მსახიობი შეუდარებელ ფორმაშია. ის მნახველზე თითქმის ისეთივე შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც 1992 წელს გამოსულ, სუპერწარმატებულ "ძირითად ინსტინქტში".

არადა, ძირითადი ინსტინქტების გამომჟღავნებიდან უკვე 12 წელია გასული. ანუ, 12 წელი იმ სკანდალური ეპიზოდის შემდეგ, როცა სტოუნს ქვედა საცვალის ჩაცმა დაავიწყდა, კამერამ კი მსხვილი პლანით ფეხის ფეხზე გადადება აღბეჭდა ფირზე. არავინ იცის, რა ინტრიგა იქნება ჩადებული ახალ ფილმში, მაგრამ ფაქტია, რომ "ძირითადი ინსტინქტი-2" მალე გამოვა და მასში შერონ სტოუნი კვლავაც მოწოდების სიმაღლეზე იქნება.

ის მშვენივრად გამოიყურება ახალ ფილმშიც - "ქალი-კატა", რომელშიც ყოფილი სუპერ-მოდელი ლორელის როლს ასრულებს. ლორელს ვერაფრით წარმოუდგენია ის, რომ ძველებურად ლამაზი აღარ არის და სიბერეს ყველა არსებული თუ არარსებული ხერხით ებრძვის.

მართალია, პოდიუმზე სეირნობა არც შერონ სტოუნისთვის არის უცხო, მაგრამ ის აცხადებს, რომ თავის გმირთან, ნევროტიკ ლორელთან საერთო არაფერი აქვს:

"ასაკს არასდროს ვმალავ და არ ვიტყუები, ეს-ესაა 35 წელი შემისრულდა-მეთქი. ასეთების არ მჯერა. თუმცა, ერთიც არის, ლორელს მარად ახალგაზრდად დარჩენა იმიტომ უნდა, რომ საზოგადოება მოითხოვს მისგან ამას. ძალიან მომწონს, რომ ამ ფილმს სწორედ ასეთი სათქმელი აქვს - ჯერ გავაცნობიეროთ, ვინ ვართ ჩვენ და შემდეგ საკუთარ თავში იმის ძალაც მოვნახოთ, რომ იდეალური "მე" რეალობად ვაქციოთ", - აცხადებს მსახიობი ერთ-ერთ ინტერვიუში და დასძენს, რომ თავის ასაკთან სრულ ჰარმონიაშია, - "არ მინდა იმ მსახიობებს დავემსგავსო, თოჯინების ვარცხნილობით რომ დადიან 90 წლის ასაკშიც. გავხდი და ტანზე კანი მომეფუშა, მაგრამ მერე რა? მოდით, ვაჟკაცურად ჩავაბაროთ ახალგაზრდობა წარსულს".



ახლა, რაც შეეხება სტოუნის ძირითად ინსტინქტებს, რომლებიც ვერც დრომ და ვერც ასაკმა შეასუსტა. ახალ როლში მსახიობი 15 მილიონ დოლარამდე ჰონორარს მიიღებს, მაგრამ პროდიუსერს მისი კაპრიზების შესრულებაც მოუწევს. ამჯერად მას ველარავინ მოატყუებს, როგორც პირველ ფილმზე მოხდა.

იგულისხმება ზემოთ ნახსენები ფეხის ფეხზე გადადების ცნობილი სცენა. შერონ სტოუნი ჰყვება: "აზრზე არ ვიყავი, რა ხდებოდა. რეჟისორმა პოლ ვერჰოვენმა მითხრა, რომ საჭირო იყო ქვედა საცვალის გახდა, რადგან ქსოვილი სინათლეს ირეკლავდა; და თუ საცვალს გავიხდიდი, ეკრანზე მხოლოდ ჩრდილი გამოჩნდებოდა და ვერავინ ვერაფერს ვერ დაინახავდა. მაშინ პოლს ვუთხარი, "მჯერა შენი". მაგრამ მერე საქმე სხვაგვარად დატრიალდა. მე ეპიზოდი მხოლოდ ფილმის პირველ ჩვენებაზე ვნახე. გაოგნებული დავრჩი".

განსხვავებული ვერსია აქვს ვერჰოვენს. ის ამტკიცებს, რომ სტოუნი გახდაზე მაშინვე დათანხმდა და მხოლოდ სამონტაჟოში ატეხა ჩხუბი და კადრის ამოჭრაც მოითხოვა. თუმცა, რეჟისორი არ დათანხმდა და ასე ჩაიდო პირველი ინტრიგა პირველ "ძირითად ინსტინქტში".

თუმცა, როგორც სტოუნი ამტკიცებს, მეორე ფილმში ინტრიგა აღარ განმეორდება. ყველაფერი უშუალოდ მისი მითითებებით წარიმართება. წინასწარ გამზადებული შეთანხმების მიხედვით, ფილმში იქნება "არავითარი სიშიშვლე, გარდა იმისა, რაც დამტკიცებულ სცენარშია ჩართული".

თვით სტოუნს აქვს მინიჭებული რეჟისორისა და მსახიობთა დასის დამტკიცების უფლებაც. ფილმში დაბრუნებაზე უარს ამბობს მაიკლ დუგლასი (როგორ ჩანს, კეტრინ ზეტა-ჯონსსაც არ მოსწონს ის, რომ მისი ქმარი ძირითად ინსტინქტებს შერონ სტოუნთან ერთად კიდევ ერთხელ აჰყვეს), ამიტომ ახალი მსახიობის მოძებნაა საჭირო. თავიდან ამბობდნენ, რომ დუგლასს ერონ ეკჰარტი შეცვლიდა, მაგრამ მან უარი განაცხადა. შემდეგ ვიგო მორტენსენთან ("ბეჭდების მბრძანებელი") მოსინჯეს ბედი, მაგრამ მანაც უკან დაიხია იმ მიზეზით, რომ მომქანცველი მუშაობის შემდეგ დასვენება სურდა. ახლა შესაძლო ვარიანტებად ჯუდ ლოუ, რუპერტ ევერეტი, ევან მაკგრეგორი, კურტ რასელი, ბენისიო დელ ტორო, ხავიერ ბარდემი და გაბრიელ ბირნი რჩებიან. უცნობია, რომელ მათგანზე შეაჩერებს სტოუნი არჩევანს.

გარდა ამისა, გადაღებების პროცესში მას მთელი დღის განმავლობაში დაიცავს შეიარაღებული დაცვა, იცხოვრებს პრეზიდენტების სასტუმრო ნომერში, ორი საძინებელი ოთახით, მოემსახურება პირველი კლასის ავტომობილი და არამწეველი მძღოლი, რომელსაც პირადად შერონი შეარჩევს, ეყოლება "სედანი" პირადი მოხმარებისთვის და კადილაკი. სტოუნი გადაღებებზე ჩაიყვანს სამ ძიძას, ორ ასისტენტს, შეფ-მზარეულს. იქონიებს რამდენიმე მობილურ ტელეფონს და კეთილმოწყობილ საცხოვრებელ ვაგონს - კონდიცირებით, გათბობით, საძინებლით, აბაზანით, საშხაპით, ტელე და ვიდეო აღჭურვილობით, მაცივრით, ტელეფონით, ღუმელით, ტახტით, ფაქსით.

რომ დაგარწმუნოთ იმაში, რომ შერონ სტოუნს ყოველი დეტალი გათვალისწინებული აქვს, მოგახსენებთ: მისი მოთხოვნით, ტიტრებში სახელი შერონ სტოუნი პირველად უნდა გამოჩნდეს და ასოების ზომა თითქმის ისეთივე უნდა იყოს, როგორიც ფილმის სათაურს ექნება. ასე უნდა იყოს ფილმშიც და რეკლამებშიც. რაც შეეხება გარდერობსა და სამკაულს, ამაზე ლაპარაკიც არ არის - ყველაფერი შერონ სტოუნს რჩება.

ასეთია "ძირითადი ინსტინქტი-2"-ის შესახებ ცნობილი დეტალები. თუმცა, არ ღირს შერონ სტოუნის ცუდ ხასიათზე ჩაფიქრება. რაც არ უნდა გამორჩეულად ინტელექტუალური იყოს, ის მაინც ჰოლივუდის ვარსკვლავია და კაპრიზების უფლებაც აქვს. მანამდე კი, სანამ ფილმი გამოვა, მამაკაცები "როლინგ სტოუნის" სრულ ტირაჟს გაანადგურებენ და "ქალ-კატას" უყურებენ, მით უფრო, რომ მასში ჰოლივუდის მეორე არანაკლებ სექსუალური მსახიობი - ჰალი ბერი თამაშობს.

# მეკობრული კომპაქტ-დისკები

ულიცენზიო კომპაქტ-დისკების რიცხვი წელიწადში 1,1 მილიარდს აღწევს, მაგრამ უკანონო ვაჭრობა თანდათანობით მცირდება. ფონოგრაფიული ინდუსტრიის საერთაშორისო ფედერაციის განცხადებით, ე.წ. "მეკობრული მუსიკით" შემოსული თანხა ყოველწლიურად 4,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. დღეისათვის მსოფლიოში ასეთი მდგომარეობაა: გაყიდული კომპაქტ-დისკების 35 პროცენტი ულიცენზიოა. არალეგალური ვაჭრობის ფარდობა ლეგალურ ვაჭრობასთან 2000 წელს ერთი-ხუთზე იყო, 2003 წელს კი - ერთი-სამზე. მაგრამ ულიცენზიო დისკების რაოდენობამ 2003 წელს 4 პროცენტით მოიმატა, 2002 წელს კი მატების მაჩვენებელი 14 პროცენტი იყო. ფონოგრაფიული ინდუსტრიის საერთაშორისო ფედერაცია მიიჩნევს, რომ პროცესის შენელება დადებითი მაჩვენებელია. ეს იმ ბრძოლის შედეგი არის, რომელსაც ფედერაცია ახორციელებს კომპაქტ-დისკებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ. გასულ წელს 53 მილიონი დისკის კონფისკაცია მოხდა, მაშინ როცა შარშანწინ "დაპატიმრებული" დისკების რაოდენობა მხოლოდ 13 მილიონი იყო. ექვსჯერ შემცირდა ასევე არალეგალური დისკების გამომშვები მანქანების - CD-მატრიცების რიცხვიც...



ფონოგრაფიული ინდუსტრიის საერთაშორისო ფედერაციას მიზანში რამდენიმე ქვეყანა ჰყავს ამოღებული. უკვე შედგენილია მუსიკალურ კრიმინალთა ათეულის ნუსხა. ათეულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ესპანეთს. როგორც ამბობენ, აქ მდგომარეობა საგანგაშოა და აუცილებელია მთავრობის დაუყოვნებელი ჩარევა. თუმცა, არც ათეულის სხვა ქვეყნებშია ამ მხრივ საქმე კარგად: მექსიკაში, რუსეთში, ტაივანსა და უკრაინაში. ეს ქვეყნები პრობლემურ ქვეყნებად ითვლება. ახლახანს მათ რიცხვს პაკისტანიც შეემატა, რომელიც სიაში პოლონეთს ჩაენაცვლა.

ფონოგრაფიული ინდუსტრიის საერთაშორისო ფედერაციის განცხადებით, ორგანიზაციამ უკვე აღმოაჩინა ამ ქვეყანაში რვა საწარმო, სადაც არალეგალურ კომპაქტ-დისკებს ამზადებენ. აქედან ჩანაწერები მსოფლიოს ყველა კუთხეში იგზავნება. ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აქ დამზადებული ნაწარმის ერთი მერვედიც კი საკმარისი იქნებოდა. პაკისტანის საწარმოები მსოფლიო "შავ ბაზარზე" მუშაობს. პაკისტანში დამზადებული დისკები უკვე ნიუ იორკშიც კი გამოჩნდა. გაყიდვების რაოდენობის თვალსაზრისით ჩინეთი პირველ ადგილზე დგას. მას მოსდევს რუსეთი. ჩინეთის მეკობრეთა ბაზრის შემოსავალი 591 მილიონი დოლარია, რუსეთისა კი - 332 მილიონი. რუსეთში არალეგალური დისკების მწარმოებელი 21 საწარმოა დაფიქსირებული. "მსოფლიოს მუსიკალურ ბაზრებზე კომერციული მუსიკის მეკობრეობა დომინირებს, მიუხედავად იმისა, რომ 2003 წელს პროცესი საგრძნობლად შენელდა," - ამბობს ფონოგრაფიული ინდუსტრიის საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარე ჯეი ბერმანი. მისი თქმით, "არალეგალური ვაჭრობა ხელს უწყობს ორგანიზებულ დანაშაულს, ამძაფრებს ისედაც ყველგან მოდებულ კორუფციას. ეს ყველაფერი კი სახელმწიფოს ასეულობით მილიონი დოლარი უჯდება - დაკარგული გადასახადების ფასი."

"ახლა პასუხისმგებლობა მთავრობებს ეკისრება, განსაკუთრებით ამ "პრიორიტეტულ" ქვეყნებში. მთავრობამ - აქტიურად უნდა იმოქმედოს არსებული პრობლემის გადასაჭრელად. აქტიური მოქმედება ნიშნავს სათანადო ზომების მიღებას, მკაცრი სასჯელის დაწესებას მეკობრეთა წინააღმდეგ და კომპაქტ-დისკების წარმოების პროცესის ეფექტიან მართვას. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ უნდა არსებობდეს პოლიტიკური ნება, რაც აუცილებელი პირობაა რეალური ცვლილებების განსახორციელებლად," - აცხადებს ბერმანი.

მსოფლიო "ი ემ აის" თავმჯდომარე ალან ლევი ამბობს, რომ მეკობრეობა დიდ ზიანს აყენებს ადგილობრივ ხელოვანებს. ფონოგრაფიული ინდუსტრიის საერთაშორისო ფედერაცია ებრძვის მეკობრეებს, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა, აწარმოონ ე.წ. ყალბი "იურიდიული მარკის" მქონე კომპაქტ-დისკები. ფედერაცია ასევე ერთ-ერთი პირველი ორგანიზაციაა, რომელიც ფინანსურად დაეხმარა ინტერპოლის ბრძოლის ფონდს ინტელექტუალური საკუთრების ქურდობის გამოვლენაში.

ბერმანი იმასაც აღნიშნავს, რომ მეკობრეობის პრობლემა მთლიანად არასოდეს გაქრება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მასთან ბრძოლაზე ხელი უნდა ჩავიქნიოთ, პირიქით, ფონოგრაფიული ინდუსტრიის საერთაშორისო ფედერაცია ყოველ ღონეს იხმარს, რათა შეძლებისდაგვარად შეავიწროოს დანაშაულის გავრცელების საზღვრები.

მომავალი წლის იანვარში ფედერაცია ასევე აპირებს განიხილოს არალეგალური გაცვლის პრობლემები და გააკეთოს საგანგებო ანგარიში ქვეყნის შიგნით გავრცელებული მეკობრეობის მავნე შედეგების შესახებ.

## ათეულები

**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით**

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| [illegible] | "[illegible]" | "[illegible]" | 7.6 |
| [illegible] 2004 | "[illegible]" | "[illegible]" | 3.2 |
| [illegible] | "[illegible]" | "ინტელექტი" | 2.8 |
| პაულო კოელიო | "ალქიმიკოსი" | | 2.8 |
| [illegible] | "[illegible]" | "[illegible]" | 2.4 |
| ჯ.კ. როულინგი | "ჰარი პოტერი და [illegible]" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| [illegible] | "[illegible]" | "ინტელექტი" | 1.2 |
| [illegible] | "[illegible]" | "ინტელექტი" | 1.2 |
| [illegible] | "[illegible]" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.2 |
| პაულო კოელიო | "რიო პიედრას ნაპირზე ჩამოვჯექი და ვტიროდი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.2 |

**კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით**

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიქენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "მე, რობოტი" | ალექს პროიასი | უილ სმითი, ბრიჯეტ მოინაჰანი | 52,179,887 | 52,179,887 |
| "ადამიანი-ობობა 2" | სემ რაიმი | ტობი მაგუაირი, კირსტენ დანსტი, ალფრედ მოლინა | 24,775,450 | 302,287,882 |
| "[illegible]" | ადამ მაკეი | უილ ფერელი, კრისტინა ეპლგეიტი | 13,849,313 | 56,956,256 |
| "[illegible] ამბავი" | მარკ როზმანი | ჰილარი დაფი, ჩად მაიკლ მიურეი, ჯენიფერ ქულიჯი | 13,623,350 | 13,623,350 |
| "ფარენჰაიტი 9/11" | მაიკლ მური | ჯორჯ ბუში, მაიკლ მური (არქივი) | 7,175,674 | 93,984,261 |
| "მეფე არტური" | ანტუან ფუკუა | ქლაივ ოუენი, სტივენ დილეინი, კეირა ნაითლი | 7,161,640 | 38,110,849 |
| "[illegible]" | ნიკ კასავეტესი | სემ შეპარდი, ჯეიმს გარნერი, ჯინა როულენდსი | 5,651,212 | 53,888,561 |
| "[illegible]" | როუსონ მარშალ ტერბერი | ბენ სტილერი, ვინს ვონი, კრისტინ ტეილორი | 3,813,719 | 105,165,752 |
| "[illegible]" | ქინენ აივორი უეიანსი | მარლონ უეიანსი, შონ უეიანსი | 3,436,320 | 63,470,104 |
| "შრეკი 2" | ენდრიუ ადამსონი | მაიკ მაიერსი, ედი მერფი, კამერონ დიაზი, ანტონიო ბანდერასი, რუპერტ ევერეტი | 3,230,786 | 425,011,646 |



**კვირის საუკეთესო კონცერტების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით**




| შემსრულებელი | ადგილი | თარიღი | შემოსავალი | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| სელინ დიონი | [illegible] | 7-11 ივლისი | 2.2 მილიონი | 16.429 |
| [illegible] | [illegible] | 6, 8 ივლისი | 2.0 მილიონი | 49.043 |
| [illegible] | [illegible] | 6-7 ივლისი | 2.0 მილიონი | 29.800 |
| [illegible] | [illegible] | 3-4 ივლისი | 2 მილიონი | 27.674 |
| [illegible] | [illegible] | 26-27 ივნისი | 1.6 მილიონი | 41.019 |
| [illegible] | [illegible] | 2-3 ივლისი | 1.6 მილიონი | 27.599 |
| [illegible] | [illegible] | 7 ივლისი | 1.5 მილიონი | 13.424 |
| [illegible] | [illegible] | 17-18 ივლისი | 1.5 მილიონი | 40.000 |
| [illegible] | [illegible] | 17 ივლისი | 1.1 მილიონი | 22.000 |
| [illegible] | [illegible] | 6-7 ივლისი | 0.8 მილიონი | 17.782 |

კალათბურთი

## იტალიელებმა მოგვიგეს და 2 ქულაც მოგვპარეს

**იტალია - საქართველო 100:76**

პორტო სან ჯორჯოში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა პირველი მარცხი იწვნია. ეს ქართველთათვის ტურნირის მეორე მატჩში მოხდა, რომელშიც ჩვენი მეტოქე იტალიის ნაკრები იყო. პირველი ორი მეოთხედი ჩვენები ასე თუ ისე უძალიანდებოდნენ მეტოქეს, დიდი შესვენების შემდეგ კი, მასპინძლები მოედნის ბატონ-პატრონები გახდნენ. კარლო რეკალკატიმ რომ ნახა შესვენებამდე როგორ თამაშობდნენ ქართველები, თავისი გუნდის სათამაშო ტაქტიკა შეცვალა და... მესამე მეოთხედში იტალიელებმა იმდენი სამიანი ჩააგდეს, ბარე ორ მატჩს ეყოფოდა.

და კიდევ. მეორე მეოთხედის დასრულებას წამები აკლდა, როცა ანგარიში 51:37 იყო. დარჩენილ დროში "გაქართველებულმა" უილიამსმა სამიანი ჩააგდო და მეოთხედიც 51:40 დასრულდა. თამაშის განახლების შემდეგ კი ტაბლოზე რატომღაც 51:38 ეწერა. ასე რომ იმ ორი ქულის გათვალისწინებით 100:78 წავაგეთ და არა ისე, როგორც ეს იტალიელებმა დაწერეს.

მოკლედ

## ფერგიუსონი უარზეა




სერ ალექს ფერგიუსონს არ სურს, რომ რონალდუმ ოლიმპიადაზე ითამაშოს.

ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი უკმაყოფილოა მისი გუნდის ახალგაზრდა მოთამაშის, პორტუგალიელი კრიშტიან რონალდუს გადაწყვეტილებით. რონალდუ პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობაში ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლას აპირებს. მწვრთნელი სერიოზულად ნერვიულობს რონალდუს მდგომარეობის გამო.

"გასაგებია, რომ პორტუგალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა რონალდუ ევროპის ჩემპიონატზე იხილა და მისი ოლიმპიურ გუნდში გადაბირება მოისურვა. მართალია, რომ კრიშტიანი ევროპის ჩემპიონატზე მატჩიდან მატჩამდე სულ უფრო უკეთესად თამაშობდა. მაგრამ გაიგეთ, რომ თუ ყოველთვის ნამცხვარს ერთ ნაჭერს ჩამოაჭრით, ბოლოს და ბოლოს ნამცხვარი გათავდება. მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ოლიმპიადის შემდეგ სიმართლე რომ გითხრათ, იძულებული გავხდებით, რონალდუს ნოემბრამდე დასვენების საშუალება მივცეთ. ეს კი შეუძლებელია. და რონალდუმ შეიძლება ვერ გაუძლოს" - განაცხადა ფერგიუსონმა.

და მართლაც, ფერგიუსონი მართალია. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, სადაც რონალდუ ყველა მატჩში თამაშობდა, მან დასვენება ხეირიანად ვერც კი მოასწრო. ახლა კი, თუ ის მეორე მსხვილ ტურნირშიც მიიღებს მონაწილეობას, ახალი სეზონისთვის აღდგენას ვეღარ მოასწრებს. ეს კი გადაღლას გამოიწვევს და შეიძლება ფეხბურთელი საერთოდ გადაიწვას კიდეც.

თავად რონალდუმ, როგორც ჩანს, ათენში გამგზავრების გადაწყვეტილება უკვე მიიღო. ფეხბურთელს ხომ ასეთი შანსი მომავალში შეიძლება აღარც კი ჰქონდეს. ამჟამად რონალდუ 19 წლის არის. მომავალი ოლიმპიადისთვის 23 წლიან ზღვარს გადააბიჯებს და არავინ იცის, როგორ ფორმაში იქნება. ასე რომ, მისთვის ყველა კარი ღიაა.

## მაიამი ჩემპიონი გახდება

შაკილ ო`ნილმა პირობა დადო, რომ თავის ახალ კლუბს "მაიამი ჰიტს" გააჩემპიონებს. ცენტრმა ისიც განაცხადა, რომ მოხარულია ედი ჯონსთან ერთ გუნდში თამაშით, რომელსაც "შაკი" ჯერ კიდევ "ლეიკერსიდან" იცნობს. ამის შესახებ კალათბურთელმა მაიამიში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

"მე ვაპირებ, "მაიამის" ჩემპიონის ბეჭედი მოვუპოვო, გპირდებით" - გულშემატკივართა საყურადღებოდ განაცხადა ო`ნილმა. კალათბურთელის თქმით, "ლეიკერსმა" შეცდომა დაუშვა, როცა არჩევანი კობი ბრაიანტის სასარგებლოდ გააკეთა და ის თავისი თამაშით შეეცდება, ეს დაამტკიცოს.

ცნობილია, რომ კობი ბრაიანტსა და შაკილ ო`ნილს შორის სერიოზული განხეთქილება იყო. შედეგად შავკანიანი გიგანტი მაიამიში აღმოჩნდა, ხოლო ბრაიანტთან კლუბმა ახალი 7-წლიანი კონტრაქტი გააფორმა - 136,4 მილიონ დოლარად. საინტერესოა, რომ "ლეიკერსში" თამაშისას "შაკს" ედი ჯონსთანაც კონფლიქტი ჰქონდა. კალათბურთელი ჯონსს ხშირად ეგოისტად მოიხსენიებდა, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავისთვის თამაშობს. თუმცა, შაკილის თქმით, ის დრო წავიდა და ახლა ორივე კალათბურთელი მოედანზე ერთმანეთს შეეწყობა.

ო`ნილმა "ლეიკერსში" ბოლო 8 სეზონი გაატარა და ამ ხნის განმავლობაში სამჯერ მოიგო ჩემპიონატი. წელს კი ფინალში "დეტროიტისგან" დამარცხების შემდეგ კალათბურთელმა კლუბს სხვა გუნდში გაცვლა მოსთხოვა. ამ გაცვლების ფონზე "ლეიკერსმა" საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი. შაკილ ო`ნილისა და დერეკ ფიშერის წასვლის მიუხედავად, გუნდს ყველა პოზიციაზე მაღალი დონის შემსრულებელი ჰყავს. გუნდის ძირითადი ვარსკვლავი კი კობი ბრაიანტი იქნება, რომელიც გუნდის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი უნდა გახდეს. მსუბუქი ფორვარდების პოზიციაზე კერონ ბატლერი და დევეან ჯორჯი ითამაშებენ.

მეოთხე ნომრის პოზიციაზე კი ლამარ ოდომი და კარლ მელოუნი გამწესდებიან, თუ რა თქმა უნდა, მელოუნი მომავალი სეზონისთვის კონტრაქტს გააფორმებს. საინტერესოა, რომ სასტარტო შემადგენლობაში ოდომი გამოჩნდება. ვეტერანი მელოუნი კი მას შეცვლის. ცენტრში გუნდს ორი სხვადასხვა ტიპის კალათბურთელი ჰყავს - ვლადე დივაცი და ბრაიან გრანტი.

რაც შეეხება "ჰიტს", კაცმა რომ თქვას, გუნდში მართლა ძლიერი დაცვა და ცენტრია. შეგახსენებთ, რომ დაცვის ხაზში ჯონსის გარდა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ახალბედა დუეინ უეიდი ითამაშებს. მარალი კლასის ფორვარდები კი გუნდს ჯერჯერობით არ ჰყავს. ასე რომ, პატ რაილის, რომელიც კლუბის პრეზიდენტია, მოუწევს ფიქრი, როგორ გააძლიეროს ეს პოზიცია იმისთვის, რომ შაკილ ო`ნილს ფარქვეშ ბრძოლა გაუადვილდეს.

ფეხბურთი

## როდის დაბრუნდება ეტო`ო "რეალში"?

ინტერვიუ ემილიო ბუტრაგენიოსთან

*მადრიდის "რეალში" მიმდინარე რეფორმები არა მარტო ახალი ფეხბურთელების შეძენაში და მწვრთნელის შეცვლაში გამოიხატება. შეიცვალა სპორტული დირექტორიც. კლუბში ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო თანამდებობა დატოვა ხორხე ვალდანომ, ადამიანმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა სამეფო კლუბში. ვალდანოს ადგილი ემილიო ბუტრაგენიომ დაიკავა. უშუალოდ სპორტული დირექტორის კომპეტენციაში შედის ტრანსფერებიც, ეს თემა კი ყოველთვის პრესის უდიდეს ყურადღებას იქცევს. ემილიო ბუტრაგენიოს უკანასკნელი პრესკონფერენციის მთავარი თემაც სწორედ ტრანსფერები იყო.*



*ემილიო ბუტრაგენიო: "ჩვენთვის საუკეთესო იქნება, რომ მომავალ სეზონში ეტო`ომ ძალიან კარგად ითამაშოს".*

**- რომელ გუნდში ითამაშებს სამუელ ეტო`ო მომავალ სეზონში?**

- ეს არის კითხვა, რომელზე პასუხი მეც არ მაქვს ამ მომენტისათვის. ჩვენ შევთავაზეთ "მაიორკას", რომ მათ ამ ფეხბურთელზე უფლებების 50 პროცენტი შეეძინათ, ეს არის და ეს. ამჟამად მხოლოდ ამის თქმა შემიძლია. იმედი ვიქონიოთ, რომ ეტო`ოს საკითხი უახლოეს ხანებში გაირკვევა.

**- თქვენს ამ წინადადებაზე "მაიორკა" ჯერაც არ დათანხმებულა?**

- ჩვენი კლუბების პრეზიდენტებს შორის ძალიან თბილი ურთიერთობა სუფევს და ისინი ყოველდღიურად ეკონტაქტებიან ერთმანეთს. შედეგად, "მაიორკა" დაინტერესდა ჩვენი წინადადებით.

**- და რა სურს "რეალს"? სად გინდათ, რომ ითამაშოს ეტო`ომ?**

- მომავალ სეზონში ეტო`ო ვერ ითამაშებს "რეალში" იმიტომ, რომ მის პოზიციაზე ჩვენ უკვე გვყავს სამი, მსოფლიო დონის ვარსკვლავი. არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომლის ახსნაც ძალიან გამიჭირდება. ასეა თუ ისე, ეტო`ო ძალიან კარგი ფეხბურთელია და ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ მომავალში, შესაძლოა, "რეალი" დაინტერესდეს მისით.

**- გსურთ, რომ ეტო`ო "პორტოში" გადავიდეს, რათა ის კარვალიოში გაცვალოთ, ან "არსენალს" გაუცვალოთ ვიეირაში?**

- ეს კითხვა თავად ფეხბურთელსაც უნდა დავუსვათ. ჩვენ გვინდა, რომ ის ბედნიერი იყოს. ეტო`ომ თავად უნდა მოიფიქროს, აწყობს თუ არა ასეთი სცენარი. ვფიქრობ, რომ ეს სავსებით რეალურია.

**- იქნებ, პრეზიდენტებს შორის კარგი ურთიერთობის გამო, მადრიდის "რეალს" აწყობს, რომ მომავალ სეზონში ეტო`ომ "მაიორკაში ითამაშოს?**

- ჩვენთვის საუკეთესო იქნება, რომ მომავალ სეზონში ეტო`ომ ძალიან კარგად ითამაშოს. მაშინ ეს იმაზე იმეტყველებს, რომ ფეხბურთელი კმაყოფილი იქნება იმ კლუბით, რომელშიც თამაში მოუწია. მომავალი წლის ივნისში ბევრი რამ გაირკვევა, შესაძლოა, ეტო`ო "რეალის" ფეხბურთელიც გახდეს.

**- შესაძლოა, რომ მადრიდელმა გულშემატკივრებმა, ეტო`ოს "ბარსელონაში" თამაშის სურვილის გამო, ეს ფეხბურთელი შეიძულონ?**

- მე თავად ვიყავი ფეხბურთელი და ვცდილობ, რომ თავი მის ადგილას დავაყენო. მე საკმაოდ ღია ადამიანი ვარ, ადვილად აღვიქვამ ნებისმიერ მოსაზრებას, ამიტომაც ნებისმიერი ადამიანის აზრს პატივს ვცემ. მაგრამ ლოგიკურია ისიც, რომ მადრიდის "რეალი" საკუთარ ინტერესებსაც უნდა იცავდეს.

**- არის რაიმე სიახლეები კარვალიოსთან, ვიეირასთან და სხვა იმ ფეხბურთელებთან დაკავშირებით, რომელთა გადაბირებასაც გეგმავდა "რეალი"?**

- დღესდღეობით არა, თუმცა ჩვენ გვსურს, რომ სიახლეები იყოს, რადგან სულ უფრო ახლოვდება ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის თამაშები. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ახალ ფეხბურთელებთან კონტრაქტების გაფორმება სწორედ ამ დროის დადგომამდე გვსურს. მომავალი ორი მატჩი ჩვენთვის ფინალის ტოლფასია. კლუბისათვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი თამაშებია. ფანტასტიკური იქნება, თუ გუნდის დაკომპლექტებას კამაჩო იაპონიიდან დაბრუნებისთანავე შეძლებს. თუმცა, სიჩქარე ზოგჯერ მავნებელიც არის.

## ვალტერ სამუელის პირველი ოთხი დღე

*ვალტერ სამუელი მადრიდის "რეალის" ჯერჯერობით ერთადერთი შენაძენია წლევანდელ სატრანსფერო ზაფხულში, თუმცა მეტისმეტად საჭირო. ცენტრალური მცველის შეძენას ყველანი ძალიან ელოდნენ მადრიდში.*

*ოთხი დღეა, რაც სამუელი თავის ახალ კლუბს შეუერთდა.*

*გთავაზობთ ინტერვიუს, სადაც ის თავის პირველ შთაბეჭდილებებზე საუბრობს.*



*ვალტერ სამუელი: "რეალში" მე პირველ სეზონს ჩავატარებ და, ცხადია, შესანიშნავი იქნება, რომელიმე ტიტულსაც თუ გამოვკრავ ხელს".*

**- პირველი დღეები "რეალის" ფეხბურთელის ამპლუაში, ახალი მეგობრები, ახალი მწვრთნელი. იტალიაში მიღებული გამოცდილებისაგან სრულიად განსხვავებული ფასეულობები.**

- ჩემი თამაში ნელ-ნელა იცვლება იმისგან განსხვავებით, რასაც "რომაში" ყოფნისას ვაჩვენებდი. ესპანეთში ბევრად უფრო მეტი თავისუფალი სივრცეა მოედანზე, გუნდები აქ ნაკლებად ფრთხილობენ, ვიდრე იტალიაში. თამაშის სტილი განსხვავებულია, მაგრამ ამის გამო ნაკლებად ვღელავ, რადგან დროთა განმავლობაში შევეჩვევი ახალ რიტმს და მივხვდები, თუ რა სურს ჩემგან გუნდს.

**- მიუხედავად ამისა, შენ იცი, რომ "რეალის" თამაშს მხოლოდ ერთი მიმართულება აქვს და როდესაც გუნდს დაცვაში თამაში უწევს, ხშირ შემთხვევაში, მცველები საკმაოდ არასახარბიელო სიტუაციაში რჩებიან.**

- დიახ, მე ვიცი, რომ ასეა. ის არგენტინელები, რომელთაც აქ უთამაშიათ, მეუბნებოდნენ, რომ "რეალი" მუდამ უტევს. ჩვენი ნაკრებიც მხოლოდ შეტევაზე ფიქრობს. ასე რომ, მე მივეჩვიე ასეთ სტილს.

**- შენ მოხვედი გუნდიდან, რომელიც საკმაოდ სახელოვანია ევროპაში, მაგრამ ამ გუნდს არ უყენებდნენ ისეთ მაღალ მოთხოვნებს, როგორსაც შენს ახალ კლუბს უყენებენ.**

- შესაძლოა, აქ დიდი ზეწოლაა, მაგრამ ეს არ მაღელვებს. დიდი იმედი მაქვს, რომ აქ ყველაფერი გამომივა და რომ გუნდი თავის მიზნებს მიაღწევს.

**- უკვე ესაუბრე კამაჩოს დაცვაში შენი ამოცანების შესახებ?**

- პირადად ჯერ არ გვისაუბრია. ჩვენ ორ ნაწილად გვყოფდნენ და ცენტრალურ მცველებს მეტოქის ბლოკირებას გვავალებდნენ. კამაჩოს ჯერ არ უთქვამს, თუ რა სურს ჩემგან კონკრეტულად, მაგრამ ის ყურადღებას აქცევდა, რომ დაცვას თავისუფალი ზონები არ დაეტოვებინა და რომ ჩვენ უფრო მჭიდროდ გვეთამაშა.

**- და როგორი წარმოდგენა გაქვს კამაჩოზე?**

- ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რადგან მასთან მხოლოდ ჯერ ოთხი დღე მომიწია ურთიერთობა. მას მოსწონს, როდესაც ფეხბურთელები მაქსიმალურად იხარჯებიან ვარჯიშისას, მაგრამ ვარჯიშის დასრულების შემდეგ ის თავისუფლებას გვაძლევს. ყველას შეუძლია აკეთოს ის, რაც თავად სურს.

**- გამოდის, რომ ის არც ისეთი უხეშია, როგორც ამბობენ.**

- არ ვიცი, რადგან ის ყველას ერთნაირად გვექცევა. არა მგონია, რომ ის უხეში ადამიანების რიცხვს ეკუთვნოდეს.

**- გუნდის შეცვლისას ყველაზე არასასიამოვნო ფაქტორი ახალ გუნდთან ადაპტაციაა. როგორ მიდის შენი საქმეები, ვინ გეხმარება ყველაზე მეტად?**

- მე გამიმართლა, რომ ძალიან ღია კოლექტივში მოვხვდი. აქ ძალიან კარგად დამხვდნენ და ყველა ღელავდა, თუ როგორ შევძლებდი ადაპტირებას. ყველაზე მეტად სოლარიმ გამაკვირვა. არგენტინის ნაკრებში ის ბევრად უფრო მშვიდად იქცევა, აქ კი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხუმარაა, ბრაზილიელების ფონზეც კი.

**- სამუელი მოვიდა, რათა გუნდის ყველაზე სუსტი რგოლი გააძლიეროს. ამ პოზიციაზე თამაშისას ადვილია, რომ საყოველთაო კრიტიკის ცენტრში მოექცე.**

- დიახ, მართალია, მაგრამ ამ პოზიციაზე თამაშს არავითარი საიდუმლოს ცოდნა არ სჭირდება. მე მხოლოდ და მხოლოდ ჩემს საქმეს შევასრულებ და შევეცდები, რომ გუნდს საქმე გავუადვილო. მე არ მაქვს ფენომენალური ტექნიკა, ამიტომაც ვეცდები, რომ გუნდის თამაშში დისჰარმონია არ შევიტანო.

**- ახლა ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ რა შედეგებს მოითხოვენ შენი თანაგუნდელებისაგან მომავალ სეზონში?**

- ყველას სურვილია, რომ ამ სეზონში რაიმე მოვიგოთ. მაგრამ ამისთვის ჩვენ მატჩიდან მატჩამდე უნდა ვიაროთ და ბოლოს ვნახავთ, თუ რა გამოვა.

**- პირადად შენ თუ ანიჭებ უპირატესობას რომელიმე ტიტულს?**

- არავითარს. "რეალში" მე პირველ სეზონს ჩავატარებ და, ცხადია, შესანიშნავი იქნება, რომელიმე ტიტულსაც თუ გამოვკრავ ხელს. "რომაში" გატარებული რამდენიმე წლის შემდეგ ატმოსფერო გამოვიცვალე, რადგან მოვედი გუნდში, სადაც ყველა ოცნებობს მოხვედრას.

**- გარდა ამისა, შენ ჩამოხვედი მადრიდში, ქალაქში, რომლის ტრადიციები და ჩვეულებები ძალიან წააგავს ბუენოს-აირესისას და სადაც შენ არავითარი პრობლემა არ გექნება ენასთან დაკავშირებით.**

- ცხადია, ამ ქალაქმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. აქაური ცხოვრების სტილი ძალიან გავს ჩვენსას, არგენტინულს. აქ გატარებულმა პირველმა დღეებმა დიდი სიამოვნება მოგვანიჭა მე, ჩემს მეუღლეს და ჩემს ქალიშვილს.

*Tour de France*

# პარიზში გასეირნებამდე

ირაკლი ბერიაშვილი

მეჩვიდმეტე ეტაპის სქემა კარდიოგრამას უფრო წააგავს - ხუთი ამოშვერილი წვერი კი ხუთი მთაა. ერთი მეორე კატეგორიისა; სამი - პირველის; მეხუთეს, უმაღლესი კატეგორიისას კი, ქალის სახელი ამშვენებს - ლამაზია და, ამასთან, ცბიერიც. "მადლენზე" ბევრ ველომრბოლს წაუმტვრევია კისერი. ამიტომ თუ შეუყვა ოცკილომეტრიან აღმართს გამორჩეულად ფრთხილად - ლიდერთა ჯგუფსა და ჯერჯერობით დაუქუცმაცებელ პელოტონს ვგულისხმობ.

მთელმა ველოსამყარომ ამ დროისთვის უკვე კარგად იცის "ტურის" მომავალი ჩემპიონის სახელი - არმსტრონგს, სამწუხაროდ, არც წლეულს ჰყავს მოცილე. დანარჩენი საპრიზო ადგილებისთვის კი, ალბათ, პარიზამდე გაგრძელდება ბრძოლა. თუმცა, რაღა საპრიზო - "ტურ დე ფრანსის" პირველ ათეულში მოხვედრაც კი დიდი წარმატება და გარანტირებული, უღრუბლო კარიერის ტოლფასია.

როცა პირველი სამი მთა, მათ შორის "მადლენიც" უკან დარჩა, ვითარება დაიძაბა. ყველას მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ ამ მომენტისთვის მეოთხე ადგილზე მყოფი, "ტურში" 1997 წელს გამარჯვებული და ხუთგზის ვერცხლის პრიზიორი იან ულრიხი მისთვის ამ შეუფერებელ ადგილს არ შეეგუებოდა. პელოტონი და განსაკუთრებით კი ლიდერთა ჯგუფი "იან კაიზერის" შეტევას წუთი-წუთზე ელოდა. ლიდერებმა ტემპს კი უმატეს, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ულრიხს ერთხელაც არ უცდია, გაქცეოდა პელეტონს, რომელსაც ამ დროისთვის მცირე ჯგუფიღა წარმოადგენდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ "ალპ დ`უეზზე" მშვენიერი ასპარეზობის შემდეგ ულრიხი "დაიცალა". ყველაფრით იგრძნობა, რომ გერმანელი მრბოლი ახლაღა შედის ფორმაში. პასიურობის ახსნა კი ორი რამით შეიძლება. იანს ან ბოლოსწინა, მეცხრამეტე ეტაპის - 60-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლის იმედი აქვს, ანდა ოლიმპიური თამაშებისთვის იზოგავს ენერგიას. ასეა თუ ისე, უკანასკნელი მთაც ერთად გადაიარეს ლიდერებმა და ფინიშისკენ - 12-კილომეტრიან დაღმართზე დაეშვნენ.



*ამერიკელი ლენს არმსტრონგი ლიდერობას, ალბათ, აღარ დათმობს.*

ფინიშამდე ორიოდე კილომეტრით ადრე გზამ გაივაკა. ეგეთ ადგილებს ველოსიპედურ ენაზე "მაგიდა" ჰქვია. და თუმცა ვნებათაღელვა თითქმის უკვე დამცხრალი იყო, ამ "მაგიდასთან" საერთო ჩათვლაში პირველი ოთხი ადგილის მფლობელი (არმსტრონგი, ბასო, კლოდენი, ულრიხი) იჯდა და კრუპიეს თანდასწრებით - ეს კაცი, არმსტრონგის გრეგარი, ბუნებრივია, სათვალავში ჩასაგდები არ არის - ეტაპის გამარჯვებულის სახელის გათამაშებას ცდილობდა. მე კი ვიტყოდი, რომ ცოდვილობდა, რადგან ყველა მათგანი ტიპური "მთიელია" და სპრინტისა იმდენი გაეგება, რამდენიც მე, მაგალითად, სირაქლემების ენისა.

ფინიშის თეთრი მსუქანი ხაზი პირველმა არმსტრონგმა გადაკვეთა და ძალიანაც გაიხარა - სულ იოლად დაამარცხა მეტოქეები. სპრინტი კი ვახსენე, მაგრამ ეს უფრო ვირების შეჯიბრებაში ჯორცხენას მონაწილეობას ჰგავდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჯორცხენას კვალობაზეც საეჭვოდ სწრაფი იყო არმსტრონგი.

ვიდრე ამერიკელი შეჯიბრებებში გამოდის, რატომღაც მგონია, რომ ამ ეჭვებს დადასტურება ან გაქარწყლება არ უწერია. 1998 წლის დოპინგ-სკანდალის შემდეგ, რომელიც, უნდა ითქვას, მძიმედ გადაიტანა "ტურ დე ფრანსმა", ორგანიზატორები ახალ, დიდი მასშტაბის სკანდალს, ცხადია, მოერიდებიან. ახლა უკვე ლამის ექვსგზის ჩემპიონის დოპინგ-საქმეში გარევამ, შესაძლოა, სამუდამოდ დაასამაროს ეს ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრება.

არადა, ეჭვები რჩება. საქმე "ტურის" ექვსჯერ მოგებაში არ არის. ადამიანის შესაძლებლობების ზღვარის დადგენაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. მაგრამ ასევე შეუძლებელია, ერთდროულად იყო ჩემპიონი 400 და 1500 მეტრზე რბოლაში, თან ყველას სჯობდე მარათონშიც.

დღეს "ტურის" ინდივიდუალური, მეცხრამეტე და, ფაქტობრივად, ბოლო ეტაპია, რადგან ხვალინდელი ეტაპი, რომელსაც პარიზში აქვს ფინიში, ელისეს მინდვრებზე გასეირნებას უფრო დაემგვანება. ტელემაყურებელს, რომელსაც საშუალება აქვს, "ევროსპორტით" ადევნოს თვალი "ტურ დე ფრანსს", კიდევ ერთხელ მიეცემა შესაძლებლობა, სულ ცოტა, ათჯერ მაინც ისიამოვნოს ნოტრდამის, ტრიუმფალური თაღის, ეიფელის კოშკისა და სხვა ღირსშესანიშნაობათა ხილვით.

**მე-18 ეტაპი.**
**ანემასი - ლონს ლე სოლნიე. 166,5 კმ.**

| | |
|---|---|
| ხუან მიგელ მერკადო (ესპანეთი) | 4.04.03 |
| ჯოსე ვ. გარსია აკოსტა (ესპანეთი) | |
| დმიტრი ფოფონოვი (ყაზახეთი) | 0.11 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| ლენს არმსტრონგი (აშშ) | 78.20.28 |
| ივან ბასო (იტალია) | 4.09 |
| ანდრეას კლოდენი (გერმანია) | 5.11 |

*ფორმულა 1*

## ალონსო ძმები შუმახერების წინააღმდეგ

"რენოს" ესპანელი პილოტის მეგობარი - ბებია ლუიზა ყოფილა




*შუმახერი ალონსოს მომავლის პილოტს უწოდებს.*

მიხაელ შუმახერს არც ამჯერად უღალატია ტრადიციისთვის და ჰოკენჰაიმის ტრასაზე შეგუგუნებამდე საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩში ცნობილ ფეხბურთელებთან, საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებთან და, რა თქმა უნდა, კოლეგებთან თუ მეტოქეებთან ერთად ბურთი გააგორა. საქველმოქმედო მატჩმა 25 ათას მაყურებელს მოუყარა თავი. მატჩი წარმატებული გამოდგა, რადგან 150 ათას ევროს მოუყარა თავი. შემოსული თანხა კი იუნესკოს ბავშვთა დახმარების ფონდს გადაეცა.

"მშვენიერი ატმოსფერო იყო, - მატჩის შემდგომ კმაყოფილი იყო "ფერარის" გერმანელი პილოტი, რომელმაც თავი გამოიჩინა. გარდა ამისა, დასძინა, ამ თამაშმა ჰოკენჰაიმზე რბოლამდე მოტივაცია მომანიჭაო.

რაც შეეხება თავად მატჩს, მასში შუმახერთან ერთად "ჯორდანის", "მინარდის" და "რენოს" პილოტებმა ტიმო გლოკმა, ზოლტ ბაუმგარტნერმა და ფერნანდო ალონსომაც ითამაშეს. ყველა ვარსკვლავთა და ჟურნალისტთა მატჩი კი 6:6 დასრულდა.

და მაინც, საინტერესო მატჩის შემდგომ ჩამორთმეული ინტერვიუები გამოდგა. ერთ-ერთ რესპონდენტად ჟურნალისტებმა "რენოს" ესპანელი პილოტი ფერნანდო ალონსო მოიხელთეს. მან კი შესაძლებლობა არ გაუშვა ხელიდან და ძმებს - შუმახერებს მიდგა. ესპანელის აზრით, დროა მიხაელი პენსიაზე გავიდეს, რაშიც თავად შევუწყობ ხელსო. საქმე ისაა, რომ ალონსოს ვერაფრით მოუნელებია მონაკოში ორი თვის წინანდელი ავარია რალფ შუმახერთან. მიხაელის დამარცხებაზე კი მარტო ესპანელი კი არა მთელი საფორმულე სამყაროს მესაჭეები ცდილობენ, ზოგიერთები კი ოცნებობენ.

**- შენ უკვე შეძელი მიხაელ შუმახერის სპორტულ დაპირისპირებაში დამარცხება.**

- ნუთუ ეს სიმართლეა?

**- ჰო, საფეხბურთო დუელს ვგულისხმობ. ბურთის ფლობის მაჩვენებელით შენ სჯობდი მიხაელს. შენ თუ 80-ჯერ გქონდა ბურთი, შუმის ამგვარი მაჩვენებელი 73 იყო. შეძლებ თუ არა ტრასაზე მის დამარცხებას?**

- დიახ! დარწმუნებული ვარ, რომ მიხაელის დამარცხებას ფორმულა 1-შიც რეგულარულად შევძლებ. მინდა, რომ ტიტულისთვის ბრძოლაში დავამარცხო. ჯობს დღეს, ვიდრე ხვალ. ვიცი, რომ ამის უნარი შემწევს. დროა, მიხაელმა, ბოლოს და ბოლოს, კარიერა დაასრულოს!

**- ხომ არ გეშინია იმის, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში საჩემპიონო ოცნებას ვერ განახორციელებ?**

- არა! მაგრამ მისი წასვლა ბევრად გაამარტივებდა ყველაფერს. თორემ ხომ ხედავთ, შუმახერი სულ დომინირებს.

**- რალფ შუმახერთან შენს ურთიერთობებზე რას იტყოდი, როგორ მიგდით საქმე?**

- მასზე არაფრის მოსმენა არ მსურს!

**- მონაკოს ავარიის გამო მასზე კიდევ ბრაზობ?**

- რა თქმა უნდა. არაფერი არ შეცვლილა. რალფი არ სჭირდება ფორმულა 1-ს.

**- არადა, მას ექვსი გამარჯვება აქვს, შენ კი მხოლოდ ერთი...**

- ამას არ აქვს მნიშვნელობა. იგი საფრთხეს წარმოადგენს. მისი სახიფათო სარბოლო სტილი ყველა პილოტს უქმნის საფრთხეს. ამასთან, ყველა რბოლა ასე გრძელდება. არ ფიქრობს ამაზე და არც საკუთარ დამოკიდებულებას ცვლის რბოლების მიმართ. უმჯობესი იქნება, აქედან წავიდეს.

**- შენი ბოსი ფლავიო ბრიატორე სამუშაოზე ყოველთვის სუპერმოდელის თანხლებით ჩნდება, შენ კი ყოველთვის მარტო ხარ. მეგობარი არ გყავს?**

- ფლავიოს მსგავსად ჩემი ურთიერთობების აფიშირებას არ ვახდენ. თუმცა ამჟამად მარტო ვარ. ახლა ჩემი საუკეთესო მეგობარი - ჩემი ბებია ლუიზაა.

*ჭადრაკი*

# მშვიდი დორტმუნდი 2004





*კრამნიკმა და ანანდმა ტურნირი აუტსაიდერებთან ყაიმებით დაიწყეს.*

დორტმუნდში სტარტი აიღო ერთერთმა ყველაზე პოპულარულმა ჭადრაკის სუპერტურნირმა. ამ ტურნირზე აღიარებული ვარსკვლავები ვლადიმერ კრამნიკი და ვიშვანატან ანანდი ღებულობენ მონაწილეობას.

პირველი ტურის ყველა პარტია ფრედ დასრულდა. კრამნიკის და ანანდის გარდა დორტმუნდში რუსი პიოტრ სვიდლერი და სერგეი რუბლევსკი, უნგრელი პეტერ ლეკო, მოლდაველი ვიორელ ბოლოგანი ჩავიდნენ. ტურნირზე ახალგაზრდა მოჭადრაკეებიც ჩავიდნენ, რომელთაგან აღსანიშნავია გერმანელი 18 წლის არკადი ნაიდიჩი და უკრაინელი ვუნდერკინდი სერგეი კარიაკინი, რომელიც სულ რაღაც 14 წლის გახლავთ.

ორგანიზატორებმა მოჭადრაკეები ორ თანაბარ ჯგუფად დაყვეს, რომელთაც, რა თქმა უნდა, სათავეში უძლიერესი მოჭადრაკეები ჩაუდგნენ. ერთი ჯგუფის სათავეში მსოფლიოს ჩემპიონი კრამნიკი, ხოლო მეორის-მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გროსმეისტერი ანანდი. ორწრიული ჯგუფური ეტაპის შემდეგ გაირკვევიან ნახევარფინალისტები.

შარშანდელი დორტმუნდის ტურნირის გამარჯვებული მოლდოველი ვიორელ ბოლოგანია. დორტმუნდმა დაამტკიცა, რომ ლინარესის და ვეიკ-ან-ზეეს ტურნირებთან ერთად ერთ-ერთი ყველაზე მაღალხარისხოვანი ტურნირია მსოფლიოში, მიუხედავად იმისა, რომ გარი კასპაროვი რეგულარულად იგნორირებას უკეთებს დორტმუნდის ტურნირს და მასში მონაწილეობას არ ღებულობს. სამაგიეროდ, დორტმუნდს დიდი სიამოვნებით სტუმრობს კრამნიკი, თუმცა, უკანასკნელი ორი წელია, მან ვერა და ვერ მოახერხა მისი მოგება. და საერთოდ, 2002 წელს დორტმუნდმა უმაღლეს დონეზე აიწია: ის გახდა შესარჩევი ტურნირი, სადაც უნდა გარკვეულიყო კრამნიკის მეტოქე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ჩასატარებელ შეხვედრაში.

ბევრი მოულოდნელობები შეიძლება შემოგვთავაზონ ახალგაზრდა ნაიდიჩმა და კარიაკინმა, თუმცა, ამ უკანასკნელმა ახლახანს ჩატარებულ ფიდეს ჩემპიონატში, რომელიც ტრიპოლში ეწყობოდა, პირველივე შეხვედრა დათმო.

ყოველ შემთხვევაში, ლიბიის ტურნირის დასრულების შემდეგ, რომელმაც საჭადრაკო საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია, მშვიდობიანმა დორტმუნდმა ამავე საზოგადოებას ამოსუნთქვის და განტვირთვის საშუალება უნდა მისცეს. საზოგადოება, რომელიც დაიღალა ფიდეს პრეზიდენტისაგან და გროსმეისტერებისაგან იმის მოსმენით, რომ შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის გადაიდო. მათ, უბრალოდ, ოსტატების მატჩების ყურება უნდათ და ამ მატჩებით სიამოვნების მიღება.

მოკლედ, დორტმუნდში მიმდინარე ტურნირი ძალიან საინტერესო უნდა გამოდგეს, ასევე არც ექსცესებია მოსალოდნელი, რომელიც ტრიპოლიში ძალიან ბევრი იყო. ჭადრაკის მოყვარულებს შეუძლიათ დატკბნენ ამ უმაღლესი დონის ტურნირით და მასში მონაწილე გროსმეისტერების ჭკვიანური სვლებით, რომლებიც ხან გამარჯვებით, ხან მარცხით და ხანაც ყაიმით სრულდება.

ისე, ყველაზე დიდ მოულოდნელობებს სწორად უკრაინელი სერგეი კარიაკინისაგან მოელიან. ეს 14 წლის ბავშვი (14 წლის ადამიანს სხვას ვერაფერს უწოდებ) უკვე მოექცა ჭადრაკის მოყვარულთა თვალთახედვის არეში და მას დიდ, ძალიან დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

*TV-სპორტი*

**შაბათი. 24 ივლისი**

**НТВ+ФУТБОЛ**
06:30 NBA TV. WNBA. "LOS ANGELES SPARKS" - "HOUSTON COMETS". პირდაპირი ტრანსლაცია
08:30 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000-2001. მეოთხედფინალი. "არსენალი" - "ვალენსია"
14:00 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ნიუკასლი" - "ჩარლტონი"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:30 "FUTBOL MUNDIAL"
16:55 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალენსია" - "ბარსელონა"
18:40 "დარტყმა გოლისთ ის"
18:55 ინტერტოტოს თასი. "სპარტაკი" - "ვილიარეალი". პირდაპირი ტრანსლაცია
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 უკრაინის ჩემპიონატი. "დნეპრი" - "შახტარი"
22:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. "სან პაულუ" - "ვასკუ და გამა". პირდაპირი ტრანსლაცია
00:50 00:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV - საზაფხულო ლიგა. "PHOENIX SUNS" - "ORLANDO MAGIC"
05:30 NBA TV - სეზონის წარუმატებლობები

**НТВ+СПОРТ**
09:00 "ფორმულის ჰარმონია"
10:00, 15:45, 20:00 პრესცენტრი
10:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
10:25 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
11:00 "სპორტული გლობუსი" "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
11:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
12:00 მძლეოსნობა. "IAAF Golden League "Gas de France". შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
15:10 "საუკუნის ათლეტები". "გულის ხაზი". ემილ ზატოპეკი
16:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ავსტრიაში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "დიდი რინგი". პროგრამა პროფესიულ კრივზე
22:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
23:00 სინქრონული ცურვა. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი. დუეტი. ფინალი. გუნდური. ფინალი. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:45 01:45-დან 04:40-მდე შესვენება
04:40 ფეხბურთი. ამერიკის თასი. მატჩი მესამე ადგილისთვის. ურუგვაი - კოლუმბია. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 მოტორბოლები. T.T.Races
12:30 მულტისპორტი
13:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. სეზონის მიმოხილვა
14:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
15:45 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
16:15 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
20:00 ფეხბურთი. ახალგაზრდების ევროპის ცემპიონატი შვეიცარიაში. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
22:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება გერმანიაში
00:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ახალი ამბები
01:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი.
03:45 ახალი ამბები



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# სითბო ისე შემოიჭრა გულში...





რაც ჩემი თავი მახსოვს, ზუსტად იმდენი წელი მახსვს 21 ივლისი - ნანი ბრეგვაძის დაბადების დღე, რომელიც ყოველ წელს შეძლებისდაგვარად აღინიშნებოდა და დღესაც აღინიშნება. ნანის ოჯახში ნებისმიერ თავყრილობაზე მხოლოდ მისეული ადამიანური სიყვარული, სითბო, ცხოვრების ხალისი, კეთილგანწყობა, სტუმართმოყვარეობა, ქართული სიმღერისა და სუფრის ტრადიცია, დიდი ნიჭი სუფევს. 2004 წლის 21 ივლისს, ნანი ბრეგვაძის ვიწრო წრეში, რესტორანში გადახდილ დაბადების დღეზე ერთმანეთს ნანის ბავშვობის, ყრმობის მეგობრები, მათი შვილები და დიდი, მოსიყვარულე ოჯახის წევრები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, რომელთა თვითმყოფადობა ნებისმიერი ერის სიამაყე და სიმდიდრე იქნებოდა. ივიკო საყვარელიძე, ვანიკო მაჭავარიანი, დემურ ცქიტიშვილი, გურამ კალანდაძე, ბუბა კიკაბიძე, ვატო კახიძე, ლია ხუგაშვილი და, რა თქმა უნდა, ეკა მამალაძე, ნატალია ქუთათელაძე - ამ შემადგენლობის სუფრასთან ჯდომის ბედნიერება როდისმე გქონიათ? მერწმუნეთ, ეს არის ნამდვილი ქართული სუფრის კულტურა, სითბო, მეგობრობა, ტრადიცია, ქათინაური, სადღეგრძელო, ნიჭის ფეიერვერკი და ნანი ბრეგვაძის ყოველწლიური დაბადების დღე.

ნანი, ჩემი აზრით, იმდენად ნიჭიერი, ლამაზი და შინაგანი კულტურით აღსავსე ადამიანია, რომ თავის გარშემო მთელი ცხოვრება თამამად, სიამაყით მხოლოდ კოლორიტულ, საინტერესო, ლამაზ, ნიჭიერ ხალხს იკრებდა და მხოლოდ მათთან, თავის უახლოეს მეგობრებთან ერთად ისვენებს, იცინის, აცინებს და, რაც მთავარია, მღერის ისე, როგორც არც ერთი ქვეყნის სცენაზე. ნანის დაბადების დღეზე მსმენელი არ არსებობს. ყველა სტუმარი ამ ექსპრომტული კონცერტის, ნიჭის ზეიმის თანამონაწილე-თანამოზიარეა, სითბო კი ისე იჭრება გულში, თითქოს...

რამდენიმე დღის დაგვიანებით ნანი ბრეგვაძეს ჩემი რუბრიკის, "გულახდილად" და გაზეთ "24 საათის" სახელით დაბადების დღე მინდა მივულოცო და ვუსურვო, მუდამ ისეთი მომხიბვლელი, მოღიმარი და ბედნიერი იყოს, როგორც დაბადების დღის საღამოზე, რომელზედაც სტუმრები ერთხმად "ნანი, ნანი, ნანი... ნანი, ნანი, ნანის" უმღეროდნენ.

**P.S.** მამაჩემის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, ფაქტობრივად, უკვე უკონტაქტო მამაჩემმა ტელევიზორით ნანის სოლო კონცერტის ტრანსლაციას მოკრა ყური და აუწიეო, მთხოვა. საათნახევრის განმავლობაში ნანი ბრეგვაძემ მამაჩემი არამცთუ ცხოვრებას დაუბრუნა, არამედ ამღერა კიდეც და ცრემლიც მოარია. ალბათ, ეს არის კარგი ქართული სიმღერა, ჭეშმარიტი ხელოვნება, როდესაც ნებისმიერ, თუნდაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს, წუთების განმავლობაში ბედნიერებას, სიცოცხლის ხალისს უხანგრძლივებ.





# ანბარიში საზოგადოებას მემუარული ელფერით

ოთხმოციანი წლების დასაწყისში, მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტის წიგნის გრაფიკის ფაკულტეტიდან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის ფაკულტეტზე გადმოვედი და ის შთაბეჭდილება, რომელიც გამოციებულ-გარეჟიმებულ, ყოველგვარ შემოქმედებითობას მოკლებული მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტის უზარმაზარი, გარეუბანში აშენებული კორპუსის შემდეგ, თბილისის სამხატვრო აკადემიის განსაკუთრებული შემოქმედებითი - ბოჰემური, თავისუფალი სული შევიგრძენი, არასდროს დამავიწყდება. ქალაქის შუაგულში, გრიბოედოვის მყუდრო ქუჩაზე მდებარე აკადემიის ძველმა შენობამ, ულამაზესმა ცენტრალურმა შესასვლელმა, სააქტო დარბაზმა, ვაზით შემოხვეულმა, გადმოკიდებულმა ხის აივნებმა და შიდა ეზომ ერთი ნახვით მომნუსხა. აკადემიის ეზოში და გარეთ, გრიბოედოვის ქუჩაზე მიმდებარე სკვერში ვისი ნახვა არ შეგეძლო. უცნაურია, მაგრამ ყველაზე "საინტერესო სანახავები" ყველაზე ყალთაბანდები, შრომისუნარიანი და ნიჭიერიც კი, პროვინციიდან ჩამოსული სტუდენტები იყვნენ, რომლებიც ფერწერის, ხატვის ან ქანდაკების საათებს არასდროს აცდენდნენ, ჩვენთვის სათხოვნელად განკუთვნილი ზედმეტი ფანქარი, ფუნჯი, ქაღალდი თუ ხელის გასაწმენდი უბრალო ჩვარი ყოველთვის გამზადებული ჰქონდათ. თუმცა, ხელების გაწმენდით დიდად თავს არ ვიწუხებდით, რადგან გვეგონა, რომ საღებავებში ან ფანქრით ამოგანგლულები უფრო შემოქმედებით-ბოჰემური სანახავები ვიქნებოდით. სპარსული თემატიკის კედლის მოხატულობის მქონე ბუფეტი, რომელიც შემდგომ, სრულიად აუხსნელად, მავნებლურად გადაღებეს, ყოველთვის სტუდენტებით იყო სავსე. შრომისმოყვარე პროვინციელები სუპებსა და აკადემიის ცნობილ "სალიანკას" გემრიელად შეექცეოდნენ და ლექციებზე გარბოდნენ, ჩვენ კი, "საღებავებში ამოგანგლულები", საათებს ერთ ფინჯან ყავაზე ვატარებდით. სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან აკადემიასთან მოსვლა დიდ პრომენადად ითვლებოდა და ჩვენც ლექციების დამთავრებას ველოდებოდით, ხატვის კლასის ულამაზესი აივნიდან, რომელიც შემდგომ ასევე აუხსნელად და მავნებლურად მოჭრეს და მგონი, გადააგდეს, ვიხედებოდით, რომ გაგვეგო, სკვერში ვინ გველოდებოდა. იმ დროსაც მახინჯი და ყველასათვის საძულველი, ზაფხულში გაუსაძლისად ცხელი და ზამთარში ცივი, აკადემიის ახალი მაღლივი კორპუსის ლიფტებს ერთი ცოტა მოსულელო-მოაგრესიულო ზაზა ემსახურებოდა, რომლის დამსახურებით ლიფტები არასოდეს იჭედებოდა, აკადემიაში კი ვერც ერთი უცხო პირი ვერ შემოდიოდა და ლიფტით ვერ სარგებლობდა. ყველა სტუდენტი ზაზამ აბსოლუტურად ზეპირად იცოდა სახეზე. სტუდენტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეკითხვა იყო - ვის კლასში ხარ? დიმა თაყაიშვილი, დინარა ნოდია, ფარნა ლაპიაშვილი, კოკი მახარაძე, გოგი ოჩიაური, გოგი ალექსი-მესხიშვილი, ლორეტა შენგელია, დიმა ერისთავი და უამრავი სხვა ნამდვილი მხატვარი და ჭეშმარიტი პედაგოგი აკადემიის მრავალფეროვან სისტემას ხელმძღვანელობდა და ჩვენ კი პატივისცემის, აღფრთოვანების, მეგობრობისა და მიბაძვის სურვილს გვიჩენდა. უშუალოდ ჩემი პედაგოგის, დინარა (**Ляся**) ნოდიას შესახებ იმდენი რამ შემიძლია მოვიგონო, რომ "24 საათის" ერთი მთლიანი ნომერიც კი არ მეყოფა. ამიტომ მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ დინარა ნოდიასთან ურთიერთობის წლები ჩემთვის ყველაზე ღირებული, შედეგიანი, იუმორითა და ხალისით აღსავსე, ბედნიერი პერიოდი იყო. თუმცა, როგორც გაირკვა, ეს სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისთვისაც ბედნიერი ხანა იყო, როდესაც ლიფტი მუშაობდა, შენობა თბებოდა, ნატურა შიშვლდებოდა, პედაგოგები მხატვრები, ჭეშმარიტი შემოქმედები იყვნენ, ყველა კლასში ნატურმორტი იდგა, ბუფეტში "სალიანკა" იხარშებოდა, ზაზა ლიფტში უცხოებს არ უშვებდა, ფურცელი და ფანქარი იქვე იყიდებოდა - ეს ოთხმოციან წლებში იყო.



წლები გავიდა, მე პროფესია შევიცვალე, ცოტა თავხედურად წერა დავიწყე და გაზეთ "24 საათის" ყოველი შაბათის ნომერში, რუბრიკა "გულახდილად"-ის მეშვეობით, როგორც საზოგადოების ერთი რიგითი წევრი, ჩემს სუბიექტურ აზრებს ვაფრქვევ. "მე, საზოგადოების წევრი..." იმდენი ვიძახე, რომ აკადემიის ამჟამინდელმა რექტორმა გია ბუღაძემ ჩემი საბრალო ძახილი შეისმინა და წლევანდელ მისაღებ გამოცდებზე, მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების ფაკულტეტზე, საზოგადოებრივ დამკვირვებლად მიმიწვია. ჩემს ფუნქციებში ორ-ად ორი გამოცდის - ხატვა-ფერწერისა და კომპოზიციის ნიშნების წერაზე დასწრება და პროცესის ობიექტურობის კონტროლი შედიოდა.

თითქმის ათწლიანი ინტერვალის შემდეგ სამხატვრო აკადემიის აივანმოჭრილ ფასადს მივადექი, უამრავ ხალხს გვერდი ავუარე, ჭიშკარში შევედი, საშვი ავიღე, ასეთ ნაცნობ და საყვარელ, საკმაოდ მოვლილ, გამწვანებული ქანდაკებებით მიმობნეულ შიდა ეზოში შევედი და...

აკადემია! რა ნახა ჩემმა თვალებმა! ჩემი სტუდენტობიდან ერთადერთი, რაც შემორჩა და კიდევ უფრო გაზრდილა, ვაზია, რომელმაც ძველი კორპუსის საგანგაშო ავარიულობა მეტ-ნაკლებად დაფარა. ნაცნობი პედაგოგები თითო-ოროლა თუ შემორჩა. ეზოში პროფესორი ტარიელ ქუთათელაძე შემხვდა, რომელიც არც გარეგნობით, არც იუმორით და არც შარმით არ შეცვლილა. ცოტა გავისაუბრეთ, ძველი დრო მოვიგონეთ, ერთმანეთს დავემშვიდობეთ და მორყეულ-მონჯღრეული კიბით და შეყანყალებული აივნებით ლიფტებისკენ წავედი. "ლიფტიორი" ზაზა მომკვდარა, თუმცა, ისევე როგორც მისი შვილობილი ლიფტები, და "სტალკერის" ზონის მსგავს, მაღლივი კორპუსის კიბეებს საზოგადოებრივი დატვირთვით აღსავსე ავუყევი. კიბის უჯრედის კედლებზე საქართველოს უახლესი ისტორიის ამოკითხვა შეიძლება: გაუმარჯოს - ზვიადს, აფხაზეთს... ...მიშას, მიშას. I-II-III-IV სართულები - ძირს, გადადექი, წადი..! კედლებზე გამოსახული ჰერალდიკაც იცვლება, მაგრამ ხუთჯვრიანი დროშის გამოსახულება კიბეების კედლებზე აშკარად სჭარბობს, თუმცა, ისევე როგორც სამხატვრო აკადემიის ბოლო ათწლეულების სასიყვარულო ამბები - ლაშა+თეონა, მაკა+გიგა... ჩემი საზოგადოებრივი დასკვნა ასეთია - კედლებს აკადემიაში ბოლო ათწლეულში პრინციპულად არ ღებავენ, მხოლოდ ბუფეტის სპარსულ მოხატულობას ათეთრებენ. მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების მე-8 სართულზე, როგორც იქნა, ავფორთხდი, ჩემს ძველ მეგობარს, ამჟამად კათედრის გამგეს ნოდარ ამაშუკელს (ამკას) და კომისიის წევრებს, რომელთა უმრავლესობა ასევე ჩემი სტუდენტობისდროინდელი ნაცნობები იყვნენ, შევხვდი. ჩამოგლეჯილ, ჩამოფხეკილ, გაუბედურებულ კათედრას თვალი შევავლე და კლასებისკენ წავედით, სადაც გამოცდა უკვე დასრულებული, ნამუშევრები კი, კედლებზე გამოფენილი იყო. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ბოლო წლების აკადემიის ინვენტარს არამცთუ არაფერი შეჰმატებია, არამედ, პირიქით, რაც იყო, ისიც დალეწილა, დაშლილა და გამქრალა. სანამ კომისიის წევრები საკმაოდ შორი დისტანციიდან (გვარების ვერამოკითხვის მიზნით) ნამუშევრებს ათვალიერებდნენ, ჩამოჯდომა მოვინდომე, მაგრამ ამაოდ. მთელ აკადემიაში ისეთი სკამი არ მოიძებნება, რომელსაც ოთხი ფეხი ექნება, მასზე დაჯდომა კი უსაფრთხოა. მაგიდებიც და სკამებიც წამების რომელიღაც დანადგარს წააგავს, რომელსაც მთელი ზედაპირი ამოშვერილი ლურსმნებით აქვს სავსე. ლურსმნებისგან დაგლეჯილი იდაყვებით, უზარმაზარი შუშებისგან სრულიად გაუსაძლის ტემპერატურულ პირობებში, რამეზე მიყრდნობის შიშით, კლასის შუაში ვიდექი, ნიშნების წერის დაწყებულ პროცესს თვალყურს ვადევნებდი და უნდა გამოგიტყდეთ - ამან ნელ-ნელა იმდენად გამიტაცა, რომ სიცხეც, ლურსმანიც, ჩამოგლეჯილი იდაყვიც, ორფეხა სკამიც და "ლიფტიორი" ზაზას სიკვდილიც გადამავიწყდა. ნიშნების წერაში მონაწილეობის მიღების უფლება არ მქონდა, თუმცა, აზრის გამოთქმა შემეძლო. კომისიის მუშაობის პროცესმა უნებლიეთ ის ბედნიერი წლები მომაგონა, როდესაც ყველაფერი ხალისითა და გულწრფელად კეთდებოდა. დღეს სამხატვრო აკადემია ნანგრევებად არის ქცეული, მაგრამ საქმისადმი დამოკიდებულება კვლავ გულწრფელი, სერიოზული, სამართლიანი და, რაც მთავარია, იმედიანია. თითოეული ნამუშევარი მსჯელობის, კამათის, აზრთა სხვადასხვაობის, პრინციპულობისა და სამართლიანობის საგანი იყო. ყველაზე კარგი ნახატი, ფერი, შესრულების მანერა, პოტენციალი, ხედვა, გემოვნება, აზროვნება, ხელის მოსმის სიძლიერე, შტრიხი, ფორმა, მოძრაობა, დგომა, პროპორცია, კომპოზიცია და კიდევ უამრავი რამ, რაც გათვალისწინებული, დანახული და ობიექტურად შეფასებული იქნა. ყველაზე მაღალი, ყველაზე დაბალი და საშუალო ქულები, უცნობი, არაფრისმთქმელი გვარები და ამ გვარებისა და ნახატების მიღმა ათეული ბავშვის მომავალი, რომელიც კომისიის წევრების ზუსტი ამოსაცნობია. მე არ ვიცი, სხვა ფაკულტეტებზე როგორ იყო, სადაც ჩემ მსგავსად სხვა საზოგადოებრივი დამკვირვებლები ესწრებოდნენ ნიშნების წერის ურთულეს და პასუხისმგებლობით აღსავსე პროცესს, მაგრამ მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების კათედრის, მისი კათედრის გამგის - ამკას, კომისიის თითოეული წევრის და, რაც მთავარია, რექტორის მონდომებაში, სერიოზულობაში, მიუკერძოებაში, რაღაცის უკეთესისკენ შეცვლის სურვილში, თითოეული აბიტურიენტის მომავალზე ზრუნვაში, საქმის ცოდნასა და სიყვარულში, ობიექტურობაში სრულიად დავრწმუნდი. არც ერთ დაწერილ ნიშანზე გული არ მეთანაღრება, ეჭვი არ მეპარება, და როგორც საზოგადოების რიგითი დამკვირვებელი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სანამ აკადემიის თუნდაც ერთ კათედრაზე მუშაობის ასეთი ჟინი იქნება, აკადემია არ მოკვდება. ძველი კორპუსი გამაგრდება, ახალი გარემონტდება, ლიფტი ამუშავდება, სკამს ფეხები მიეჭედება, კედლები შეიღებება, ბუფეტი ამუშავდება, სასწავლო რეფორმები ჩატარდება, ფასადს აივანი, აკადემიას ავტორიტეტი, პრესტიჟი, სახელი დაუბრუნდება და ქართულ ხელოვნებას კი აკადემიის კურსდამთავრებულთა ახალი, ძლიერი პლეადა შეემატება.



# ოთხი...

სამყაროს ოთხი მხარე...
ადამიანის ოთხი კიდური...
ოთახის ოთხი თეთრი კედელი...
ოთხი ტილოსგან შემდგარი ოთხი ტილო...
გოგი ჩაგელიშვილის "ოთხი ნამუშევარი"...
ოთხი ემოცია...
ოთხი განწყობა...
ოთხი ფიქრი...
ოთხი ხედვა...
ოთხი აზრი... "არმაზი" I
"არმაზი" II
"დიდება შრომას"
"ბოსფორი ღამით"
ოთხი განსაკუთრებული შთაბეჭდილება...
ოთხი შეფასება...
ოთხი...







# ერთი-ორი ამბავი შრომის, სილამაზისა და ფულის შესახებ

ჟურნალ "ფორბსს" თუ დავუჯერებთ, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მოდელი, ულამაზესთა შორის უმდიდრესი ქალი მილა იოვოვიჩია - მხოლოდ 2004 წლის განმავლობაში 28 წლის მილას 10,5 მილიონი ამერიკული დოლარი გადაუხადეს!



*მხოლოდ 2004 წლის განმავლობაში 28 წლის მილას 10,5 მილიონი ამერიკული დოლარი გადაუხადეს!*

მისი მეუღლე, უფრო სწორად, ყოფილი მეუღლე, რეჟისორი ლუკ ბენსონი, არაფერშუაშია - ამჟამად ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობენ. შვეიცარული გაზეთი "ბლიკ" წერს, რომ შემოსავლის ძირითადი წყარო მილასთვის 1998 წელს კოსმეტიკის კონცერნ "ლორეალთან" დადებული ხელშეკრულებაა. დანარჩენი ფული მოდელს ფილმებმა Resident Evil და "ულტრაიისფერმა" მოუტანა. როგორც ჩანს, თავად მილა ამ ფილმებით აღტაცებული არაა, რადგან სულ აღნიშნავს, რომ გადაღებებში მხოლოდ ფულის გამო მიიღო მონაწილეობა.

წელს ოდნავ ნაკლები, ანუ 10 მილიონი ლეონარდო დი კაპრიოს სატრფომ, ჟიზელ ბიუნდხენმა მიიღო. აქაც არაფერია გასაიდუმლოებული: 24 წლის ძალიან გრძელფეხება ლამაზმანს შეერთებული შტატების თეთრეულის მწარმოებელ "ვიქტორიას სიკრეტთან" ოთხწლიანი ხელშეკრულების საფუძველზე დაახლოებით 30 მილიონი დოლარი ეკუთვნის. გარდა ამისა, დიზაინერისთვის პოდიუმზე გავლაში ბიუნდხენს 50 ათას დოლარს უხდიან.

მესამე ადგილი კლაუდია შიფერმა დაიკავა - ასეთი დაცემა, "მხოლოდ" 8 მილიონი დოლარი, მისი პატარა ვაჟის არსებობამ განაპირობა. მაგრამ გერმანელი მოდელის აქტიური რეკლამა იმედს იძლევა, რომ ბიჭუნას წამოზრდის შემდეგ კლაუდია კიდევ არაერთგზის გამოიჩენს თავს.

მიუხედავად გარეგნული მიმზიდველობისა, მოდელის პროფესია საკმაოდ მძიმეა. ნუ დაიჯერებთ, რომ მხოლოდ ღმერთმა გააჩინა ასეთებად! ისინი თითქმის არაფერს ჭამენ, სულ ვარჯიშობენ, საკუთარ თავზე ათასგვარ ექსპერიმენტს იყენებენ და ა.შ. დასკვნის სახით მათ უმრავლესობას დაბერებასთან ერთად ხასიათიც უფუჭდება. ასე რომ, უზარმაზარი თანხები, რომლებსაც ამ ქალებს უხდიან, გაწეულ ძალისხმევასთან შედარებით არც ისე უზარმაზარია.

საერთოდ, სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს. თუ ვარჯიში გეზარებათ, ჭამას ვერ ეშვებით და გასალამაზებლად ფული არ გყოფნით, შეგიძლიათ... შეერთებული შტატების არმიაში ჩაეწეროთ. მართლა. უბრალოდ, იქ სულ სხვა სახის, მაგრამ არანაკლები ჯაფა დაგადგებათ.

შეერთებული შტატების არმიის ძველი დევიზი Be all you can be ძალაში აღარაა. დღეს ჯარისკაცებს შეუძლიათ სავსებით გადასხვაფერდნენ, თან არა ვარჯიშითა და თავდადებული სამსახურით, არამედ ქირურგის დახმარებით, თან უფასოდ. ჯარისკაცის ფორმის ქვეშ მედგარი გული ლამაზ მკერდში უნდა სცემდეს, და ამიტომ, "ნიუ იორკერის" ცნობით, მებრძოლთათვის გასალამაზებელი ოპერაციები უფასოა. ყველა ხარჯს სახელმწიფო თავის თავზე იღებს. ასე, 2000-დან 2003 წლამდე სამხედრო ექიმებმა 496 მკერდის გაზრდისა და 1361 ცხიმის გამოწოვის ოპერაცია გააკეთეს.

უფასო ოპერაციებია: ცხვირის გასწორება, ცხიმის გამოწოვა, მკერდის გაზრდა და ჩვეულებრივი ლიფტინგი. ამ მშვენიერ პროგრამაში მონაწილეობა ოთხივე სახის შეიარაღებულ ძალებში მოსამსახურეებს შეუძლიათ, უბრალოდ, ზემდგომისგან ნებართვა უნდა ითხოვონ, რადგან გარკვეული დროის განმავლობაში, ცხადია, შვებულება დასჭირდებათ.

შეერთებული შტატების არმიის სარდლობა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ შემთხვევაში ჯარისკაცთა გარეგნულ სახეზე ნაკლებად დარდობს. ამ პროგრამის მიზანი სამხედრო ქირურგებისთვის "ვარჯიშის საშუალების მიცემა" ყოფილა - ყოველ შემთხვევაში, არმიის სპიკერმა ასე ბრძანა.

სამაგიეროდ, ერთ მშვენიერ დღეს ჯარისკაცი ქალი ქერა ფაფარს გაიშლის, სისხლისფრად შეღებილი პირიდან გამარჯვების ყიჟინას ამოუშვებს, პერაგს შემოიხევს და ბრჭყვიალა აზღუდში ისეთ მკერდს გვაჩვენებს რომ..! ზუსტად ჰაიდი კლუმივით.

ერთი ქალი ასე, ანუ ჰაიდივით, უკვე მოიქცა. ეს სარა კერნი იყო, 33 წლისა. ის და მისი აზღუდი უმალვე გაზეთ "ბილდის" თვალსაწიერში მოხვდნენ. გაზეთი უმალვე შეუდგა შედარებით ანალიზს: ვინ სჯობია, ჰაიდი თუ სარა. შედეგი ჰაიდის სასარგებლოდ 4:1 იყო, რადგან: 1. სარამ მხოლოდ მიუხენის ტელეგადაცემა "ბულიში" შემოიხია ტანისამოსი, ჰაიდიმ კი ეს მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ ჩაიდინა - ჯეი ლენოს ღამის შოუ, მართლაც საკულტო ტელე-შოუა. 2. ჰაიდი "ზემოდელია", მას მთელი მსოფლიო იცნობს, სარა კი ერთი ლამაზი, ქერათმიანი მოდელია, დიზაინერ ოტო კერნის ყოფილი ცოლი - მერე, რა? 3. სარას საქციელს მაინცდამაინც დიდი შოკი არ გამოუწვევია, ჰაიდიმ დაასწრო. 4. ჰაიდის აზღუდი "ვიქტორიას სიკრეტის" შედევრი იყო, თვლამარგალიტით მოოჭვილი და 11 მილიონ დოლარად ღირებული - აბა, სარას ასეთს ვინ მისცემდა?

ერთადერთი, და ვაგლახ, ჰაიდისთვის გულსაკლავი ის პუნქტია, რომ სარას უფრო ლამაზი სხეული აღმოაჩნდა - უნაკლო წვივები აქვს და მკერდიც ჰაიდიზე დიდი გაზრდია.

საერთოდ, დიდმკერდიან ქალებს შეუძლიათ გაიხარონ. მათი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი, პამელა ანდერსონი, წიგნს აქვეყნებს. მისი რომანი, "ვარსკვლავი", შეერთებული შტატების წიგნის მაღაზიებში აგვისტოში გამოჩნდება.

ეს მთლად ავტობიოგრაფია არაა - ავტობიოგრაფიულ მოტივებზე შექმნილი რომანია. მასში 37 წლის პამი პროვინციელი მოდელის ამბავს ჰყვება, რომელიც თავით გადაეშვა ჰოლივუდის ცხოვრებაში და დიდ სექსში. ოდესღაც თავად პამელაც სწორედ ასე მოიქცა.

თავად ბრიტანულმა გაზეთმა "სანმაც" არ იცის დანამდვილებით, რას უქადის მკითხველს პამელას მიერ შევსებული 300 გვერდი. შესაბამისად, დანამდვილებით მეც ვერაფერს გეტყვით. თავად ავტორმა მოკლედ ბრძანა: "ვიმედოვნებ, სექსი საკმარისი რაოდენობით იქნება," და იქვე დაურთო, რომ დიდმკერდიან ქალებს ცხოვრების თუ თანაცხოვრების გემო უკეთ ესმით.

იმედია, პამი და მისი რომანი იმედს არ გაგვიცრუებენ და ჩვენც გავიგებთ ცხოვრების გემოს.

## სკანვორდი




## TV პროგრამა

24 ივლისი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "ჯადოქარი" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.05** ოქროს ვარდის გამოქვაბული **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი "შირლი-მირლი" (გ) **15.20** სიდნეის ოლიმპიადა **16.00** მხ. ფილმი "ფანტომასი სკოტლენდ-იარდის წინააღმდეგ (გ) **17.00** უიმბლდონის ფინალი ქალთა შორის **18.00, 21.00, 02.30** კურიერი **18.20** თანამედროვე ტექნოლოგიები **19.15** სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობები" **22.00** საოჯახო ტოტო. **23.00** "ფსიქო"- "ველური ბავშვი". რეჟ. ფრანსუა ტრიცფო (18). **02.50** მხ. ფილმი "უკანასკნელი სამურაი" მთ. რ-ში: ტომ კრუზი (18).

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ჩაი თუ ყავა. **07.35** ღია ბარათი გურმანი. **08.25** საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" **10.25** ახალი აღმოჩენა. **12.15** თითქმის იდეალური კაცი. სენტიმენტალური კომედია. **19.05** გადაცემა : მუსიკა ზაფხულში. **20.30** კრიმინალი. ტელესერიალი. **22.05** გადაცემა : ჰაერში ხსნადი. **24.35** ექიმი სილვესტრი. ტელესერიალი.

### JIST

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **03.00** "ბრავო" "დიდი ტურნე". კომედია.

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.15** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.20** მხ. ფილმი "მზეთუნახავი და ურჩხული" **14.00** სერიალი "სასახლე მზეზე" **15.15** დოკ. სერიალი "ცხოველთა ბედი" მე-2ს. **15.55** "ფორმულა-1" (მე-12 ეტაპი) **18.00** ვესტნიკი **18.40** იმღერე რამე **19.15** ტელეზღაპარი **19.30** ისტორიანი **20.35** ცაიტნოტი **21.55** ფორტუნა **22.30** "საღამოს საუბარი" **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.10** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.30** მხ. ფილმი "საღამოს ტანსაცმელი აუცილებელია" (15)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "ცოცხლები" (15) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "პერლ ჰარბორი" (ბენ აფლეკი) (გ) **17.00** მუსიკა **18.00** მულტფილმი **20.00** მხ. ფილმი "მესიე ტ" (ფილიპ ტორეტონი) (12) **22.00** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "ნიუ- იორკის ბანდები" (დი კაპრიო) (18)

### მზე

**09.00** მულტფილმი "პრინცესა შეჰერაზადა" **09.30** საბ. სერიალი "პატარა მოჩვენებები" **10.00** მულტფილმი "ტიტანი" **11.30** საბ. სერიალი "მისტერ ნიკი" **12.30** მხ. ფილმი "აგენტი ინგლიში" (გ) (რ. ატკინსონი) **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.30** მხ. ფილმი "ვირთხების რბოლა" (გ) (რ. ატკინსონი) **16.30** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **17.10** ვესტერნი მზეზე "მარტოხელა მტრედი" **18.05** სერიალი "არ გაუშვა" **19.00** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.30** "ჩვენები: ქართველები საბერძნეთში" -მე-3 ნაწილი. **21.15** მხ. ფილმი "მწვანე ბარათი" (გ) (ჟერარ დეპარდიე) **23.00** მხ. ფილმი "ზეიმი არ იქნება" (15) (მონიკა ბელუჩი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** მუსიკალური ოქტაგონი **22.00** მხ. ფილმი "ჰოროსკოპი" (12)

### კავკასია

**13.00** მუსიკა **17.00** მხ. ფილმი "ამერიკული თავგადასავალი" (გ) **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.30** "საწინდარი" **21.00, 00.20** მუსიკა

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05, 18.10, 20.00, 02.00** იმედის მელოდიები **10.15** ანიმაც. ფილმი "სამი ახალბედა" **10.30** დილის ფოსტა **11.00, 01.10** ტვ-მარკეტი **11.50** "პირველები" **12.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.35** არჩევანი თქვენ **15.15** მხ. ფილმი "კარნავალი" **17.05** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** "ბ.პ. - ჩვენი პარტნიორი" **19.45** "ვაკაჭი-ნიუსი" **20.10** სერიალი "მართლმსაჯულების 18 ბორბალი" 23-24ს. **22.00, 01.40** ქრონიკა **22.30** კლიპ-ლოტო **23.30** მხ. ფილმი "ჯეინ ეარი" (მ. გინზბურგი) (გ)

### იბერია

**18.00** მინისერიალი "მგლების შვილი" მე-2ს. **19.40** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **22.30** მხ. ფილმი "დღის ლამაზმანი" (18)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 00.45** საინფორმაციო დაიჯესტი **08.50** სათავგადასავლო ფილმი "გამტაცებელთა კლუბი" **10.20** მუსიკა **10.30** ფანტასტიკა "ექვილიბრიუმი" **12.10** მუსიკა **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** ბოევიკი "ჰოლივუდის კოპები" **14.20** მუსიკა **14.40** დრამა "სიყვარულის ექიმი" **16.15** მუსიკა **16.45** მულტფილმი "ყველა ძაღლი სამოთხეში ხვდება" **17.05** კომედია "დიდი არდადეგები" **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** დრამა "მარვინის ოთახი" **21.00** დეტექტივი "შიში იქსი" **23.00** კომედია "სახლი თავდაყირა" **01.10** ბოევიკი "პირადი მცველი" **02.55, 04.50** მუსიკა **03.00** თრილერი "ზეციური ქმნილებები" **05.00** დოკუმენტური ფილმი

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости **06.10** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Улыбка моржа" **06.50** Борис Сичкин в фильме **"Тропой бескорыстной любви" 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря **09.10** Здоровье **10.10** "Смак" **10.30** Тайны века. "Мерилин Монро. Голливудская трагедия" **11.10** "Возвращение домой. Владимир Пресняков (старший). Екатеринбург" **12.10** Александр Ширвиндт в комедии **"Миллион в брачной корзине" 14.00** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" **14.30** Умницы и умники **15.10** "Живой Высоцкий". 3-я серия **16.00 Сериал "Приключения молодого Индианы Джонса" 17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России **18.10** Василий Шукшин в фильме **"Калина красная" 20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время **21.20** Премьера. Летний вечер на Первом канале **22.50** Эдди Мерфи в комедии **"Святоша" 01.10** Чак Норрис в боевике **"Отряд "Дельта" 03.25** Вирджиния Мэдсон в триллере **"Сластена" 05.10** "Подводный мир Андрея Макаревича"

### НТВ

**06.25** Остросюжетный фильм **"РОБОТ-ПОЛИЦЕЙСКИЙ" 08.00, 12.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.20** "Улица Сезам". **08.45** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.20** К 250-летию со дня рождения. "Преподобный Серафим Саровский". **10.00** Кулинарный поединок: Сергей Рост - Антон Конча. **11.00** Квартирный вопрос: спальня от Святого Валентина. **12.20** Криминальная Россия: деревенский киллер. **12.55** Вкусные истории. **13.05** Антонио Бандерас в фильме **"ДВОЕ - ЭТО СЛИШКОМ" 15.05** Коллекция Национального географического общества. "Красавица и чудовище. Леопард". **16.20** "Женский взгляд". Карэн Шахназаров. **16.55 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ МАГА: СМЕРТЕЛЬНАЯ ДИЕТА". 18.00** Своя игра. **19.35** Елена Яковлева в остросюжетном фильме **"ЮККА". 21.45** "Российская империя. Екатерина II". Фильм Леонида Парфенова. Ч.1. **23.05** Сильвестр Сталонне в фильме **"ИЗО ВСЕХ СИЛ"**

# მარცხი



კაცობრიობის მონაპოვარი ყველა აღმოჩენა როდი ხდება. ზოგი მათგანი დაპატენტებულია, მაგრამ მანამდე ელოდება სპონსორს, სანამ იდეა არ მოძველდება და მას უფრო მოწინავე არ შეცვლის. სხვა აღმოჩენები სპეცსამსახურების საკუთრება ხდება და ჩვეულებრივ მოქალაქემდე გზას ვერასოდეს იკვალავს. ზოგს უბრალოდ არ უმართლებთ ან მეტისმეტად ძვირადღირებული სიამოვნება აღმოჩნდება ხოლმე, ზოგი კი თავისთავად წარუმატებელია.

ასე, მაგალითად, 90-იანების შუახანებში "ავტოტეიზერი" გამოიგონეს - ახალი თაობის საავტომობილო სიგნალიზაცია. შეუმჩნეველი პატარა ჯოხი საჭის შიდა მხარეს მაგრდება, და თუ წინასწარ არ გამორთე, მსხვერპლს დენს არტყამს. ვარაუდობდნენ, რომ მსხვერპლი ბოროტმოქმედი გახდებოდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ადამიანური ფაქტორი არავინ გაითვალისწინა, და გონებამახვილურმა გამოგონებამ არაერთი ათეული დაბნეული მანქანის მფლობელი დააშავა.

ერთეულებმა იციან, რომ თავის დროზე კორპორაცია "სონიმ" ფირსაკრავების ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური პროექტი შეიმუშავა. ეს ვინილების ეპოქაში ხდებოდა, როცა კასეტების შესახებ ჯერ არავის არაფერი სმენოდა. იაპონელმა ინჟინრებმა, რომელთაც სკოლაშივე ასწავლეს, რომ მოძრაობა ფარდობითია, "ალა კოპერნიკის" გადატრიალების მოხდენა განიზრახეს და შექმნეს მინი-ავტომობილი, რომელიც "ურიკისგან", კვების წყაროსგან, ნემსისგან და მიკროფონისგან შედგებოდა. ფირფიტას მაგიდაზე დებდნენ, "ურიკას" წრეზე უშვებდნენ, ნემსი ფირფიტაზე სრიალებდა და მუსიკა ჟღერდა... "ორიგინალურია, მაგრამ მეტისმეტად ძვირი," - გადაწყვიტა "სონის" დირექტორმა და ამით გამოგონების მომავალს ჯვარი დაუსვა.

ზოგიერთმა გამოგონებამ სხვა მიზეზის გამო "ვერ იმუშავა". მაგალითად, 1981 წელს მაყურებელს "სუნიანი" კინოსეანსი შესთავაზეს. ფილმს "პოლიესტერი" ერქვა, და მოქმედების განვითარებასთან ერთად, სუბტიტრების სახით, ფირზე ციფრები ჩნდებოდა. ბილეთთან ერთად მაყურებელს წინასწარ საგანგებო ბარათებს ურიგებდნენ, რომლებზეც მათ, რეჟისორის ჩანაფიქრის თანახმად, შესაბამისი ციფრები, ანუ დამცველი ფენები უნდა წაეშალათ. ფენის წაშლასთან ერთად სუნი ჩნდებოდა. უცნობია, რატომ არავინ აიტაცა ეს იდეა. ალბათ იმიტომ, რომ ხალხს ფილმის ყურება ერჩივნა ეკრანის კუთხეში რაღაც ციფრებისთვის თვალყურის დევნებას, ან ფენები ერეოდათ და ვარდის სურნელის ნაცვლად ძველი ფეხსაცმელისას იყნოსავდნენ. ასე თუ ისე, ბარათების იდეა ჩავარდა, ისე, რომ მსოფლიო ბაზარზე არ გასულა.

80-იან წლებში ჯიბის კალკულატორის გამომგონებელმა კლაივ სინკლერმა კაცობრიობას სატრასპორტო პრობლემის თამამი გადაჭრა შესთავაზა. მან C-5 - ავტომობილისა და ველოსიპედის ჰიბრიდი გამოიგონა. გარეგნულად ის პედლებიან აბაზანას ჰგავდა. თუ ისურვებდით, შეგეძლოთ ძრავიც ჩაგერთოთ. მაგრამ აღმოჩენა არავის მოსწონებია - ფართო საზოგადოებას ქალაქში აბაზანით მგზავრობა არ უნდოდა.

ერთხელ თამბაქოს მწარმოებელმა ერთმა კომპანიამ ჯანდაცვის პრობლემებს მიაქცია ყურადღება და კაცობრიობას უბოლო სიგარეტები შესთავაზა, გარშემომყოფთათვის უსაფრთხო. მაგრამ გაირკვა, რომ მწეველებს გარშემომყოფნი სულ არ ადარდებენ, ბოლი კი გარკვეული სიმყუდროვის შეგრძნებას უჩენთ.

1940 წლის 7 ნოემბერს აშშ-ში, ქალაქ ტაკომას სიახლოვეს, ხიდი ჩაინგრა. ხიდს უნიკალური კონსტრუქცია ჰქონდა: სიგრძე - ერთი მილი, სიგანე - 100 მეტრი. საბედნიეროდ, ერთადერთი მსხვერპლი ძაღლი აღმოჩნდა, რომელიც პანიკაში ჩავარდნილმა პატრონმა მანქანიდან ვერაფრით გადმოათრია.

სტატისტიკის თანახმად, ყოველ წარმატებულ გამოგონებაზე ასამდე წარუმატებელი მოდის. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი უნდა დავივიწყოთ - ისევე, როგორც მიუღებელი კანონპროექტები, ისინიც აზრის ისტორიის ნაწილია.


















## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.